



გელათის
სამონასტრო კომპლექსის
ღვთისმშობლის შობის
სახელობის ტაძრის

მთავარი სივრცის
მკლავების ზედა რეგისტრების

კედლის მხატვრობის
ტექნოლოგიისა და მდგომარეობის
აღწერა - დოკუმენტაცია

დამკვეთი:
გელათის რეაბილიტაციის
დროებითი კომიტეტი

2023

შინაარსი

1. წინაპირობა	3	4.4 მხატვრობის ფენა 3 (XIX)	267
2. მიზანი და მეთოდოლოგია	8	ნაღესობის ფენა	
3. შეჯამება	20	მოსამზადებელი ტექნიკა	
4. ტექნოლოგიის ვიზუალური ლექსიკონი	68	ფერწერის ფენა	
4.1 საფუძვლის ფენა	71	5. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი	282
4.1.1 ქვა	97	5.1 საფუძვლის ფენა	282
4.1.2 დუღაბი		5.2 ნაღესობის ფენა	293
4.2 მხატვრობის ფენა 1 (ადრეული)	101	5.3 ფერწერის ფენა	350
4.2.1 ნაღესობის ფენა		5.4 ზედაპირული ნადები	394
4.2.1.1 დაუდგენელი ფრაგმენტები		5.5 ბიოლოგიური დაზიანება	399
4.2.1.2 ძირითადი ნაღესობის ფენა		5.6 მარილები	403
4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა		დანართი	418
4.2.2 მოსამზადებელი ტექნიკა		დანართი 1: ტექნოლოგიის გრაფიკული დოკუმენტაცია (ნაღესობის ნაკერები)	
4.2.3 ფერწერის ფენა		დანართი 2: მდგომარეობის გრაფიკული დოკუმენტაცია	
4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)	134	დანართი 3: მდგომარეობის მონიტორინგი	
4.3.1 ნაღესობის ფენა		დანართი 4: კრიტიკული ადგილები	
4.3.1.1 ტიპი 1			
4.3.1.2 ტიპი 2			
4.3.1.3 ტიპი 3			
4.3.1.4 ტიპი 4			
4.3.1.5 ტიპი 5			
4.3.1.6 ნაღესობის ნაკერები			
4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა			
4.3.3 ფერწერის ფენა			



1. წინაპირობა



1. წინაპირობა

გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალ ნაგებობებს, მათ შორის, ღვთისმშობლის შობის ტაძარს, ისტორიულად ჰქონდა არქიტექტურასა და კედლის მხატვრობასთან დაკავშირებული პრობლემები. განსაკუთრებით, აღსანიშნავია გადახურვისა და ღიობების პრობლემა, რამაც დიდი გავლენა იქონია ფასადისა და ინტერიერის ქვისა და ინტერიერის კედლის მხატვრობის მდგომარეობაზე.

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში 2015-2019 წლებში ხარვეზებით განხორციელებულმა სარეაბილიტაციო პროცესებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა კედლის მხატვრობის ამჟამინდელ მდგომარეობაზე.

ტაძარის გადახურვის 4-წლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს სახურავიდან ინტერიერში ჩაედინებოდა წყალი, მეტიც, მთავარი სივრცის დასავლეთ მკლავში წყლის ჩაჟონვის პროცესი 2020 წლის აგვისტომდე მიმდინარეობდა. შედეგად მძიმედ დაზიანდა მთავარი ტაძრის ინტერიერის მოხატულობა, კერძოდ, მკლავების ზედა რეგისტრები (კამარა და აფრები). განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობამდე მივიდა ჩრდილოეთი და დასავლეთი მკლავის ზედა რეგისტრის მხატვრობა. 2019 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ მკლავის მხატვრობის სტაბილიზაციისთვის გადაუდებელი ჩარევები განხორციელდა.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, 2020 წლის მარტიდან - 2021 წლის სექტემბრამდე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი. აკვირდებოდა დაზიანებათა პროგრესს და აწარმოებდა შესაბამის ფოტო და ტექსტურ დოკუმენტაციას.

2020 წლის აგვისტოში წმ. გიორგის ტაძრის ჩრდილოეთი კედლის ფასადსა და ინტერიერის კედლის მხატვრობაზე (ექტიტორის პორტრეტი, ჩრდილოეთი კედელი) დროებითი წერტილოვანი გამაგრება განხორციელდა. შემდგომ, 2021 წლის გაზაფხულზე, მთავარი სივრცის დასავლეთ მკლავსა და წმ. მარინეს ეკვდერში მხატვრობის წერტილოვანი დროებითი გამაგრება განხორციელდა.

2021 წლის 22 - 28 ივნისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით, გელათის მონასტერში (ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი) მოეწყო პირველი საერთაშორისო მისია, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, არქიტექტურული პრობლემატიკის კვლევას - წყლის ინფილტრაციის მიზეზების წინასწარული მოსაზრებების წარდგენას და წყლის შეღწევისგან დაცვის აუცილებელი რეკომენდაციების მომზადებას; ხოლო მეორე მხრივ, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის მხატვრობის მდგომარეობისა და ტექნოლოგიის შეფასებას, ასევე, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების განსაზღვრასა და საჭირო გადაუდებელი ჩარევებისთვის რეკომენდაციების გაცემას.

აღნიშნული მისიის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავებული საკონსერვაციო მეთოდოლოგიით 2021 წელსა და 2022 წელს (დეკემბრის ჩათვლით) იტალიელი და ქართველი რესტავრატორების მიერ კედლის მხატვრობის სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევები ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარ სივრცეში, კერძოდ, დასავლეთ მკლავსა და ნაწილობრივ ჩრდილოეთი მკლავის ზედა რეგისტრებზე განხორციელდა.

1. წინაპირობა

2022 წლის დეკემბრის შემდგომ კედლის მხატვრობის სარესტავრაციო სამუშაოები შეწყდა. საქართველოს საპატრიარქოს ინიცირებით 2022 წლის ოქტომბრიდან აღდგა კედლის მხატვრობის რეგულარული მონიტორინგი. ამ ეტაპზე განხორციელებულია მხატვრობის მდგომარეობისა და ტექნოლოგიის ვრცელი მონაკვეთების აღწერა-დოკუმენტირება და მხატვრობის მონიტორინგი (31.10.2022; 27.12.2022; 09.03.2023, 15.04.2023, 16.07.2023, 14.10.2023).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის 2023 წლის 24 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე, 6 აპრილს, საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც გელათის სარეაბილიტაციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო და სხვა საჭირო სამუშაოებს საქართველოს საპატრიარქო ახორციელებს.

საქართველოს საპატრიარქოს ხელმძღვანელობით შეიქმნა ადგილობრივი და საერთაშორისო საერთაშორისო დისციპლინური საბჭოები – გელათის რეაბილიტაციის კომიტეტი. კომიტეტის მოვალეობაში ძეგლის საკონსერვო პროექტის მართვა შედის.

ძეგლზე განხორციელებული სამუშაოებისთვის იქნმნება სპეციალიზირებული ჯგუფები, მათ შორის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო ჯგუფი, რომელიც კომპლექტდება საერთაშორისო პროექტების გამოცდილების შიდა (ქართველი) კონსერვატორებისა და მაღალკვალიფიციური უცხოელი სპეციალისტებით.

კომიტეტი ხელმძღვანელობს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, ICOMOS-ის და ICCROM-ის მიერ 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე განხორციელებული მისიის შედეგად მომზადებული დოკუმენტით. ანგარიშის რეკომენდაციები შეეხება გელათის მხატვრობაზე ნაკლოვანი კვლევების გაფართოებას, ნაკლოვანი დოკუმენტაციის შევსებას, გადაუდებელი ჩარევის უსაფრთხო მეთოდოლოგიის შემუშავებას, მათთან წარდგენასა და მხოლოდ ამის შემდგომ შესრულებას.

დოკუმენტის თანახმად საჭიროა საკონსერვაციო ერთიანი გეგმის შედგენა და ინტერდისციპლინური მიდგომით პროექტის განხორციელება.

ვინაიდან საპატრიარქოსთვის გადაცემული 2021-22 წლებში შესრულებული დოკუმენტაცია, მათ შორის მდგომარეობისა და ჩარევების ამსახველი გრაფიკული დოკუმენტაცია, შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ ასახავდა მხატვრობის რეალურ მდგომარეობას, საქართველოს საპატრიარქომ, პირველი ეტაპის სამუშაოდ დაგეგმა გელათის სამონასტრო კომპლექსის ტაძრების მხატვრობების ამჟამინდელი მდგომარეობის დეტალური აღწერა-დოკუმენტაცია. აღნიშნული რეკომენდაცია იუნესკოს ანგარიშშია მოცემული.

სამონასტრო კომპლექსში არსებული კედლის მხატვრობის მასშტაბიდან გამომდინარე, განისაზღვრა პრიორიტეტული ლოკაციები, ხოლო სამუშაოები გადანაწილდა ეტაპებად.



1. წინაპირობა

პირველი და მეორე მისიების სამუშაოთა ლოკაციად განისაზღვრა:

➤ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის, მთავარი სივრცის ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების ზედა რეგისტრი (კამარის დონე, აფრები).

მესამე მისიისას განხორციელდა:

➤ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის, მთავარი სივრცის ოთხივე მკლავის კამარისა და ქვედა რეგისტრის (III, IV) კვლევა-დოკუმენტაცია.

მესამე მისიის ფარგლებში გელათის სამონასტრო კომპლექსის, ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების ზედა რეგისტრების (III, IV) კედლის მხატვრობის ტექნოლოგიის აღწერა-დოკუმენტაციის საწყისი ეტაპის სამუშაოები, (კომპლექსის მონიტორინგი და კრიტიკული ლოკაციების გრაფიკული დოკუმენტაცია) შესრულდა

კონსერვატორ-რესტავრატორთა ჯგუფის შემდეგი წევრების მიერ:

ლელა ნინოშვილი	მარიამ საღარაძე
ნანა ხუსკივაძე	სოფიო მიქაბერიძე
ერეკლე ნაროშვილი	ელა სააკიანი
ეთერ თოლორაია	ალექსანდრე ქორიძე
მარიამ თოდუა	

გელათში ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები განხორციელდა

2023 წლის 9 – 17 ოქტომბერს,

ხოლო საოფისე სამუშაოები განხორციელდა

2023 წლის 18 ოქტომბერი - 10 ნოემბრის პერიოდში.

ჯგუფს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს კედლის მხატვრობის საერთაშორისო ექსპერტებთან (სტივენ რიკერბისა და ლიზა შეკედესთან), რომლებიც პროექტის ხელმძღვანელობას, როგორც არაინვაზიური ისე ანალიტიკური კვლევებისა და ფიზიკური სამუშაოების კუთხით წევენ.

ჯგუფის ხელმძღვანელების სტივენ რიკერბისა და ლიზა შეკედეს მიერ მოხდა კედლის მხატვრობის საკონსერვაციო ზოგადი გეგმის გაწერა. გეგმა მოიცავს შემდეგ ასპექტებს

- მარილების კვლევა
- წყლის სითხის სახით კვლევა
- გარემო - პირობები კვლევა-მონიტორინგი
- ორიგინალი ტექნოლოგიის კვლევა
- მდგომარეობის კვლევა - მონიტორინგი
- **ფიზიკური ჩარევების დაგეგმვა და განხორციელება**

1. წინაპირობა

ამ ეტაპზე, საერთაშორისო ექსპერტების (ჯგუფის ხელმძღვანელების მიერ) ადგილობრივი ჯგუფისთვის გაცემულია შემდეგი დავალებები:

- კვლევითი და ფიზიკური სამუშაოებისთვის საჭირო აღჭურვილობისა და საკონსერვაციო მასალის მოძიება-შეძენა. შესყიდვები აუცილებელია შემდგომი ეტაპების სამუშაოებისთვის (პირველადი სია მომზადდა თავად ხელმძღვანელების მიერ).
- კედლის მხატვრობაზე წინა პერიოდის საკონსერვაციო/სარესტავრაციო ჩარევების იდენტიფიცირება და ლოკაციების განსაზღვრა. (ჩარევებში გამოყენებული მასალებისა და მეთოდების ცხრილი მომზადდა თავად ხელმძღვანელების მიერ).
- ფიზიკური ისტორიის ინგლისური ვერსიების აკუმულირება
- გარემო პირობების მონაცემებით გრაფიკების აგება, რათა ხელმძღვანელობამ შეძლოს მდგომარეობის შეფასება.
- 3 მისიის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების (მდგომარეობისა და ტექნოლოგიის არაინვაზიური კვლევების) ინგლისური ვერსიების მომზადება

საერთაშორისო ექსპერტების (ჯგუფის ხელმძღვანელების მიერ) და ადგილობრივი ჯგუფის ერთობლივი მიმდინარე და განსახორციელებელი ერთობლივი სამუშაოთა ჩამონათალი:

- შემუშავებული საკონსერვაციო ზოგადი გეგმის დეტალიზება
- მარილებისა და გარემო პირობების 3 წლიანი მონაცემის დამუშავება და სტრატეგიის განახლება/საანალიზო სინჯების მომზადება
- ტექნოლოგიისა და მდგომარეობის საკვლევი და საანალიზო სტრატეგიის შემუშავება (სინჯის აღების ადგილები, ანალიტიკური კვლევები: მოლეკულური და ელემენტარული ანალიზები (XRD, XRF, SEM-EDX, IR spectroscopy, Raman etc) ბიოლოგიური ანალიზები, ორგანული მასალების ანალიზები (GC-MS, chemical analysis);
- რესტავრირებული და კვლავ დაზიანებული ლოკაციების დამატებითი შესწავლა (საკონსერვაციო მასალით გამოწვეული რისკების შეფასება და სამომავლო ჩარევის შეზღუდვების განსაზღვრა).
- არა რესტავრირებული, მაგრამ კრიტიკული ლოკაციების შერჩევა, რათა მოხდეს მინიმალური საკონსერვაციო ტესტირებები.



2. მიზანი და მეთოდოლოგია



2. მიზანი და მეთოდოლოგია

მისიის მიზანი

მოსამზადებელი სამუშაოების, მესამე მისიის (I, II ეტაპი) მიზანს წარმოადგენდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის, მთავარი სივრცის დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების ზედა რეგისტრების (III, IV) კედლის მხატვრობის ტექნოლოგიისა და მდგომარეობის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

პროექტის კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენს სამიზნე არეებზე ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე (არაინვაზიური კვლევის მეთოდებით):

- ✓ კედლის მხატვრობის სხვადასხვა პერიოდის სქემებისა და მათი სტრატეგრაფიული ფენების განსაზღვრა
- ✓ კედლის მხატვრობის ტექნოლოგიისა და მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონის შედგენა და ფოტო დოკუმენტაცია (აღწერა-დოკუმენტაცია)

✓ კედლის მხატვრობის ტექნოლოგიური მახასიათებლების ილუსტრირებისთვის გრაფიკული დოკუმენტაცია

✓ კედლის მხატვრობის დაზიანებათა გრაფიკული დოკუმენტაცია

✓ კრიტიკული ლოკაციების განსაზღვრა და დაზიანების ხარისხის მიხედვით კატეგორიზაცია და გრაფიკულ დოკუმენტაციაზე დატანა (ღვთისმშობლის შობის ყველა სივრცეში და წმ გიორგის ტაძარში)

- ✓ ღვთისმშობლის შობის ყველა სივრცეში და წმ გიორგის ტაძარში, მონიტორინგის ფოტოფიქსაცია და მნიშვნელოვანი ლოკაციების მონიტორინგის ანგარიში
- ✓ კედლის მხატვრობის ტექნოლოგიისა და მდგომარეობაზე არსებული ამჟამინდელი მონაცემების შეჯამება

გელათის სამონასტრო კომპლექსის არსებულ დოკუმენტაციაზე და ახლად შეგროვებულ მონაცემებზე დაყრნობით, ადგილობრივი ჯგუფისა და საერთაშორისო ექსპერტების ერთობლივ მიზანს წარმოადგენს გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს მონიტორინგის უფრო დახვეწილი მოდელისა და სისტემის შექმნას, კვლევითი და პრაქტიკული ჩარევების საჭიროების განსაზღვრასა და სამუშაოთა ეტაპების/გეგმის გაწერას. აღნიშნული საკონსერვაციო გეგმის დოკუმენტი მუშავდება ღია შეკედესა და სტივენ რიკერბის მიერ.

ამ ეტაპისათვის მოცემული დოკუმენტი წარმოგიდგინთ:

- ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კამარის დონის კედლის მხატვრობის ორიგინალი ტექნოლოგიისა და მდგომარეობის ვიზუალური აღწერის შედეგებსა და შესაბამის დოკუმენტაციას
- კრიტიკული არეების ლოკაციების გრაფიკული დოკუმენტაცია
- კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგის დოკუმენტაცია

2. მიზანი და მეთოდოლოგია

სამუშაო ჯგუფის მიერ პროექტში მონაწილეობისას დაცული ზოგადი საკონსერვაციო პრინციპები:

- ძეგლის ღირებულებათა შენარჩუნება
- მინიმალური ჩარევა (კვლევისა და მონიტორინგის დროს)
- ორიგინალი ტექნოლოგიისა და დამატებული მასალის ცოდნა
- არსებული მდგომარეობის გააზრება და ფიზიკური ისტორიის ცოდნა
- დოკუმენტირება
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

სამუშაო ჯგუფის მიერ გაწერილი კედლის მხატვრობის საკონსერვაციო კვლევის ეტაპები:

ეტაპი 1 და 2 – ძეგლზე ვიზუალური დაკვირვებები და ინფორმაციის მოძიება დამუშავება (ფიზიკური ისტორიის შესწავლა)

ტექნოლოგიის და მდგომარეობის არაინვაზიური მეთოდებით შესწავლა და მისი დეტალური აღწერა-დოკუმენტაცია.

არასებული ლიტერატურის/ანგარიშების და სხვა დამატებითი მასალის მოძიება, რათა განისაზღვროს დამაზიანებელი ფაქტორები და პრობლემის აქტიურობა.

წინა პერიოდის საკონსერვაციო სამუშაოების აღწერა-დოკუმენტაცია.

(მისიების ფარგლებში სამონასტრო კომპლექსის მთელ სივრცეში ადგილობრივი ჯგუფის მიერ სრულდება ეტაპები 1,2)

ეტაპი 3 – პრობლემის დასმა, საკვლევი საკითხების განსაზღვრა და საანალიზო სტრატეგიის შემუშავება

ეტაპი 4 – ანალიტიკური კვლევა

ეტაპი 5 – მონაცემთა შეკრება და ინტერპრეტირება

ეტაპი 6 – საკონსერვაციო სტრატეგიის განსაზღვრა მეთოდოლოგიის შემუშავება



2. მიზანი და მეთოდოლოგია

ამჟამად, საკონსერვაციო ჯგუფის მიერ მიმდინარეობს (მთვარი სივრცის მკლავების ზედა 2 რეგისტრების III, IV) საკონსერვაციო კვლევის პირველი ორი ეტაპი: **ძეგლზე ვიზუალური დაკვირვებები და ინფორმაციის მოძიება დამუშავება (ფიზიკური ისტორიის შესწავლა).**

•2023 წლის აპრილში დაიწყო საკვლევი არეების კედლის მხატვრობის მდგომარეობის დეტალური აღწერა-დოკუმენტაცია

•2023 წლის ივლისში დაიწყო ტექნოლოგიის სტრატეგრაფიული ფენების დეტალური აღწერა-დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოსამზადებელი სამუშაოები (ეტაპი 1, 2) უნდა განხორციელდეს გელათის სამონასტრო კომპლექსის ყველა მოხატულ სივრცეში.

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის ყველა მკლავის ზედა რეგისტრის კედლის მხატვრობის ტექნოლოგიის აღწერა-დოკუმენტაციის შედგენის პრინციპები და სამუშაო ჯგუფის მეთოდოლოგია:

ორიგინალი ტექნოლოგიის ვიზუალური აღწერა.

კედლის მხატვრობა გამოირჩევა მასალათა ჰეტეროგენულობით, შესაბამისად, აუცილებელია ყურადღება მიექცეს ნაგებობაში გავრცელებული მხატვრობის ტექნოლოგიის მრავალფეროვნებას (მასალასა და ტექნიკას) და მათ ვიზუალურ გამოვლენას.

კედლის მხატვრობა შედგება სტრატეგრაფიული ფენებისგან. მათი ვიზუალური აღწერა მოიცავს ფენების ქრონოლოგიის დადგენას, მათი რაოდენობის განსაზღვრას, ფენების გავრცელებასა და შემადგენლობის ვიზუალურ დახასიათებას: ფერი; ზომა, სისქე, ფორმა, ტექსტურა, სტრუქტურული მახასიათებლები, ფორიანობა, ტოპოგრაფია.

➤ მხატვრობზე დაკვირვება და მისი ტექნოლოგიის გამოვლენის პრინციპი/მეთოდოლოგია

ეტაპი 1 - მოსამზადებელი სამუშაოები - საკვლევი არეების მხატვრობაზე დაკვირვება და მოხატულობის სქემების ზოგადი განსაზღვრა. ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე სტილისტურად, პროგრამულად და ტექნოლოგიურად განსხვავებული სქემების/ მხატვრობის ფენების პირველადი დეტექტირება.

პირველადი კვლევისას გამოვლენილი სხვადასხვა სქემისთვის კედლის მხატვრობის სტრატეგრაფიის განსაზღვრა

• სტრუქტურის კატეგორიზაცია სტრატეგრაფიული ფენების მიხედვით:

- საფუძვლის ფენა
- ნალესობის ფენ(ები)ა
- ფერწერის ფენ(ები)ა

2. მიზანი და მეთოდოლოგია

ეტაპი 2 – არაინვაზიური კვლევა/ვიზუალური დაკვირვება

პირველ ეტაპზე **ორიგინალი ტექნოლოგიის კვლევა:** ვიზუალურად გარჩევადი სხვადასხვა პერიოდის მხატვრობის სტრატიგრაფიული ფენების ქრონოლოგიის განსაზღვრა

1. საფუძვლის ფენაზე დაკვირვება და დახასიათება

კატეგორიზაცია: ქვა და დულაბი

ქვის მახასიათებლები: ფერი, აგებულება/სტრუქტურა, ფორმა, ზომა, ტოპოგრაფია, სამუშაო იარაღის კვალი

დულაბის მახასიათებლები: ფერი, ნაკერის სისქე, შემკვრელი, არაორგანული მინარევი, ორგანული ჩანარები, სიმჭიდროვე / სიმკვრივე

2. კედლის მხატვრობის ნალესობის ფენაზე დაკვირვება და დახასიათება

ნალესობის ფენების რაოდენობის განსაზღვრა

თითოეული ფენის ქრონოლოგიურად (საფუძვლიდან ზემოთ) დახასიათება შემადგენლობისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით

შემადგენლობა: ფერი, სისქე, შემკვრელი, არაორგანული მინარევი, ორგანული ჩანარები, სიმჭიდროვე / სიმკვრივე

შესრულების ტექნიკა: სამუშაო იარაღის კვალი, ზედაპირის დამუშავება, ტოპოგრაფია, ნაკერები

ნალესობების კატეგორიზაცია მათი შემადგენლობების მიხედვით და გავრცელების მასშტაბისა და ლოკაციების განსაზღვრა.

3. მხატვრობის მოსამზადებელ ტექნიკაზე დაკვირვება და დახასიათება

კატეგორიზაცია და მათი გავრცელების მასშტაბისა და ადგილმდებარეობების განსაზღვრა:

- **მოსამზადებელი ნახატი** - კონტური (საღებავით), ნაკაწრი/გრაფია
- **გეომეტრიული მოჩარჩოებები** - სწორხაზოვანი ნაკაწრი, მირტყმული ხაზი (საღებავით ან ანაბეჭდის კვალით), ფარგალი



2. მიზანი და მეთოდოლოგია

4. ფერწერულ ფენაზე დაკვირვება და დახასიათება

კატეგორიზაცია ფერების მიხედვით:

პირველ ეტაპზე პრიორიტეტი მიენიჭა ფერებს, რომლებიც დიდ მასშტაბზეა გავრცელებული და გამოირჩევა დაზიანებებით. ესენია: ლურჯი, მწვანე, ყვითელი, წითელი (ტექნოლოგიის მასშტაბიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე პირველი ეტაპის დაკვირვება არასრულად ფარავს შერჩეული ფერების დახასიათებას)

მხატვრობის პალეტი:

ფერები (ამ ეტაპზე ნაწილობრივ აღწერილია: ლურჯი, მწვანე, ყვითელი, წითელი)

გრადაციები (მაგალითისთვის მომწვანო ლურჯი, მოწითალო ლურჯი)

გაჯერებულობა: ინტენსიური, პასტელური, ფერმკრთალი, ხასხასა, ლაჟღაჟა, სუსტი

სინათლე: ნათელი, ბნელი

გამჭვირვალობა: გამჭვირვალე, დაბურული

სიპრიალე: პრიალა, მქრქალი/არაპრიალა

ვიზუალური აღწერების დამატებითი ინფორმაცია:

- ფერები (ფენობრივად თუ ერთმანეთთან შერევით)
- მაქსიმალური ფერწერული/ფერის ფენის რაოდენობა
- პიგმენტების ნაწილაკების დახასიათება
- პიგმენტისა და შემკვრელის თანაფარდობაზე დაკვირვება

გამოყენებული ტექნიკა

ზემოთ მოცემული ორი ეტაპის სამუშაოები განხორციელდა კვლევის არაინვაზიური მეთოდებით:

- შეუიარაღებელი თვალით ვიზუალური დაკვირვება განხორციელდა პირდაპირი, გვერდითი (LED) და ულტრაიისფერი განათების ფანრებით.
- მიკროსკოპული დაკვირვება განხორციელდა პორტატული მიკროსკოპის გამოყენებით 50X და 250X გადიდებაზე პირდაპირი, გვერდითი და ულტრაიისფერი ნათებით.



2. მიზანი და მეთოდოლოგია

კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღწერა-დოკუმენტაციის შედგენის პრინციპები და სამუშაო ჯგუფის მეთოდოლოგია:

5. კედლის მხატვრობის დაზიანებათა გამოვლენა, სტრატეგრაფიული ფენებისა და დაზიანებათა ტიპების/ქვეტიპების მიხედვით კატეგორიზაცია.

მდგომარეობის აღწერაში შევიდა მექანიკური დაზიანებები (მაგ. საღებავის ფენის ჩამორეცხვა) და დაზიანებები, რომლებიც დეგრადაციას განიცდის, გაუარესების პროცესშია (მაგ. ფერწერის ფენის აქერცვლა, შელესილობის ფენის გაფხვიერება).

➤ **დაზიანების აღწერის სტრუქტურის მაგალითი:**

სტრატეგრაფიული ფენა: ფერწერული ფენა

დაზიანების დასახელება: ადჰეზიური კავშირის დაკარგვა

დაზიანების ტიპი: აქერცვლა

განსაზღვრება: ფერწერული ფენის საფუძვლისგან მოცილების, განცალკევების პროცესი, რომელიც ამ ფენებს შორის შეკავშირების/მოჭიდების/ადჰეზიური ფუნქციის დაკარგვის შედეგია.

დაზიანების შესაძლო კავშირები/მიზეზები: მარილების აქტივობა/ არასტაბილური კლიმატური პირობები

გავრცელება: ჩრდილოეთი მკლავის სამხრეთი კედელი

➤ **დაზიანებაზე დაკვირვება და მისი გამოვლენის პრინციპი/მეთოდოლოგია**

- დაზიანებათა კრიტერიუმების განსაზღვრა
- კრიტერიუმებზე დაყრნობით ვიზუალური დაკვირვებითა და მანუალური ტექნიკით დიაგნოსტიკა:

➤ ვიზუალური დაკვირვება - პირდაპირი და გვერდითი ხელოვნური (LED) განათების (ფანრის) გამოყენებით, ულტრაიისფერი განათებით (ფანრით).

➤ მიკროსკოპული დაკვირვება - პორტატული მიკროსკოპის გამოყენებით პირდაპირი, გვერდითი და ულტრაიისფერი ნათებით კედლის მხატვრობის სტრატეგრაფიული ფენების მიკროსკოპულ დონეზე მდგომარეობის განსაზღვრა.

➤ მანუალური ტექნიკა - კედლის ზედაპირზე ხელის მსუბუქი მექანიკური ზემოქმედებით (მათ შორის კაკუნის მეთოდით) ნალესობის დაზიანებათა ტიპის დადგენა.



2. მიზანი და მეთოდოლოგია

კედლის მხატვრობის ფოტო დოკუმენტაცია

კედლის მხატვრობის ფოტო-ფიქსაცია განხორციელდა შემდეგი მიზნისთვის:

- ვიზუალური ილუსტრაციისთვის, რომელიც ვიზუალურ ლექსიკონში კედლის მხატვრობის ტექნოლოგიის ზუსტი იდენტიფიკაციისთვის არის საჭირო

ფოტო გადაღებისთვის 2023 წლის აპრილში შედგა პროტოკოლი:

ფოტო-ფიქსაციისთვის ფოტოების გადაღება მოხდა:

- Nikon D5600 და Canon D850 – კამერით
- Yongnuo YN-560 IV Flash Speedlite - ხელოვნური განათებით

White balance გასწორდა ექსპო დისკის გამოყენებით ხოლო აპარატის სტანდარტულ მონაცემებად განისაზღვრა:

გადაღების რეჟიმი: Manual

- Shutter speed - 1/60;
- F stop – 8;
- ISO - 100;

ფოტოების გადაღება მოხდა პირდაპირი და გვერდითი განათებით, ასევე მასშტაბის მითითებით.

ფოტო დოკუმენტაციისთვის 2023 წლის ივლისში შემუშავდა ფოტოს დასახელების სისტემა, რომლისთვისაც მომზადდა გზამკვლევი.

ანგარში მოცემული ფოტო დოკუმენტაცია გვაძლევს შემდეგ ინფორმაციას:

- ფოტოს სახელს (ლოკაციის, ნომრის, ფოტოს სახეობისა და გადაღების მითითებით)
- განათების რაკურსს
- ფოტოს ადგილმდებარეობას
- ფოტოს ანოტაციას/ რას ასახავს ფოტო
- ფოტოს მასშტაბს

შენიშვნა:

1. ფოტოზე თანდართული მასშტაბი მითითებულია ზომის საორიენტაციოდ, თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე მილიმეტრიანი ცდომილება, რომელიც დახრილი ზედაპირების რაკურსიდან გამომდინარეობს;

2. დოკუმენტში გამოყენებული ფოტო მასალა წარმოადგენს 2023 წლის ივლისში გადაღებულ ფოტოებს, გარდა სცენების სრული სქემებისა, რაც გამოყენებულია ფოტოების ადგილმდებარეობების მისანიშნებლად. სრული სქემების ნაწილი გადაღებულია 2023 წლის აპრილში, ხოლო ნაწილი 2017-2018 წლებში.



2. მიზანი და მეთოდოლოგია

კედლის მხატვრობის დოკუმენტაცია

ტექნოლოგიის

გრაფიკული

გრაფიკულ დოკუმენტში მოცემულია:

ტექნოლოგიის წარმოაჩინოს:

გრაფიკული

დოკუმენტაციის

მიზანია

- პროექტის დასახელება, შესრულების თარიღი
- სცენის ფოტო და მასშტაბი
- სცენის ფოტოზე დატანილი ტექნოლოგიის ნიშნულები/ლაქები
- ლეგენდა, ტექნოლოგიის აღმნიშვნელი ნიშნულებით
- წარდგენილი სცენის/კედლის ადგილმდებარეობის ტექსტური აღნიშვნა და სქემატური დატანა გეგმაზე

•ნალესობის მიმართულებები

ნაკერების

ადგილმდებარეობა

და

წინა ჩარევების გრაფიკული დოკუმენტაციის მიზანია წარმოაჩინოს:


- წინა საკონსერვაციო ჩარევების ზუსტი ადგილმდებარეობები
- მასშტაბი
- დაზიანებასთან ურთიერთკავშირი

შენიშვნა: ჩარევების გრაფიკულ დოკუმენტაციაზე მუშაობა არ დასრულებულა, შესაბამისად ანგარიშში აღნიშნული მასალა არ არის შეტანილი.

გრაფიკული დოკუმენტაცია მომზადდა AutoCad-ის პროგრამის გამოყენებით.

წყვილში მომუშავე კონსერვატორ-რესტავრატორებიდან ერთ-ერთი კედელზე აკვირდებოდა ტექნოლოგიას და მისი გავრცელების არეს, ხოლო მეორე კომპიუტერში სქემატურად ინიშნავდა მოწოდებულ ინფორმაციას.

შენიშვნა: ანგარიშში გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საპატრიარქოსთვის გადმოცემული 2017-2018 წლების ფოტო მასალა და ტაძრის ნახაზები, ასევე 2023 წლის აპრილში დამუშავებული ფოტოგრამეტრიული ფოტოები.



ზემოთ: გრაფიკული დოკუმენტის მაგალითი. ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთი მკლავის კამარა -ღვთის დიდება (ემანუელის ამბლეზა) – C12, რომელზეც დატანილია ნალესობის ნაკერები და ისრით მითითებულია ნაკერის მიმართულება.

2. მიზანი და მეთოდოლოგია

კედლის მხატვრობის დაზიანებათა გრაფიკული დოკუმენტაცია

გრაფიკული დოკუმენტაციის მიზანია წარმოაჩინოს

- დაზიანებათა ზუსტი ადგილმდებარეობა
- დაზიანებათა მასშტაბი
- დაზიანებათა ურთიერთკავშირი


გრაფიკული დოკუმენტაციის მომზადება მოხდა AutoCad-ის პროგრამის გამოყენებით.

წყვილში მომუშავე კონსერვატორ-რესტავრატორებიდან ერთი კედელზე აკვირდებოდა დაზიანებას და მისი გავრცელების არეს, ხოლო მეორე კომპიუტერში სქემატურად ინიშნავდა მოწოდებულ ინფორმაციას.

გრაფიკულ დოკუმენტში მოცემულია:

- პროექტის დასახელება, შესრულების თარიღი
- სცენის ფოტო და მასშტაბი
- სცენის ფოტოზე დატანილი დაზიანებების ნიშნულები
- ლეგენდა: კატეგორიებად დაყოფილი დაზიანებათა გამომსახველი ნიშნულები
- წარდგენილი სცენის/კედლის ადგილმდებარეობის ტექსტური აღნიშვნა და სქემატური დატანა გეგმაზე

შენიშვნა: ანგარიშში გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საპატრიარქოსთვის გადმოცემული 2017-2018 წლების ფოტო მასალა და ტაძრის ნახაზები.



ზემოთ: გრაფიკული დოკუმენტის მაგალითი. ღვთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი - საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის სცენები, რომელზეც დატანილია მარილების სახეობები და მათი გავრცელების ადგილმდებარეობა და მასშტაბი.

2. მიზანი და მეთოდოლოგია

კედლის მხატვრობის კრიტიკული არეების გრაფიკული დოკუმენტაცია

კედლის მხატვრობის მდგომარეობა დაიყო ზონებად:

- ✓ კრიტიკული
- ✓ არაკრიტიკული

მდგომარეობის დაზიანებათა პროცესი განისაზღვრა 3 კატეგორიად:


აქტიური - სწრაფად ცვალებადი მდგომარეობა / დაზიანების სწრაფი პროცესი

მიმდინარე - შედარებით ნელი ცვლილების მქონე მდგომარეობა / დაზიანების ნელი პროცესი

სტაბილური - თვალთვალს განურჩეველი ცვლილება (2017/2020 წლის შემდგომ) (მოხდა ძველი ფოტოების ამჟამინდელ მდგომარეობასთან შედარება)

გრაფიკულ დოკუმენტში მოცემულია:

- მთავარი ტაძრის ჭრილი
- წითლად მონიშნულია კრიტიკული ზონები
- ზონების მდგომარეობის განმარტება დატანილია სქემებზე
- ზონების მდგომარეობის ამსახველი სამაგალითო ფოტოები გამოტანილია ცალკე
- სცენის ფოტო და მასშტაბი
- სცენის ფოტოზე დატანილი დაზიანებების ნიშნულები
- ლეგენდა: კატეგორიებად დაყოფილი დაზიანებათა გამომსახველი ნიშნულები



ზემოთ: კრიტიკული ზონების გრაფიკული დოკუმენტის მაგალითი. ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთი ჭრილი.

შენიშვნა: ანგარიშში გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საპატრიარქოსთვის გადმოცემული 2017-2018 წლების ფოტო მასალა და ტაძრის ნახაზები.

3. შეჯამება



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

2023 წლის აპრილში, ივლისსა და ოქტომბერში განხორციელებულმა მოსამზადებელმა (ეტაპი 1,2) სამუშაოებმა გელათის სამონასტრო კომპლექსის და უფრო დეტალურად მთავარი სივრცის მკლავების ზედა რეგისტრებზე მხატვრობის ტექნოლოგიისა და მდგომარეობის კომპლექსურობა გამოავლინა.

მხატვრობის მოკლე მიმოხილვა

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის აქამდე ცნობილი ყველაზე ადრეული ფენა საკურთხევლის კონქში არსებული XII საუკუნის მოზაიკა გახლავთ. სივრცის ძირითადი მხატვრობა კი XVI-XVII საუკუნეებშია შესრულებული. აღსანიშნავია, რომ 1510 წელს გელათი გადაიწვა, შესაბამისად ტაძრის ხელახლა მოხატვა ეტაპობრივად ჯერ 1520-იან-1550-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ისა და ეპისკოპოს მელქისედეკ საყვარელიძის, ხოლო 1560-70-იან წლებში გიორგი II-ის ხელშეწყობით მოხდა. მთავარ სივრცეში ძირითადად XVI საუკუნის მოხატულობას ვხედავთ, თუმცა აღსანიშნავია გარკვეული ლოკაციები, სადაც მხატვრობაც გვხვდება, მაგალითად, მკლავების ქვედა რეგისტრები, რომლებიც XVII საუკუნეში იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ისა და კათალიკოს ზაქარია ქვარიანის დროს (სავარაუდოდ, 1657-1660 წწ.) მოიხატა. მთავარ სივრცეში ასევე ვხვდებით XVIII- XIX საუკუნის ფრაგმენტებს.

წყარო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პორტალი: <https://memkvidreoba.gov.ge/objects/wallart/wallartPaintingObject?id=22>


კომენტარი: საკონსერვაციო კვლევების პარალელურად აუცილებელია ძეგლის სახელოვნებათმცოდნეო შესწავლა.

გელათის მთავარი ტაძრის მთავარი სივრცის პროგრამა კომპლექსურობით გამოირჩევა. აბსიდალურ სცენებში ვხვდებით ზიარების, მსხვერპლთაყვანისცემის, ზეციური ლიტურგიის სცენებს. მკლავებში ათორმეტი დღესასწაულის ციკლი, ღვთისმშობლის ციკლი, ვნების ციკლი, ძველი აღთქმის სცენებია გამოსახული. მრავლად ვხვდებით წმინდათა ფიგურებსა და საერო პირებს: დედოფალი ელენე, სამღვდელოება, დედოფალი რუსუდან (მისი I მეუღლე), გიორგი II, იმერეთის მეფე, ბაგრატ III, იმერეთის მეფე, დავით აღმაშენებელი

საკონსერვაციო ჯგუფის პირველი, მეორე და მესამე მისიების საკვლევი ლოკაციებია - გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების III და IV რეგისტრები იყო. მხატვრობა ძირითადად ბაგრატ III-ის პერიოდით, XVI საუკუნით თარიღდება, თუმცა როგორც ცნობილია დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთი კედლის მესამე და მეორე რეგისტრის სცენები 1950-იანებით თარიღდება. აღმოსავლეთი მკლავის ბემაზე XVI საუკუნის ზემოდან ვხვდებით XIX საუკუნის გადაწერებს, რომელიც ტექნოლოგიითა და სტილით მკვეთრად განსხვავებულია ტაძრის XVI საუკუნის მოხატულობისგან.

შესწავლილი მხატვრობის კომპოზიციები იხილეთ მომდევნო გვერდზე.

3. შეჯამება




- E5 – ლაზარეს აღდგინება
- E6 - ხარება
- E7 - ჯვარცმა
- E8 - გარდამოხსნა

- S5 - ანგელოზთა დასი
- S6 - შობა
- S7 - საიდუმლო სერობა
- S8 - ფერხთა ბანა
- S9 - მაცხოვრის ამაღლება
- S10 - წმ გიორგი
- S11 - წმ დემეტრე
- S12 - ღვთისმშობლის სერობა
- S13 - ღვთისმშობლისაგან ფერხთა ბანა

სქემების წყარო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო



3. შეჯამება




- N5 - იუდას ამბოჯი
N6 - ქრისტე კაიფასთან
N7 - სულთმოფენობა
N8 - ანგელოზთა დასი
N9 - ღვთისმშობლის მიძინებისთვის.
მოციქულების შეკრება
N10 - ღვთისმშობლის ამაღლება
N11 - თევდორე სტრატელატი
N12 - თევდორე ტირონი
N13 - ტამრად მიყვანება
N19 - ღვთისმშობლის განზანცა



სკემების წყარო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო

3. შეჯამება



3. შეჯამება

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა 2023 წლის ნოემბრის მონაცემებზე დაყრდნობით.

გელათის სამონასტრო კომპლექსში ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრებში კედლის მხატვრობის მდგომარეობა მძიმეა. ვხვდებით სტაბილურ და აქტიურ დაზიანებებს. დაზიანებათა პროგრესის კუთხით ვხვდებით აქტიურ (სწრაფი ცვლილების მქონე), მიმდინარე (შედარებით ნელი ცვლილების მქონე) და სტაბილურ (ვიზუალურად ცვლილების არ მქონე) არეებს. განსაკუთრებით კრიტიკულია ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი (S7, S8) დასავლეთის აფრები და მიმდებარე თაღები, ასევე გარკვეული მონაკვეთები ჩრდილოეთ (W7, W9, E5, E7, E9) და სამხრეთ მკლავებში (W8, S12), იხილეთ დანართი 4 (კრიტიკული არეები). მხატვრობის ჩამოვარდნის რისკის ქვეშ მდგომი ლოკაციებიდან აღსანიშნავია ჩრდილო-დასავლეთი (2 მონაკვეთი) და ჩრდილო-აღმოსავლეთი (1 მონაკვეთი) ეკვდერები, ასევე სამხრეთ-დასავლეთი ეკვდერი (წმ. მარინე). კრიტიკულია წმ გიორგის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთი კედლის მხატვრობის ქტიტორის პორტრეტის მდგომარეობა.

ზემოთ აღნიშნულ ლოკაციებზე მხატვრობის დაზიანების პროცესი მიმდინარეა, განსაკუთრებით საყურადღებოა დეგრადაციის პროცესი. მდგომარეობის დაკვირვებით მკვეთრი ცვლილება გამოვლინდა მხატვრობის გამომარილებზე. მარილების კრისტალიზაცია-დაშლის ციკლები და მასალის ტენის მიმართ მგრძობელობა კვლავ იწვევს ნალესობისა და ფერწერული ფენის მდგომარეობის გაუარესებას - დაშლასა და შემდგომ ცვენას.

აღსანიშნავია, რომ დაზიანების პროცესი მიმდინარეა 2019-21 წლებში დროებით გამაგრებულ, ხოლო 2021-22 წლებში გრძელვადიანად გამაგრებულ და რესტავრირებულ არეებშიც (იხილეთ ქვევით მოყვანილი მაგალითები):.

„ღვთისა“ ფრესკა



კონსტანტინე

„ღვთისა“ ფრესკა



კონსტანტინე



კონსტანტინე



კონსტანტინე



მარცხნივ:
კონსერვაციამდე და კონსერვაციის შემდგომ გადაღებული ფოტოები. ბუჩუკური მ. გელათის „ღვთისმშობლის შობის“ სახ. ტაძრის, დასავლეთ მკლავის კამარის XVI ს. კედლის მოხატულობის საკონსერვაციო - სარესტავრაციო სამუშაოთა ანგარიში' 2022, გვ. 22,23

ქვედა მარცხენა ფოტოები: 2023 წლის 14 ოტომბერს იმავე ლოკაციებზე გადაღებული ფოტოები. კონსერვირებულ ი ადგილები დაზიანების უფრო მძიმე ფორმებს ავლენს.

3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების ზედა რეგისტრების (III, IV) მიმდებარე კედლის მხატვრობის მდგომარეობის ზოგადი შეჯამება

შესავალი

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთი დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების ზედა რეგისტრების გარკვეული მონაკვეთების კედლების მდგომარეობა მძიმეა. გვხვდება, როგორც ისტორიული, ისე ახალი დაზიანებები, რაც დაკავშირებულია არა მარტო საუკუნეების მანძილზე ნაგებობის არქიტექტურულ პრობლემებთან, არამედ 2016-2018 წლებში სახურავის რეაბილიტაციის დროს (დასავლეთი მკლავის შემთხვევაში 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით) სახურავიდან ინტერიერში წყლის ინფილტრაციასთან, არასტაბილური კლიმატური პირობების ზემოქმედებასთან, მხატვრობის ორიგინალ ტექნოლოგიასთან და კედლის მხატვრობაზე (2021-22 წლებში) განხორციელებულ სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევებთან.

კედლის მხატვრობის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებისა და გრაფიკული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ მხატვრობაზე არსებული დაზიანებები არათანაბარი სიმძიმით და გავრცელების ხარისხით თითქმის ყველა სცენას მოიცავს, თუმცა დაზიანებების ყველაზე დიდი მასშტაბი დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის ზედა ორ კომპოზიციაზე (საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის სცენებზე), ჩრდილო-დასავლეთ აფრასა და ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ (მირქმა) და აღმოსავლეთ (ლაზარეს აღდგინება) სცენებზე იკვეთება.

დაზიანების ტიპების ჩამონათვალი

ვიზუალური შესაწავლის საფუძველზე გამოკვეთილი საკვლევი არეალის დაზიანებათა ძირითად ტიპებს წარმოადგენს:

- საფუძვლის ფენის - დულაბის დანაკარგი, ქვის გაფხვიერება, ქვის ბზარები;
- ნალესობის ფენის - დანაკარგი, გაფხვიერება, განშრევა, ამოტეხვები და ბზარები;
- ფერწერული ფენის - დანაკარგები, გაფხვიერება და ფენებს შორის კავშირის კარგვა, საღებავის ფენის ჩამორეცხვა;
- ბიოლოგიური აქტივობა
- ზედაპირული დაბინძურება
- პიგმენტის სახეცვლილება
- გამომარილება



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

დაზიანებათა გავრელების მასშტაბი

ვიზუალური დაკვირვებისა და გრაფიკული დოკუმენტაციის/ დაზიანებათა რუკის ანალიზის შედეგად გავრცელების მასშტაბის მიხედვით კედლის მხატვრობის დაზიანებების ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყო:

1. ფართოდ გავრცელებული დაზიანებები - დაზიანებები, რომელიც ვრცელდება საკვლევი სივრცის კედლის მხატვრობაზე და მასშტაბურად ფარავს არეალებს
2. ლოკალურად გავრცელებული დაზიანებები - დაზიანებები, რომელიც ლოკალურად, კონკრეტულ ლოკაციებზე ვლინდება.

ფართოდ გავრცელებული დაზიანებებია:

- მცენარეული ჩანართის ამოტეხვები, ბადისებრი ბზარები
- გამომარილება
- ნალესობის გაფხვიერება, ფერწერული ფენის გაფხვიერება (განსაკუთრებულად ლურჯი ფერის, ხოლო გამომარილების ადგილებში უმეტეტსად წითელი და ყვითელი ფერები) და აქერცვლა
- ნალესობისა და ფერწერის ფენების სრული და ნაწილობრივი დანაკარგი, როგორც ისტორიული ისე ახალი დანაკარგები.
- პიგმენტის ალტერაცია, რომელიც ძირითადად თეთრი/შავისა და ლურჯი ფერის მქონე ლოკაციებზე გვხვდება.

ლოკალურად გავრცელებული დაზიანებები:

- ბიოლოგიური აქტივობა
 - შავი ნადები, რომელიც დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, კამარის სამხრეთ ნაწილზე და ჩრდილოეთი მკლავის კამარაზე ლოკალურ ფიქსირდება
 - ვარდისფერი ლაქები, რომელიც წერტილოვანი დაჯგუფებების სახით ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (მირქმის სცენაზე) ფიქსირდება ლოკალურად
- ნალესობის ფენის განშრევება (ღია და დახურული), რომელიც ლოკალურად სამივე მკლავში, აფრებსა და აფრებს შორის თაღებში ფიქსირდება
- ფერწერული ფენის ბურცვა, რომელიც ლოკალურად, მცირე მონაკვეთებზე თითქმის ყველა სცენაზე გვხვდება
- საღებავის ფენის ჩამორეცხვა, რომელიც ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე, ასევე დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე ფიქსირდება.



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

დაზიანებათა ურთიერთკავშირი

ვიზუალური დაკვირვებისა და გრაფიკული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, შემდეგი დაზიანებების ურთიერთკავშირი:

- ✓ ნალესობის გაფხვიერება, ფერწერული ფენის გაფხვიერება და აქერცვლა, ასევე კედლის მხატვრობის დანაკარგები დაკავშირებულია გამომარილების პრობლემასთან
- ✓ ფერწერული და ნალესობის ფენის მცირე ზომის დანაკარგები უკავშირდება მცენარეული ჩანართის ამოტეხვებს
- ✓ ნალესობის ფენის განშრევის პრობლემა ურთიერთკავშირშია კონტურულ ბზარებთან, ნაწილობრივ ან/და სრულ დანაკარგებთან და დეფორმაციასთან.

დაზიანებასა და ტექნოლოგიას შორის შესაძლო ურთიერთკავშირი:

- ✓ ნალესობის ფენის ბადისებრი ბზარები დაკავშირებულია ნალესობის ტექნოლოგიასთან, ხოლო ღრმა ბზარები არქიტექტურის სტრუქტურასთან (კედლების ბმებსა და ქვის წყობასთან)
- ✓ ფერწერული ფენის (მაგ. ლურჯის) გაფხვიერება შესაძლოა უკავშირდებოდეს მასალის დაზიანებისკენ მიდრეკილ ბუნებას
- ✓ ნალესობის ამოტეხვები, ფერწერული ფენის დანაკარგი და აბურცვა ურთიერთკავშირშია ბათქაშის ტექნოლოგიაში გამოყენებული ნამჯის ამოცვენასთან.

ბიოაქტივობის ურთიერთკავშირი სხვა დაზიანებასთან ან/და ტექნოლოგიასთან, ამ ეტაპზე, არ გამოვლენილა.

გამომარილების მიმოხილვა

მხატვრობის დაზიანების კონტექსტში ხაზგასმით აღსანიშნავია გამომარილების ფენომენი (კედლის სტრუქტურულიდან ზედაპირზე მარილის გამოკრისტალების პროცესი). გამომარილების ინტენსივობა და გავრცელების ადგილები მოიცავს სამივე მკლავის ზედა რეგისტრის (კამარის დონის) ზედაპირებს, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფრებსა და აფრებს შორის თალებს.

გამომარილება 4 ძირითადი სახით გვხვდება*. აქედან, ახლად გამოკრისტალებული მარილების ფართომასშტაბიანი გავცელება დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე ფერხთა ბანისა და საიდუმლო სერობის სცენებზე იკვეთება. აღსანიშნავია, ჩრდილოეთი მკლავის კამარის ცენტრალური და აღმოსავლეთი კედლის სცენა (ლაზარეს აღდგინება). ამ სცენასა და ჩრდილო-დასავლეთ აფრაზე და მის მიმდებარე არეებში სხვადასხვა ტიპის მარილები ერთად საკმაოდ დიდი მასშტაბითა და ინტენსივობით არის გავრცელებული. თითქმის ყველა იმ ლოკაციაზე, სადაც გამომარილებაა ვხვდებით ფერწერული (გაფხვიერება/აქერცვლა/დანაკარგი) და ნალესობის (გაფხვიერება, ნაწილობრივი დანაკარგი) ფენების დაზიანებებს. სტრუქტურის შიდა გამომარილებას (ფენაში და ფენის ქვეშ კრისტალიზაციის პროცესი) უნდა უკავშირდებოდეს ნალესობის ფენის განშრევება და ფერწერის ფენის ბურცვაც.

* 1. ნაფიფქი - ახლადგამოკრისტალებული მარილი; 2. წერილოვანი კრისტალიზაცია - შედარებით მყარი და ხანდაზმული მარილი; 3. ქერქი - მარილის მყარი ნადების ფენა, შედარებით ხანდაზმული; 4. თეთრი ლაქები - ძველი, სტრუქტურაში კარგად ჩამჯდარი მყარი ნაწილაკები.



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

ნალესობის ფენის მდგომარეობის მიმოხილვა

საკვლევ არეებზე ნალესობის მდგომარეობა უმეტესად არასტაბილურია, ფიქსირდება კრიტიკული მონაკვეთებიც, რაც ძირითადად ნალესობის ფენის გაფხვიერებასა და ლოკალურად განშრევაში გამოიხატება. გაფხვიერება უმეტესად ვლინდება დასავლეთი მკლავის კამარაზე და მის მიმდებარე სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე, ასევე ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (მონაკვეთებში, სადაც 2021 - 2022 წლებში განხორციელდა საკონსერვაციო ჩარევა).

ნალესობის საყურადღებო მონაკვეთებია განშრევებული ადგილები, სადაც ნალესობის და საფუძვლის ფენის ან/და ნალესობის ფენებს შორის კავშირის კარგვა ან შესუსტება შეინიშნება. ასეთი არეალები მრავლად გვხვდება დასავლეთი მკლავის დასავლეთ კედელზე, სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედლის, ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედლის და დასავლეთით აფრების მიმდებარე მონაკვეთებში. ამ კუთხით რთული ადგილები მესამე რეგისტრის სცენებზეც გამოვლინდა (იხ. დანართი 2, 3, 4)

ნალესობის დაზიანების ტიპებიდან ხაზგასასმელია მცირე ზომის ამოტეხვები (ორგანული ჩანართის/მცენარეული ბოჭკოების კარგვა), რომელიც მასიურად გვხვდება მოხატულობის დიდ მონაკვეთებზე, უმეტესად ნალესობის გაფხვიერებასთან ერთად.

ასევე აღსანიშნავია სხვადასხვა ზომის ისტორიული და ახალი დანაკარგები (როგორც სრული, ისე ნაწილობრივი).

საგულისხმოა ნალესობის ღრმა ბზარები, რომელიც ფიქსირდება დასავლეთი მკლავის დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების მიჯნაზე.

დასავლეთი მკლავის კამარის დასავლეთ კიდეში სიგრძეში შედარებით მოკლე დიაგონალური მიმართულების ბზარებია განვითარებული.

შედარებით წვრილი და ზედაპირული ბზარებია დასავლეთი მკლავის კამარის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელშიც ბზარები ძირითადად განივი მიმართულებით კვეთს ნალესობის ზედა შრეებს.

ასევე ერთი შედარებით ღრმა ვერტიკალური ბზარია დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში, იუდას ამბორის სცენა და ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე.

ტაძრის ყველა სცენის ნალესობაზე ვხვდებით ბადისებრ ბზარებს, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან, ნალესობის გამრობის დროს, შეკუმშვის პრობლემასთან (აღნიშნული ბზარები არ არის დატანილი გრაფიკულ დოკუმენტაციაზე).



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

ფერწერული ფენის მდგომარეობის მიმოხილვა

ნალესობის მსგავსად არასტაბილური მდგომარეობა ფიქსირდება ფერწერულ ფენზეც. მეტიც, კრიტიკული მდგომარეობის მქონე ლოკაციების მასშტაბი შედარებით დიდია. ფერწერული ფენის დაზიანების ტიპებიდან მოხატული ზედაპირის საკმაოდ ფართო მონაკვეთებზე ვლინდება ფერის ფენის აქერცვლა და გაფხვიერება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ დაზიანებათა ხარისხი/სიმძიმე არათანაბრად არის გავრცელებული. გვხვდება კონკრეტული მონაკვეთები, სადაც ვხვდებით ფერის ფენის აბურცვებს, ნალესობის ფენასთან კავშირის შესუსტებას ან/და კარგვას. თითქმის თანაბარი მასშტაბით არის გავრცელებული ფერწერის დანაკარგებიც, ვხვდებით ფერწერის, როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევებს.

განსაკუთრებულად რთული დაზიანების ფორმები დაფიქსირდა აღმოსავლეთი მკლავის ბემაზე, სადაც ტექნოლოგიაში (გადაწერილ ფენაში), სავარაუდოდ, ზეთოვანი საღებავია გამოყენებული. აღნიშნულ ადგილას, დანაკარგსა და აქერცვლის რთულ ფორმებს ვხვდებით.

მხატვრობაზე დარჩენილი საკონსერვაციო მასალები

საყურადღებოა მხატვრობის ის მონაკვეთები, სადაც უკანასკნელი საკონსერვაციო/სარესტავრაციო (2021-22 წელი) სამუშაოს ფარგლებში ვერ მოხერხდა დაგეგმილი სამუშაოს დასრულება (დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედელი და აფრებშორისი თალი. მოხატულობის ამ არეალზე ვხვდებით ნალესობის ფენის დროებითი ფიქსაციისთვის გამოყენებულ საიზოლაციო ქაღალდს და სპეციალურად ინექტირებისთვის გაკეთებულ მცირე ზომის, თუმცა მრავლობით ნახვრეტებს.

შეჯამება

კედლის მხატვრობის მდგომარეობის ვიზუალური შესწავლისა და გრაფიკული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კედლის მხატვრობის არასტაბილური მდგომარეობა, რომლის გავრცელების მასშტაბი დიდია და მოიცავს დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების ზედა ორი რეგისტრის გარკვეულ მონაკვეთებს. აღნიშნულ ნაწილებში მხატვრობაზე აღინიშნება როგორც მძიმე, ისე ნაკლები სიმძიმის მქონე დაზიანებები. დაზიანებების ნაწილი აქტიური (დაზიანების სწრაფი ცვლილება) და მიმდინარეა (დაზიანების შედარებით ნელი ცვლილება), თუმცა მრავლად ვხვდებით სტაბილურ მდგომარეობებს (ისტორიულ დაზიანებებს).

მხატვრობის დაზიანებებს შორის იკვეთება მკაფიო ურთიერთკავშირები. ხშირია ისეთი შემთხვევები, სადაც ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე ორი ან მეტი სხვადასხვა ტიპის დაზიანებაა გავრცელებული. ასევე ხშირია ნელესობის და ფერწერული ფენების დაზიანების ერთმანეთთან კორელაცია.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველგან, როგორც ნალესობის, ისე ფერწერული ფენის დაზიანებებში, ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორი გამოდარჩება. მარილის მუდმივი მოქმედება აჩქარებს, როგორც ნალესობის გაუარესებას, ისე ფერწერული ფენის აქერცვლის თუ გაფხვიერების პროცესს, რაც საბოლოოდ მხატვრობის დანაკარგით სრულდება.

შენიშვნა: ამ ეტაპზე, მისიის მიზანს არ წარმოადგენს 2020-იან წლებში კედლის მხატვრობაზე განხორციელებული სხვა ჩარევების იდენტიფიცირება და მათი ადგილმდებარეობების განსაზღვრა.

3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

კრიტიკული არეალები

მთავარი სივრცის ინტერიერის მკლავების კედლის მხატვრობაზე, ვხვდებით კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაში არსებულ მხატვრობის მონაკვეთებს. კედლის მხატვრობის დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე, ასევე აფრებსა და აფრებს შორის თაღებზე ვლინდება მხატვრობის ცვენის მაღალი რისკი. დაზიანების დინამიკა მხატვრობას დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს. ასეთი მონაკვეთები იკვეთება როგორც 2021 – 2022 წლებში განხორციელებული საკონსერვაციო ჩარევის არეალებში, ისე დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ მკლავების იმ ნაწილებში, სადაც სავარაუდოდ ბოლო წლებში ჩარევა არ მომხდარა. ამ მონაკვეთებში დაზიანებულია, როგორც ნალესობის, ისე ფერწერული ფენა, ასევე ვხვდებით მარილის, როგორც ზედაპირულ, ისე სტრუქტურის შიგნით მიმდინარე კრისტალიზაციის პროცესსაც.

კედლის მხატვრობის დაზიანების დინამიკა, ცვალებადი და არასტაბილური მონაკვეთები ნათლად იკვეთება 2022 წლის 31 ოქტომბრის, 27 დეკემბრისა და 2023 წლის 9 მარტის, 5 ივლისისა და 14 ოქტომბრის მონიტორინგებშიც.

კრიტიკული არეების დეტალური ადგილმდებარეობისთვის იხილეთ გრაფიკული დოკუმენტაცია N4 - კრიტიკული არეალები



3. შეჯამება

კედლის მხატვრობის ტექნოლოგიის შეჯამება

საკვლევ არეებში არსებულ მხატვრობაზე დაკვირვებამ XVI საუკუნის, ცნობილი, მოხატული სქემის ქვეშ გამოავლინა ადრეული მხატვრობის ფენა. გამოვლენილი მხატვრობა არამხოლოდ სტილისტურად და პროგრამულად განსხვავდება XVI საუკუნის ფენისგან, არამედ ტექნოლოგიითაც. ვიზუალურმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ სქემებს შორის ნალესობისა და ფერწერული ფენის განსხვავებული შემადგენლობა და დამუშავების დამახასიათებელი ტექნიკაა.

მხატვრობის ადრეული ფენა გვხვდება დასავლეთ მკლავის კამარაზე (ჯვრის ამალღება), სამხრეთ კედელზე (საიდუმლო სერობა) და ჩრდილოეთ კედელზე (ქრისტე კაიფასთან). მაშინ, როდესაც კამარასა და სამხრეთ კედელზე ადრეული ფენის მხატვრობის მქონე ფრაგმენტები მონოქრომულია, ქრისტე კაიფასთან სცენის ქვეშ ფიგურატიული სქემა იკითხება, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი და საჭიროებს ინტერდისციპლინურ (სახელოვნებათმცოდნეო და ტექნოლოგიური მიმართულებით) კვლევას.

ადრეული ფენის გამოვლენით მეტად გამოიკვეთა კედლის მხატვრობის სტრატეგრაფიული კომპლექსურობა.

იხილეთ ცხრილი მკლავებისა და მხატვრობის პერიოდების მიხედვით კედლის მხატვრობის სტრატეგრაფიული ფენების ჩამონათვალი.



დასავლეთი მკლავის კამარა, ჯვრის ამალღება



დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი ქრისტე კაიფასთან




დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი საიდუმლო სერობა

ზევით: ადრეული მხატვრობის გავრცელების არეალები მონიშნულია ყვითლად

3. შეჯამება

ორიგინალი ტექნოლოგიის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ აღმოსავლეთი მკლავის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებსა და კამარაზე, გვიანი მხატვრობის (XVI) ფენა ადგილებში გადაწერილია. მხატვრობის გადაწერილი ფენა ტექნოლოგიით და სტილით განსხვავდება სამივე მკლავის მოხატულობისგან (XVI საუკუნე). გადაწერილი ფერწერის ფენა - მხატვრობის სქემა, ზოგ ადგილას დატანილია პირდაპირ ნალესობაზე.



3. შეჯამება

ორიგინალი ტექნოლოგიის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა კედლის მხატვრობის რთული სტრატეგია, რომელიც ქრონოლოგიის მიხედვით წარმოდგენილია ქვევით მოცემულ ცხრილში.

კედლის მხატვრობის ტექნოლოგია					
სტრატეგიის ცხრილი					
4.1 საფუძვლის ფენა					
4.1.1 ქვა					
4.1.2 დულაბი					
დასავლეთი მკლავი		სამხრეთი მკლავი		ჩრდილოეთი მკლავი	
4.2 მხატვრობის ფენა 1 (ადრეული ფენა)		4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)		4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)	
4.2.1 ნალესობის ფენა	4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტები	4.3.1 ნალესობის ფენა	4.3.1.3 ტიპი - ქვედა	4.3.1 ნალესობის ფენა	4.3.1.2 ტიპი - ზედა
	4.2.1.1 ძირითადი ნალესობა		4.3.1.4 ტიპი - ზედა		4.3.1.5 ტიპი
	4.2.1.1 მოსამზადებელი ფენა	4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა	მოსამზადებელი ნახატი გეომეტრიული მოჩარჩოება	4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა	მოსამზადებელი ნახატი გეომეტრიული მოჩარჩოება
4.2.2 მოსამზადებელი ტექნიკა	მოსამზადებელი ნახატი (წითელი კონტური ფუნჯით)	4.3.3 ფერწერის ფენა		4.3.3 ფერწერის ფენა	
4.2.3 ფერწერის ფენა					
4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)					
4.3.1 ნალესობის ფენა	4.3.1.1 ტიპი - ქვედა	ადმოსავლეთი მკლავი			
	4.3.1.2. ტიპი - ზედა				
	4.3.1.5 ტიპი - ზედა				
4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა	მოსამზადებელი ნახატი	4.4 მხატვრობის ფენა 3 (XIX)			
	გეომეტრიული მოჩარჩოება				
4.3.3 ფერწერის ფენა		4.4.1 ნალესობის ფენა		4.4.2 მოსამზადებელი ტექნიკა	
		4.4.3 ფერწერის ფენა			

ადმოსავლეთი მკლავი	
4.4 მხატვრობის ფენა 3 (XIX)	
4.4.1 ნალესობის ფენა	
4.4.2 მოსამზადებელი ტექნიკა	
4.4.3 ფერწერის ფენა	



3. შეჯამება

ტექნოლოგიის შეჯამება სტრატეგიაში ფუნქციის მიხედვით:

საფუძვლის ფენა (ქვა/დულაბი)

მთავარი ტაძრის ინტერიერში (დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კამარებზე, მიმდებარე კედლებზე და აფრებზე) საფუძვლის ფენაზე დაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დაკარგულია კედლის მხატვრობა (ნალესობის სრული დანაკარგების მონაკვეთებში). შესაბამისად, მოცემული აღწერები მხოლოდ ამ მონაკვეთების ვიზუალური დაკვირვების შედეგებს წარმოადგენს.

ვიზუალური დაკვირვებით შეინიშნება მხოლოდ ერთი ტიპის ქანი (გავს დაწალექ კარბონატულ ქანს).

შესაძლოა გამოიყოს სამი ქვეტიპი:

1. ერგვაროვანი ზედაპირის მქონე;
2. სიღრუვეებიანი;
3. წვირღფორიანი (დეტალებისთვის იხ. ვიზუალური ლექსიკონი 4.1.1)

ზედაპირის არსებული სახესხვაობები (ერთგვაროვანი, სიღრუვეებიანი და წვირღფორიანი) ან ქანის გენეზისური მახასიათებელია, ან შეცვლის პროცესებითაა გამოწვეული და დაკავშირებულია დაზიანების პროცესთან).

ქვების შეფერილობა: ღია მოთეთრო-ყავისფერი ზედაპირი, ადგილებში გამუქებული, ადგილებში ჟანგისფერი, მოწითალო-ყვითელი ლაქებითა და ზოლებით. გარდა ქანის ამ ბუნებრივი (გენეზისური და/ან ქანში მიმდინარე შეცვლის პროცესებით გამოწვეული) ფერისა, ქვას ზედაპირზე ვიზუალურად სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი უცვლის ფერს.

ქანის სტრუქტურა, ძირითადად, ერთგვაროვანია, მჭიდრომარცვლოვანი, პელიტური ან მარცვლოვანი-პელიტური

აგებულებისაა, უმეტესად მკვრივი ზედაპირით, გარკვეულ ადგილებში ქვის შესუსტებული სიმკვრივით (გაფხვიერებული) და მოგლუვებული ზედაპირით (ეროზიით). ასევე, გარკვეულ ადგილებში, ქვის ერთიანი სტრუქტურა დარღვეულია გენეზისური მიკროზარებით.

საკედლე წყობა სხვადასხვა ზომის, ძირითადად, მართკუთხა ფორმის ქვის კვადრებია. აფრებში გამოყენებულია სამკუთხა ქვები, ტაძრის მკლავების თაღებში ქვების ფორმა მორკალულია, მიმდებარე კედლებზე ნახევრადმორკალული, ხოლო აფრების კიდეებში ნახევარ-სვეტური, მომრგვალებულია, არქიტექტურული ელემენტების შესაბამისად.

კედლის **ტოპოგრაფია** უსწორმასწოროა, რაც განსაზღვრავს მხატვრობის ფენის ტოპოგრაფიასაც. ქვის კვადრების ზედაპირზე იკითხება საჭრელი იარაღის კვალი, წვრილი, მრავლობითი ჩანაჭდევი.

დულაბი

ქვებს შორის არსებული დულაბი მხოლოდ რამდენიმე ადგილას ფიქსირდება. ქვის კვადრები კედლის წყობაში, ძირითადად, მჭიდროდ (ერთმანეთთან ახლოს) არის დაკავშირებული, ამიტომ მათ შორის არსებული დულაბის ნაკერები ან არ იკითხება, ან ძალიან წვრილია (5–10 მმ–მდე).

ქვის ნაკერებში არსებულ დულაბს ახასიათებს – მონაცრისფრო-მოთეთრო ფერი, მტკიცე, მჭიდრო, მრავლობითი არაორგანული შემავსებელი, ორგანული ჩანართი არ ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ დულაბი დასავლეთ მკლავში გამოვლენილი ქვედა მხატვრობის ფენის ნალესობის მსგავსია (იხ. ნალესობის ტიპი 4.2.1.1 და 4.2.1.2).

3. შეჯამება

საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 1 და ქვეტიპი 2



მარცხნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (სცენა N6) სცენის, კონტექსტისა და მაკრო ფოტოები. ფოტოში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 1-ის მაგალითი.

მარჯვნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (სცენა N6) სცენის, კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები. ფოტოში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 2-ის მაგალითი.



Gel23_VM_MS_N6_3012_Mr



Gel23_VM_MS_N6_3009_C



Gel23_VM_MS_N6_3009_M2_sc



Gel23_VM_MS_N6_3012_C_sc



Gel23_VM_MS_N6_3012_M




Gel23_VM_MS_N6_3012_D



3. შეჯამება

საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 3

მარცხნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის თალის ჩრდილოეთ ნაწილი, კონტექსტისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 3-ის მაგალითი.





3. შეჯამება

დულაბი

ფოტოები: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი, კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები. ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვების ნაკერებში არსებული დულაბი (გავს ადრეული მხატვრობის ნაღესობას იხ. ნაღესობის ტიპი 4.2.1.2)

შენიშვნა: ფოტოებზე ასახული ნახვრეტები წარმოადგენს სტუდიო მასარის მიერ 2021-22 წლებში განხორციელებული ინვაზიური კვლევების კვალს.



3. შეჯამება

ტექნოლოგიის შეჯამება სტრატეგრაფიული ფენების მიხედვით:

ნალესობის ფენა - მხატვრობის ფენა 1

ორიგინალი ტექნოლოგიის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებსა და კამარაზე, გვიანი მხატვრობის (XVI) დანაკარგ ადგილებში გამოვლინდა მხატვრობის ადრეული ფენა, ხოლო დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე (N6) უფერწერო ნალესობის ფრაგმენტები.

ადრეული მხატვრობის ფენის ნალესობაში გამოიყოფა 3 ძირითადი კატეგორია: 4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფრაგმენტები, 4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა და 4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა.

ვიზუალური დაკვირვებით 4.2.1.1 ტიპის ნალესობის შემადგენლობა ჰგავს მხატვრობის მქონე ნალესობის ძირითად ფენას, თუმცა ნალესობის ფრაგმენტები წარმოადგენს თუ არა ადრეული მხატვრობის სტრატეგრაფიულ ფენას ამ ეტაპისთვის დაუდგენელია და საჭიროებს დამატებით კვლევებს.

წინასწარული დაკვირვებით შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფრაგმენტების ლოკაციები ფიქსირდება N6 სცენის შუა ნაწილში. იხილეთ მარჯვნივ მოცემული N6 სცენის ფოტო წითლად მითითებული ფრაგმენტების ლოკაციებით.


ადრეული მხატვრობის სტრატეგრაფიას წარმოადგენს ქვაზე დატანილი 1 სმ-მდე სისქის ღია ნაცრისფერი შეფერილობის ნალესობა, რომელსაც ახასიათებს წმინდა და წვრილმარცვლოვანი სხვადასხვა ფერისა და მორფოლოგიის არაორგანული აგრეგატული შემავსებელი.

ძირითად ნალესობას ადგილებში აღენიშნება არათანაბარი სისქის, ძირითადად თხელი 0.2 სმ-მდე მოსამზადებელი ფენა, რომელსაც აქვს არაორგანული აგრეგატული შემავსებელი. ზედაპირი კარგად დამუშავებულია, აქვს გლუვი, ერთვაროვანი ტექსტურა. შემადგენლობის თვალსაზრისით მასალა ჰგავს ძირითადი ნალესობის ფენას, შესაბამისად გარკვეულ ადგილებში რთულია ამ ორი ფენის ვიზუალურად ერთმანეთისგან გამიჯვნა.



მარცხნივ: კონტექსტის ფოტო მხატვრობის ადრეული ფენის ფრაგმენტისა, დასავლეთი მკლავის, ჩრდილოეთი კედელი, სცენა N6.

მარჯვნივ: მაკრო ფოტო, ადრეული მხატვრობის ნალესობის ფენის სტრატეგრაფია. 0 - ქვის საფუძველი 1 - ძირითადი ნალესობა 2 - მოსამზადებელი ფენა.



მარჯვნივ: მიკროსკოპული ფოტო 50X გადიდებით




3. შეჯამება

ტექნოლოგიის შეჯამება სტრატეგრაფიული ფენების მიხედვით:

ნალესობის ფენა - მხატვრობის ფენა 1

ადრეული მხატვრობის ფენის ნალესობის სტრატეგრაფიის მაგალითი:



მარჯვნივ:
მიკროსკოპული ფოტო 50X გადიდებით ნალესობის ფენის სტრატეგრაფია. 1 - ძირითადი ნალესობა 2 - მოსამზადებელი ფენა.

მარცხნივ: კონტექსტის ფოტო მხატვრობის ადრეული ფენის ფიგურის ფრაგმენტი, დასავლეთი მკლავის, ჩრდილოეთი კედელი, სენა N6.

მარჯვნივ: მაკრო ფოტო, ადრეული მხატვრობის ნალესობის ფენის სტრატეგრაფია. 1 - ძირითადი ნალესობა 2 - მოსამზადებელი ფენა.

ქვევით: გრაფიკულ დოკუმენტაციაზე ადრეული მხატვრობის გავრცელების არეალები მონიშნულია ყვითლად



3. შეჯამება

ნალესობის ფენა - მხატვრობის ფენა 2 (XVI)

ორიგინალი ტექნოლოგიის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე გვიანი მხატვრობის (XVI) ნალესობის ფენათა რაოდენობა და შემადგენლობა მკლავების მიხედვით განსხვავებულია. სხვაობას მკლავის სცენებს შორისაც ვხვდებით. გვიანი მხატვრობის ნალესობის შემადგენლობა მკვეთრად განირჩევა ადრეული მხატვრობის ნალესობებისგან. ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე შემადგენლობის მიხედვით შესაძლოა ნალესობის 5 ძირითადი ტიპის გამოყოფა:

მკლავი	სცენა	მხატვრობის ფენა 2 (XVI) ნალესობის ფენა				
		ტიპი 1 მინარეგები: არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 2 მინარეგები: *არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 3 მინარეგები: მხოლოდ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 4 მინარეგები: არაორგანული მცირე რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 5 მინარეგები: არაორგანული დიდი რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი
სამხრეთი მკლავი	ხარება - E6				✓ ხილული ფენა	
	შობა - S6				✓ ხილული ფენა	
	ნათლისღება - W5			✓ ქვედა	✓ ზედა	
	ღვთის დიდება (ემანუელის ამაღლება) – C12				✓ ხილული ფენა	
	წმინდა გიორგი - S10 (არ ჩანს ნალესობა)					
	წმინდა დემეტრე - S11 (არ ჩანს ნალესობა)					
	ქრისტეს გარდამოხსნა - E8				✓ ზედა ხილული	
	წმ დედანი მაცხოვრის საფლავთან - W8				✓ ზედა ხილული	
დასავლეთი მკლავი	საიდუმლო სერობა - S7	✓ ქვედა	✓ ზედა			
	ფერხთა ბანა - S8		✓ ზედა ხილული ფენა			
	ქრისტე გეტსიმანიის ბაღში - W6	✓ ზედა ხილული ფენა				
	იუდას ამბორი - N5	✓ ქვედა				✓ ზედა
	ქრისტე კაიფასთან - N6	✓ ქვედა				✓ ზედა
	ჯვრის ამაღლება - C14	✓ ქვედა	✓ ზედა			

3. შეჯამება

ნალესობის ფენა - მხატვრობის ფენა 2 (XVI)

მკლავი	სცენა	მხატვრობის ფენა 2 (XVI) ნალესობის ფენა				
		ტიპი 1 მინარეგები: არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 2 მინარეგები: "არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 3 მინარეგები: მხოლოდ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 4 მინარეგები: არაორგანული მცირე რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 5 მინარეგები: არაორგანული დიდი რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი
დასავლეთი მკლავი	გაბრიელ მთავარანგელოზი ხარებიდან - W9 (ნალესობა არ ჩანს)					
	ღვთისმშობელი ხარებიდან - W10 (ნალესობა არ ჩანს)					
	ღვთისმშობლის სერობა - S12 (ნალესობა არ ჩანს)					
	ღვთისმშობლის ფერხთა ბანა- S13			✓ ხილული ფენა		
	ღვთისმშობლის მიძინებისთვის. მოციქულების შეკრება - N9			✓ ხილული ფენა		
	ღვთისმშობლის ამალღება - N10			✓ ხილული ფენა		
ჩრდილოეთი მკლავი	მირქმა - W7					✓ ნალესობის 1 ფენა
	სულთმოფენობა - N7					✓ ნალესობის 1 ფენა
	ლაზარეს აღდგენება - E5					✓ ნალესობის 1 ფენა
	ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული) – C13	✓ ზედა ხილული ფენა				
	წმინდა თეოდორე მეომარი - N11					
	თევდორე ტირონი - N12					
	ჯვარცმა - E7					✓ ზედა ფენა
	ფერისცვალება - W11					✓ ზედა ხილული ფენა
ადმოსავლეთი მკლავი	ამალღება - C11 ანგელოზთა დასი - N8, S5					✓ ზედა ხილული ფენა

იხილეთ ნალესობათა განაწილება საკვლევე არეალზე სტრატეგრაფიული და ტიპური შემადგენლობის მიხედვით.

3. შეჯამება


ტექნოლოგიის შეჯამება სტრატეგრაფიული ფენების მიხედვით:

ნალესობის ფენა - მხატვრობის ფენა 2

ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე (პორტატული მიკროსკოპისა და მაკრო ფოტოგადაღების გამოყენებით) შემადგენლობის მიხედვით შესაძლოა ნალესობის 5 ძირითადი ტიპის გამოყოფა:

ტიპი 1 - ნალესობა, რომელიც შემკვრელთან ერთად შეიცავს დიდი რაოდენობის არაორგანულ აგრეგატულ მინარევებსა და ორგანულ, ყვითელი შეფერილობის მქონე მცენარეულ ნამჯის მგავს ჩანართს. გავრცელება: დასავლეთ მკლავი ძირითადად ქვედა ნალესობის ფენა, ხოლო გეთსიმანიის ბაღის სცენაში, სავარაუდოდ, ზედა ნალესობის ფენა. ასევე ჩრდილოეთ მკლავის კამარის ზედა ხილული ნალესობის ფენა.

ქვევით: დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი, S7 სტრატეგრაფია: ნალესობის ქვედა (1) ფენის - ტიპი 4.3.1.1 - მაკრო და მიკრო ფოტოები.




3. შეჯამება

ტექნოლოგიის შეჯამება სტრატეგრაფიული ფენების მიხედვით:


ნალესობის ფენა - მხატვრობის ფენა 2

ტიპი 3 - ნალესობა, რომელიც შედგება თეთრი შემკვრელისა და მცენარულ ნამჯის მსგავსი ჩანართებისგან. გავრცელება: სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედლის ქვედა ნალესობა, დასავლეთი მკლავის მესამე რეგისტრის სცენები მაგალითი იხილეთ



მარცნივ:
სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედლის ნალესობის (ტიპი 4.3.1.3) ქვედა ფენის ერთადერთი შემავსებელი - ყვითელი ფერის მცენარეული ჩანართი.

ტიპი 4 ნალესობა, რომელიც შემკვრელთან ერთად შეიცავს მცირე რაოდენობის არაორგანულ აგრეგატულ მინარევებსა და ორგანულ თეთრი შეფერილობის გამჭვირვალე ბოჭკოებს. გავრცელება: სამხრეთი მკლავის ზედა ნალესობა. მაგალითები იხილეთ ქვევით.



მარცნივ:
სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედლის ნალესობის (ტიპი 4.3.1.4) ფენა. შემავსებლად გამოყენებულია მცირე რაოდენობის არაორგანული აგრეგატები და თეთრი/გამჭვირვალე ორგანული ბოჭკოები.




3. შეჯამება


ტექნოლოგიის შეჯამება სტრატეგრაფიული ფენების მიხედვით:

ნალესობის ფენა - მხატვრობის ფენა 2

ტიპი 5 - ნალესობა, რომელიც შემკვრელთან ერთად შეიცავს დიდი რაოდენობის არაორგანულ აგრეგატულ მინარევებსა და თეთრი შეფერილობის გამჭვირვალე ორგანულ ბოჭკოებს. გავრცელება: დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის ზედა ფენა, ჩრდილოეთი მკლავის კედლები და აღმოსავლეთი მკლავის ბემა. მაგალითები იხილეთ ქვევით.



ქვემოთ: დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის ნალესობის (ტიპი 4.3.1.5) ზედა ფენა. შემავსებლად გამოყენებულია დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები და თეთრი/გამჭვირვალე ორგანული ბოჭკოები. ნალესობის არაორგანული კომპონენტები ჰგავს ტიპ 3.2.1.1-სა და 4.3.1.2-ს.



მარცნივ: ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის ნალესობის (ტიპი 4.3.1.5) ფენა. შემავსებლად გამოყენებულია დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები და თეთრი/გამჭვირვალე ორგანული ბოჭკოები. ნალესობის არაორგანული კომპონენტები ჰგავს ტიპ 3.2.1.1-სა და 4.3.1.2-ს.

3. შეჯამება

ფერწერული ფენა:

მხატვრობის ადრეული ფენა

მხატვრობის ადრეულ ფენას ვხვდებით დასავლეთ მკლავში ფრაგმენტულად. წინა საკონსერვაციო ჩარევების შედეგად ორიგინალი ფერწერული ფენის კვლევა შეზღუდულია: არის ბევრი არა-დოკუმენტირებული რეინტეგრირებული ადგილი, რაც ართულებს ორიგინალი და წინა პერიოდებში დამატებული ფენების გამიჯვნას. გარდა ამისა, გასათავალისწინებელია, რომ სრული ფერწერული ფენის სტრატეგრაფიიდან შემორჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი.

ადრეული მხატვრობის ფერწერულ ფენაში ფერთა პალიტრა მწირია: განირჩევა ლურჯი, მწვანე, წითელი და ყვითელი ფერების თითო-თითო ტონი. ფერწერული ფენა პასტელური, გამჭვირვალეა.

მხატვრობის ფენა 2 (XVI)

ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი სივრცის დიდი ნაწილი უჭრავს XVI ს-ის მხატვრობის ფენას. აქამდე არსებული სახელოვნებათმცოდნეო კვლევებში სახელდება XVI ს-ის სხვადასხვა პერიოდების რამდენიმე ფენა. თუმცა ჩვენი ჯგუფის მიერ დღემდე განხორციელებული დაკვირვებების (იხ. მეთოდოლოგია) შედეგად, ამ ეტაპისთვის საკვლევი არეალის, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების ზედა ორი რეგისტრის მხატვრობებს (გარდა ადრეული ფენისა) განვიხილავთ ერთ ფენად და აქვე დეტალურად აღვნიშნავთ სხვადასხვა ნაწილებს შორის არებულ საერთო თუ განმასხვავებელ ნიშნებს.

ლურჯი

გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების ზედა ორი რეგისტრის მხატვრობის ფერთა პალიტრის ვიზუალური დაკვირვებისას ლურჯი ფერი ძირითადად გამოვლინდა სცენათა ფონებზე, სადაც გამოსახულია ცა. გარდა ამისა, ლურჯი მოცემულია: უხვად ფიგურების სამოსისთვის, როგორც ძირითადი ფერის, ასე დამუშავებისთვის, სახის ნაკვთებზე, არქიტექტურულ ელემენტებზე და კომპოზიციის მცირე ზომის სხვადასხვა დეტალებზე.

ფერწერულ ფენაზე ვიზუალურად გამოიყოფა სამი ტიპის, ერთმანეთისგან ტონალობით მკვეთრად განსხვავებული ლურჯი: მუქი ლურჯი (ტიპი 1), ღია ლურჯი (ტიპი 2) და მომწვანო ლურჯი (ტიპი 3).



*მარცხნივ:
ჩრდილოეთი
მკლავის IV
რეგისტრის
ჩრდილოეთი
კედლის სცენა
სხვადასხვა
ტიპის
ლურჯით*

Gel23_VM_MS_N7_6014_C

3. შეჯამება

მუქი ლურჯი (ტიპი 1) გვხვდება შავში ან ცისფერში გარდამავალი გრადაციებით. ფერს არ აქვს პრიალა ზედაპირი, თუმცა ახასიათებს მცირე ბზინვარება. ფენის სისქე არათანაბარია, შექმნილია ფუნჯის მსხვილი მონასმებით. პიგმენტის პორტატული მიკროსკოპით დაკვირვებისას განირჩევა მუქი ლურჯი და ღია ცისფერი ნაწილაკები, რომელიც ერთიან შრედ აღიქმება. დაუზიანებელ ადგილებში პიგმენტის თანაფარდობა შემკვრელთან მიმართებაში მაღალია.

გავრცელება: მუქი ლურჯი დასავლეთ მკლავის IV რეგისტრის ყველა სცენაზეა წარმოდგენილი (ფონებზე, დრაპირებებსა და არქიტექტურულ დეტალებზე). აღსანიშნავია, რომ დაკვირვებების პირველი ეტაპზე ამ მკლავში სხვა ტიპის ლურჯი არ ფიქსირდება, რაც მკლავის ტექნოლოგიურ სპეციფიკაზე მიუთითებს. მუქი ლურჯის შედარებით მცირე მასშტაბის გამოყენებას ვხვდებით ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების IV რეგისტრის სცენებზე, ძირითადად, დრაპირებებზე. მუქი ლურჯი ასევე გამოყენებულია აფრებში სხვა ტიპის ლურჯებთან კომბინაციაში.

ღია ლურჯი (ტიპი 2), წარმოადგენს არაპრიალა, ნაკლებად ბზინვარე ინტენსიურ ლურჯს. ფერწერული ფენის სისქე არათანაბარია. ნაწილაკები ერთმანეთისგან არ არიან გამიჯნულნი, ფერი წარმოდგენილია ერთიან მასად.

გავრცელება: ღია ლურჯი უხვადაა გამოყენებული სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების IV რეგისტრის კომპიზიციებში, ძირითადად ცის ფონისთვის, თუმცა ასევე დრაპირებებზე და კომპოზიციის მცირე ზომის სხვა ელემენტებზეც.

მომწვანო ლურჯი (ტიპი 3), წარმოადგენს არაპრიალა, ნაკლებად ბზინვარე ლურჯს, რომლის ტონი ხშირად მწვანეში გადადის. ფერწერული ფენის სისქე არათანაბარია. პიგმენტის ნაწილები დიდია და ერთმანეთისგან გამიჯნული. მის ქვეშ ყოველთვის ვხვდებით სარჩულს, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ფერწერული ფენის ვიზუალურ აღქმაში.

გავრცელება: მომწვანო ლურჯი გამოყენებულია დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამრეთი მკლავების III რეგისტრის ყველა სცენაზე ცის ფონისთვის, სამოსზე, არქიტექტურულ ელემენტებზე და კომპოზიციის მცირე ზომის სხვა დეტალებზე, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავის IV რეგისტრის სცენებზე სამოსზე და არქიტექტურულ დეტალებზე.

აღსანიშნავია, რომ:

- ღია ლურჯი (ტიპი 2) არ გამოიყენება დასავლეთი მკლავის ზედა ორი რეგისტრის სცენებზე;
- მუქი (ტიპი 1), ღია (ტიპი 2) და მომწვანო (ტიპი 3) ლურჯი ერთად გამოყენება სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების ფიგურათა დრაპირებებზე;
- სამივე მკლავის (დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი) III რეგისტრის სცენებზე ძირითადად გამოყენებულია მომწვანო (ტიპი 3) ლურჯი.




3. შეჯამება

მუქი ლურჯი (ტიპი 1)



ზევით და მარცხნივ:
დასავლეთი მკლავის
კამარში ცის
იმიტაციისთვის
გამოყენებულია მუქი
ლურჯი (ტიპი 1).

ღია ლურჯი (ტიპი 2)





ზევით: ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე ვხვდებით ღია ლურჯით (ტიპი 2) შესრულებულ ცის ფონს. ფოტო კარგად აჩვენებს ფერწერული ფენის განსხვავებას დაზიანებულ და დაუზიანებელ ადგილებში.



3. შეჯამება

მომწვანო ლურჯი (ტიპი 3)



ზევით: და მარცხნივ
სამხრეთი მკლავის III
რეგისტრი, სახმრეთ
კედელზე მომწვანო
ლურჯის გამოყენება
(ტიპი 3) ფონისთვის. X250
გადიდებაზე კარგად ჩანს
ამ ტიპის ლურჯისთვის
დამახიათებელი მწვანე
ნაწილაკები.


3. შეჯამება

მწვანე

საკვლევ სცენებზე მწვანე ფერი გვხვდება ოთხი ძირითადი გრადაციით: მოლურჯო მწვანე, მოყვითალო მწვანე, მუქი მკვეთრი მწვანე და პასტელური თეთრში გარდამავალი მწვანე. ეს არის ინტენსიური, ნათელი, არა გამჭვირვალე მწვანე ფერის არათანაბარი სისქის ფენა. ფერწერული ფენას ეტყობა ბრტყელი მონასმები, რომლებიც მიჰყვება ნახატის ფორმებს. პორტატული მიკროსკოპით დაკვირვებისას ყველა აღნიშნული მწვანე შედგენილია ერთი ძირითადი პიგმენტით, რომლის ფერთა ტონალობებიც განპირობებულია სხვა ფერის პიგმენტის (ყვითელი, ლურჯი, თეთრი ან შავი) შერევით. მუქი მწვანის შემთხვევაში შეიმჩნევა ზედა გამჭვირვალე ფენა, რომელიც ძირითად ფერს აძლევს შედარებით პრიალა და მუქ ეფექტს.

გავრცელება: მწვანეს ვხვდებით სამივე მკლავში, როგორც IV ისე III რეგისტრის სცენებზე ფონად, დრაპირებებზე, მიწის და მცენარეული საფარის აღნიშვნებში, არქიტექტურულ დეტალებში.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ მკლავის, III რეგისტრის დასავლეთ კედელზე, ხარების კომპოზიციაზე, ფონზე ლოკალურად ვხვდებით შხამიან მწვანეს, რომელიც ძალიან განსხვავდება როგორც ზოგადი ტონალობით, ასევე სტრუქტურით დანარჩენი საღებავებისგან. სავარაუდოდ ესაა გვანინი შეკეთების, ან რომელიმე პიგმენტის ალტერაციის შედეგი. საჭიროებს დამატებით კვლევებს.



ზევი: სამხრეთი კამარის სამხრეთი კედელი. შობის სცენაზე ანგელოზის სამოსი შერულებულია მწვანე ფერით, შავ სარჩულზე.



ზევი: და მარცხნივ დასავლეთი კამარის სამხრეთი კედელი. ხარების სცენის ფონი, სადაც ვხვდებით შხამიან მწვანეს.

3. შეჯამება

წითელი

მთავარი სივრცის, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების საკვლევ სცენებზე გვხვდება წითლის საკმოდ ბევრი ტონი. სავარუდოდ, გამოყენებულია როგორც სხვადასხვა პიგმენტი, ასევე მათი მრავალგვარი ნარევი: აგურისფერი, მუქი წითელი, ჟოლოსფერი წითელი, მოყავისფრო წითელი და მათი ვარიაციები.

წითელი ფერი უხვადაა გამოყენებული სამივე მკლავში ყველა სცენაზე: მოსამზადებელი ნახატისთვის, არქიტექტურული ელემენტებისთვის, დრაპირებებისთვის, სახის დასამუშავებლად და სხვადასხვა ცალკეული დეტალებისთვის.

დრაპირებებისთვის გამოყენებული წითელი მოცემულია როგორც სუფთა ფერად, ასევე ნარევების სახით. დრაპირების ტონების ამოსაყვანად გამოყენებულია სხვადასხვა სიძლიერის თეთრნარევი წითელი. მუქისთვის კი, მუქ პიგმენტებს ამატებს იმავე ძირითად ფერს.

ზოგიერთ დეტალში, წითლის ზემოდან, შეინიშნება გამჭვირვალე ფენა, რომელიც მას ცოცხალ და შედარებით მუქ ელფერს აძლევს.

მარჯვნივ და ზევით: ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი, სულთმოფენობის სცენა. მოციქულების სამოსი შესრულებულია სხვადასხვა ტონის წითლით.



3. შეჯამება

წითელი და ნარინჯისფერი

მთავარი სივრცის, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების საკვლევ სცენებზე გვხვდება წითლის და ნარინჯისფერის საკმოდ ბევრი ტონი. სავარაუდოდ, გამოყენებულია როგორც სხვადასხვა პიგმენტები, ასევე მათი მრავალგვარი ნარევი.

ღვინისფერი წითელი

აგურისფერი წითელი

მოწითალო ნარინჯისფერი

მოყვითალო ნარინჯისფერი

ძირითადი ფერებია:

ზემოთ ჩამოთვლილი ფერები გამოყენებულია როგორც სუფთა, ასევე ნარევების, სხვადასხვა ტონების სახით. ჩვენ ოთხივე ფერს განვიხილავთ ერთად, რადგან მათი სტრუქტურა ერთნაირია და ყველა მათგანი ერთი პრინციპით გამოიყენება. მხოლოდ ტონალობაში გვაქვს მცირე სხვაობები, რაც ხშირად არცთუ მარტივი გასარჩევია.

გავრცელება: წითელი და აგურისფერის ოთხივე ფერი უხვადაა გამოყენებული სამივე მკლავში ყველა სცენაზე: მოსამზადებელი ნახატისთვის, არქიტექტურული ელემენტებისთვის, დრაპირებებისთვის, სახის დასამუშავებლად და სხვადასხვა ცალკეული დეტალებისთვის. ყველაზე უხვად სამოსისებში ვხვდებით, რომლებიც შემდეგი პრინციპითაა დამუშავებული:

ფონად გამოყენებულია სუფთა ფერი, იმის მიხედვით თუ რა ფერის სამოსის შექმნა სურს ავტორს. დამუშავებისთვის კი იყენებს უმეტეს შემთხვევაში იგივე ფერის სხვადასხვა ტონებს, თეთრი ან მუქი პიგმენტების შერევით მიღებულს.

ზოგიერთ დეტალში, წითლის და ნარინჯისფერის ზემოდან შეინიშნება გამჭვირვალე ფენა, რომელიც მას ცოცხალ და შედარებით მუქ ელფერს აძლევს.




ნარევი ფერებიდან გამოირჩევა სხვადასხვა ტონის ვარდიფერი, რომელიც მიღებულია ღვინისფერი წითლის თეთრ პიგმენტთან შერევის შედეგად, ასევე ღია ნარინჯისფერების უამრავი ტონი.



ზემოთ: დასავლეთი მკლავის III რეგისტრის ჩრდილოეთი კედლის სცენა სხვადასხვა ტიპის წითლით და ნარინჯისფერით




3. შეჯამება



მარჯვნივ და ზევით: ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი, სულთმოფენობის სცენა. მოციქულების სამოსი შესრულებულია სხვადასხვა ტონის წითლით.



წითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: სამხრეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
წითელი	ღვინისფერი	
	აგურისფერი	

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდელი	\
	ფონი	-

		სამხრეთი მკლავი							
		E6	S6	W5	E8	S10	S11	W8	C12
„საბაზისო“	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი							[
	კანი, ნაკვთები, თმა								
	ფრთა, შრავანდელი		/						/
	ფონი, პეიზაჟი						მიწა		
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი		*		*	*	*		
	არქიტექტურა	x							
	“ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი		*]						
	კანი, ნაკვთები, თმა				*		*		
	ფრთა, შრავანდელი				*\	*\			
	პეიზაჟი								
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი]					[
	კანი, ნაკვთები, თმა								
	ფრთა, შრავანდელი								/
	პეიზაჟი								

წითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: სამხრეთი მკლავის რეგისტრის სქემა 2

		სამხრეთი მკლავი								
		E6	S6	W5	E8	S10	S11	W8	C12	
„საბაზისო“	ცხოველი									
	წიგნი									
	მანდორლა									
კონტურები (*) და დეტალები (x)	ცხოველი								*	
	წიგნი								*	*
	მანდორლა									
ჩრდილები და დამუშავება	ცხოველი									
	წიგნი									
	მანდორლა									

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
წითელი	ღვინისფერი	
	აგურისფერი	

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდელი	\
	ფონი	-

წითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: დასავლეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
წითელი	ღვინისფერი	
	აგურისფერი	

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდელი	\
	ფონი	-

		დასავლეთი მკლავი										
		S7	S8	W6	N5	N6	S12	S13	W9/ w10	N9	N 10	C14
„საბაზისო“	ტანისამოსი											
	არქიტექტურა											
	„ფარდა“											
	ავეჯი,ჭურჭ.	[]]				[[
	კანი											
	ფრთა, შარ.										/	
	ფონი, პეიზაჟი							მიწა	მიწა W10			ჯვარი
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი	*	*	*	*	*	*X	*	*	X	X	*
	არქიტექტურა	*	*			*	X	X	X			
	„ფარდა“	*										
	ავეჯი, ჭურჭ.	*]	* X [* X [*	X [
	კანი, ნაკვეთები						*	*	*\	*\	*	
	ფრთა, შარ.	* \						*\	*\	*\		
	პეიზაჟი					X					*	ჯვარი *
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი											
	არქიტექტურა											
	„ფარდა“											
	ავეჯი და ჭურჭ.											
	კანი											
	ფრთა, შარ.											
	პეიზაჟი											

წითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: ჩრდილოეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
წითელი	ღვინისფერი	
	აგურისფერი	

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდელი	\
	ფონი	-

		ჩრდილოეთი მკლავი							
		E5	N7	W7	E7	N12	N11	W11	C
„საბაზისო“	ტანისამოსი	საგრაუდო							
	არქიტექტურა								
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	კანი, ნაკვთები								
	ფრთა, შრავანდელი								
	ფონი, პეიზაჟი				მინა		მინა		
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი	* X	*	*		* X	* X		
	არქიტექტურა			X					
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	კანი, ნაკვთები		*	*			ტუზი *		
	ფრთა, შრავანდელი			\					
	პეიზაჟი						X		
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								[
	კანი, ნაკვთები								
	ფრთა, შრავანდელი								
	პეიზაჟი		დეკორაცია	მინა					

ნარინჯისფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: სამხრეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

		სამხრეთი მკლავი							
		E6	S6	W5	E8	S10	S11	W8	C12
„საბაზისო“	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი	[
	კანი								
	ფრთა, შარავანდედი	\	\	\	\				
	ფონი, პეიზაჟი					-	-		
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი					x	x		
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი,ჭურჭელი		[]						
	კანი								
	ფრთა, შარავანდედი								
	პეიზაჟი								
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	კანი								
	ფრთა, შარავანდედი								
	პეიზაჟი								

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
ნარინჯის-ფერი	მოწითალო	
	მოყვითალო	

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები		
ავეჯი	[
ჭურჭელი]	
ფრთა	/	
შარავანდედი	\	
ფონი	-	

ნარინჯისფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: სამხრეთი მკლავის რეგისტრის სქემა 2

		სამხრეთი მკლავი								
		E6	S6	W5	E8	S10	S11	W8		C12
„საბაზისო“	ცხოველი									
	წიგნი									
	მანდორლა									
კონტურები (*) და დეტალები (x)	ცხოველი									
	წიგნი									
	მანდორლა									
ჩრდილები და დამუშავება	ცხოველი									
	წიგნი									
	მანდორლა									

ფერის დასახელება		ალმნიშვნელი ფერი
ნარინჯის-ფერი	მოწითალო	
	მოყვითალო	

სიტყვების ალმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდედი	\
	ფონი	-

ნარინჯისფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: დასავლეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

		დასავლეთი მკლავი										
		S7	S8	W6	N5	N6	S12	S13	W9 / w10	N9	N10	C14
„საბაზისო“	ტანისამოსი											
	არქიტექტურა											
	„ფარდა“											
	ავეჯი, ჭურჭ.		[[
	კანი											
	ფრთა, შარ.								/ W9	/		
	ფონი, პეიზ.		-									
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი				??		*		X W10	*	*	
	არქიტექტურა											
	„ფარდა“						*					
	ავეჯი, ჭურჭ.							* [
	კანი, ნაკვეთები											
	ფრთა, შარ.									*/		
	პეიზაჟი											
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი											
	არქიტექტურა											
	„ფარდა“											
	ავეჯი და ჭურჭ.						[
	კანი											
	ფრთა, შარ.											
	პეიზაჟი											

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
ნარინჯი	მოწითალო	
ს-ფერი	მოყვითალო	

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები		
ავეჯი	[
ჭურჭელი]	
ფრთა	/	
შრავანდელი	\	
ფონი	-	

ნარინჯისფერის გავრცელება სცენების მიხედვით



ზევით: ჩრდილოეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
ნარინჯის-ფერი	მოწითალო	
	მოყვითალო	

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდელი	\
	ფონი	-

		ჩრდილოეთი მკლავი							
		E5	N7	W7	E7	N12	N11	W11	C13
„საბაზისო“	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								[
	კანი								
	ფრთა, შრავანდელი								
	ფონი, პეიზაჟი								
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	„ფარდა“								
	ავეჯი,ჭურჭელი								
	კანი								
	ფრთა, შრავანდელი								
	პეიზაჟი								
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	კანი								
	ფრთა, შრავანდელი								
	პეიზაჟი								

3. შეჯამება

ყვითელი

საკვლევ სივრცეში ყვითლის ორი სრულიად განსხვავებული ტიპია წარმოდგენილი:


ტიპი 1 განეკუთვნება უხვად გამოყენებულ ყვითელი ოქრების ჯგუფს, რომელსაც ვხვდებით როგორც მოსამზადებელ ნახატში, ასევე ძირითად ფერწერულ ფენაზე: შარავანდედების, დრაპირებებისა და არქიტექტურული დეტალებისთვის. ეს ყვითელი წარმოადგენს კარგად მფარავ ინტენსიურ ერთიან ფენას, სადაც უმეტეს შემთხვევაში შემკვრელის საკმარისი რაოდენობაა გამოყენებული. ყვითლის ტიპი 1 გამოყენებულია სამივე მკლავში, თითქმის ყველა სცენაზე.

ყვითლის **ტიპი 2** არის ნათელი, თეთრში გარდამავალი, ყვითელი. ვხვდებით მის სახესხვაობებს ტონალობის მიხედვით, ინტენსიური ყვითლიდან მოთეთრო ყვითლამდე. მიკროსკოპით დაკვირვების შედეგად, ფერი კარგად შეკრულ ფენას წარმოადგენს. ტიპი 2 ყვითელი გვხვდება სამივე კამარაში, თითქმის ყველა სცენაზე: დეკორატიული ელემენტებისთვის, საბოლოო, ყველაზე ნათელი შტრიხების მისანიშნებლად. მისი ტონალობა და ფერი კონსტრასტულია სხვა ფერებთან შედარებით, რაც იძლევა სწორედ მისი საბოლოო შტრიხებად გამოყენების საშუალებას.

ქვევით და მარცნივ: ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის სულთმოფენობის სცენა. დეკორატიული ელემენტები შესრულებულია ყვითლის ტიპი 2-ით. სცენაზე ვხვდებით შელესილობის ნაკერს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა შელესილობაზე ერთი ტიპი ყვითელი, თუმცა მისი სხვადასხვა ტონია გამოყენებული.



ყვითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: სამხრეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

		სამხრეთი მკლავი							
		E6	S6	W5	E8	S10	S11	W8	C12
„საბაზისო“	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	თმა								
	ფრთა, შარავანდედი	\	\	\					\
	ფონი, პეიზაჟი								
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი		x						x
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი,ჭურჭელი								
	თმა								
	ფრთა, შარავანდედი		x \ /						
	პეიზაჟი								
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი					x	x		
	არქიტექტურა								
	“ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	თმა								
	ფრთა, შარავანდედი			\ \		\			\
	პეიზაჟი								

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
ყვითელი	ტიპი 1	
	ტიპი 2	
	ტიპი 2-ის ღია ტონი	
ოქრო		

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები		
ავეჯი	[
ჭურჭელი]	
ფრთა	/	
შარავანდედი	\	
ფონი	-	

ყვითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: სამხრეთი მკლავის რეგისტრის სქემა 2

		სამხრეთი მკლავი							
		E6	S6	W5	E8	S10	S11	W8	C12
„საბაზისო“	ცხოველი								
	წიგნი								
	მანდორლა								
კონტურები (*) და დეტალები (x)	ცხოველი								
	წიგნი								x
	მანდლორლა								
ჩრდილები და დამუშავება	ცხოველი								
	წიგნი								
	მანდლორლა								

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
ყვითელი	ტიპი 1	
	ტიპი 2	
	ტიპი 2-ის ღია ტონი	
ოქრო		

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდელი	\
	ფონი	-

ყვითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით




ზევით: დასავლეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
ყვითელი	ტიპი 1	
	ტიპი 2	
	ტიპი 2-ის ღია ტონი	
ოქრო		

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები	ავეჯი	[
	ჭურჭელი]
	ფრთა	/
	შრავანდელი	\
	ფონი	-

		დასავლეთი მკლავი										
		S7	S8	W6	N5	N6	S12	S13	W9 / w10	N9	N10	C14
„საბაზისო“	ტანისამოსი											
	არქიტექტურა											
	„ფარდა“											
	ავეჯი,ჭურჭ.											
	თმა											
	ფრთა, შარ.	\	\	\	\		\	\	\	\	\	
	ფონი, პეიზ.											ჯვარი
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი						X *	x W9	*xW10		* X	
	არქიტექტურა		X			X	X					
	„ფარდა“		X				X [
	ავეჯი, ჭურჭ.		* X				X					
	თმა									*		
	ფრთა, შარ.									*/		
	პეიზაჟი											
ჩრდილები და დამუშავება	ტანისამოსი											
	არქიტექტურა											
	„ფარდა“											
	ავეჯი და ჭურჭ;											
	თმა											
	ფრთა, შარ.	\	\	\	\		\	\	\	\	\	
	პეიზაჟი											

ყვითელი ფერის გავრცელება სცენების მიხედვით



ზევით: ჩრდილოეთი მკლავის 2 რეგისტრის სქემა

ფერის დასახელება		აღმნიშვნელი ფერი
ყვითელი	ტიპი 1	
	ტიპი 2	
	ტიპი 2-ის ღია ტონი	
ოქრო		

სიტყვების აღმნიშვნელი სიმბოლოები		
ავეჯი	[
ჭურჭელი]	
ფრთა	/	
შრავანდელი	\	
ფონი	-	

		ჩრდილოეთი მკლავი							
		E5	N7	W7	E7	N12	N11	W11	C13
„საბაზისო“	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	თმა								
	ფრთა, შრავანდელი	\				\		\	\
	ფონი, პეიზაჟი							-	
კონტურები (*) და დეტალები (x)	ტანისამოსი		x			x		x	
	არქიტექტურა	x	x	x					
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								x [x [
	თმა		*						
	ფრთა, შრავანდელი								
ჩრდილები და დამუშავება	პეიზაჟი								
	ტანისამოსი								
	არქიტექტურა								
	„ფარდა“								
	ავეჯი, ჭურჭელი								
	თმა								
	ფრთა, შრავანდელი	\				\		\	\
პეიზაჟი									

4. ტექნოლოგიის ვიზუალური ლექსიკონი



4. ტექნოლოგიის ვიზუალური ლექსიკონი

განმარტება

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების კამარებისა და აფრების კედლის მხატვრობის ტექნოლოგიის აღსაწერად მოცემულია კედლის მხატვრობის შესრულების ტექნოლოგია სტრატეგრაფიული ფენების მიხედვით. სტრატეგრაფიული ფენები მოიცავს საფუძველს, ნალესობასა და ფერწერის (ამ ეტაპზე ნაწილობრივ ფარავს 4 ფერს) ფენებსა და მათი შესრულების ტექნიკა-ტექნოლოგიას. აღწერა-დოკუმენტაცია მოხდა ვიზუალური კვლევის საფუძველზე (მაკრო ფოტოგადაღებებისა და მიკროსკოპული დაკვირვებების საშუალებით). ვიზუალური დაკვირვებების პარალელურად მოხდა არსებული საკონსერვაციო-ანალიტიკური კვლევების ანგარიშების დამუშავებაც.



4. ტექნოლოგიის ვიზუალური ლექსიკონი

კედლის მხატვრობის ტექნოლოგია				
სტრატეგრაფიის ცხრილი				
4.1 საფუძვლის ფენა				
4.1.1 ქვა				
4.1.2 დუღაბი				
დასავლეთი მკლავი		სამხრეთი მკლავი		
4.2 მხატვრობის ფენა 1 (ადრეული ფენა)		4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)		
4.2.1 ნალესობის ფენა	4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტები	4.3.1 ნალესობის ფენა	4.3.1.3 ტიპი - ქვედა	
	4.2.1.1 ძირითადი ნალესობა		4.3.1.4 ტიპი - ზედა	
	4.2.1.1 მოსამზადებელი ფენა	4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა	4.3.2 მოსამზადებელი ნახატი	4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა
4.2.2 მოსამზადებელი ტექნიკა	მოსამზადებელი ნახარი (წითელი კონტური ფუნჯით)	4.3.3 ფერწერის ფენა	4.3.3.1 ლურჯი	
4.2.3 ფერწერის ფენა	4.2.3.1 ლურჯი		4.3.3.2 მწვანე	4.3.3.1 ლურჯი
	4.2.3.2 მწვანე		4.3.3.3 წითელი	4.3.3.2 მწვანე
	4.2.3.3 წითელი		4.3.3.4 ყვითელი	4.3.3.3 წითელი
4.2.3.4 ყვითელი			4.3.3.4 ყვითელი	
4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)				
4.3.1 ნალესობის ფენა	4.3.1.1 ტიპი - ქვედა			
	4.3.1.2. ტიპი - ზედა			
	4.3.1.5 ტიპი - ზედა			
4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა	4.3.2 მოსამზადებელი ნახატი			
	4.3.2 გეომეტრიული მოჩარჩოება			
4.3.3 ფერწერის ფენა	4.3.3.1 ლურჯი			
	4.3.3.2 მწვანე			
	4.3.3.3 წითელი			
	4.3.3.4 ყვითელი			

აღმოსავლეთი მკლავი	
4.4 მხატვრობის ფენა 3 (XIX)	
4.4.1 ნალესობის ფენა	
4.4.2 მოსამზადებელი ტექნიკა	
4.4.3 ფერწერის ფენა	

ცხრილში მოცემულია ვიზუალური ლექსიკონის სტრუქტურა მხატვრობის სტრატეგრაფიული ფენებისა და მათი ტიპების მიხედვით. ფენათა განაწილება ნაჩვენებია მთავარი სივრცის მკლავების მიხედვით.

შენიშვნა: ფერწერის ფენის ფერები აღნიშნავს მხოლოდ იმ ფერებს, რომლებიც კვლევის ამ ეტაპზე იქნა მიმოხილული.

4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

4.1.2 დულაბი



4.1 საფუძვლის ფენა

საფუძვლის ფენაზე (ქვასა და დუღაბზე) ინტერიერში (მთავარი ტაძრის დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კამარებზე, მიმდებარე კედლებზე და აფრებზე) დაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დაკარგულია კედლის მხატვრობა (ნალესობის სრული დანაკარგების მონაკვეთებში). შესაბამისად, მოცემული აღწერები მხოლოდ ამ მონაკვეთების ვიზუალური დაკვირვების შედეგებს წარმოადგენს. დაკვირვებები და შესაბამისი ვიზუალური დოკუმენტირება მოხდა პორტატული მიკროსკოპის გამოყენებითა და მაკრო ფოტოგადაღებით.

მარჯვნივ მოცემულია ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია ის ადგილები (მკლავები, სცენები), სადაც საფუძვლის ფენა არის გამოჩენილი (ნალესობის სრული დანაკარგის ადგილებში).

მკლავი	სცენა	საფუძვლის ფენა			
		ქვა			დულაბი
		ქვეტიპი 1	ქვეტიპი 2	ქვეტიპი 3	
სამხრეთი მკლავი	ხარება - E6				
	შობა - S6				
	ნათლისღება - W5	✓			✓
	ღვთის დიდება (ემანუელის ამაღლება) - C12				
დასავლეთი მკლავი	საიდუმლო სერობა - S7	✓			✓
	ფერხთა ბანა - S8				
	ქრისტე გეტსიმანიის ბაღში - W6				
	იუდას ამბორი - N5		✓		
	ქრისტე კაიფასთან - N6	✓	✓		
	ჯვრის ამაღლება - C14	✓		✓	
ჩრდილოეთი მკლავი	მირქმა - W7	✓			
	სულთმოფენობა - N7	✓			✓
	ლაზარეს აღდგინება - E5		✓		
	ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული) - C13				
აფრები	ჩრდილო-დასავლეთი აფრა - P4		✓	✓	
	სამხრეთ-დასავლეთი აფრა - P7		✓	✓	
	ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრა - P5				

4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

კედლის წყობაში გამოყენებული ქვა ვიზუალური დაკვირვებით ჰგავს **კარბონატულ დანალექ ქანს**. იმ ადგილებში, სადაც საფუძვლის ფენა იკითხება, არ შეინიშნება სხვა გენეზისის ქანის არცერთი კვადრი.

წყობაში გამოყენებული ქანის მახასიათებლების (სტრუქტურისა და ფორიანობის) მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე **ქვეტიპის*** გამოყოფა:

1. მჭიდრო აგებულების, პელიტომორფული სტრუქტურის, **ერთგვაროვანი ზედაპირის**, მკვრივი – წყობის ძირითადი ნაწილი, ჩანს მკლავების კამარებსა და კედლების ზედა ნაწილებში;
2. **სიღრუვეებიანი** (კარსტული), პელიტომორფული სტრუქტურის, მკვრივი, თუმცა არსებულ სიღრუვეებში შესუსტებული (ფხვიერი) – გამოყენებულია წყობის გარკვეულ ადგილებში, ჩანს მკლავების კამარების მიმდებარე კედლების ქვედა ნაწილებში (ზედა სცენების ქვედა მონაკვეთებში) და აფრებზე;
3. **წვრილფორიანი**, მარცვლოვან–პელიტომორფული სტრუქტურის, მკვრივი – ჩართულია წყობაში მხოლოდ რამდენიმე ადგილას, ჩანს აფრების მიმდებარე თაღებზე.

* **საკვლევი საკითხი** – ქანის მინერალოგიური შემადგენლობის, ფიზიკურ–მექანიკური მახასიათებლებისა და ქანში არსებული შეცვლის პროცესების დადგენა სხვადასხვა ადგილებიდან აღებულ ნიმუშებზე, ვიზუალური დაკვირვებით სხვადასხვა ქვეტიპის ქანიდან. **სავარაუდო საჭირო ანალიზები** – შლიფის პეტროგრაფიული კვლევა, გრანულომეტრია, რეაქცია მარილმჟავაზე, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი, წინააღობა ერთღერძა კუმშვაზე შმიდტის ჩაქუჩით (ადგილზე, არა–დესტრუქციული) ან წერტილოვანი დატვირთვით (ლაბორატორიული, ნიმუშის ადგილით), სიმკვრივე, წყალშთანთქმა, ფორიანობა, ბუნებრივი ტენიანობა, ცინვამედეგობა.

4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 1 და ქვეტიპი 2

ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტოპარატი
---------	------------------------	----------	------------



მარცხნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (სცენა N6) სცენის, კონტექსტისა და მაკრო ფოტოები. ფოტოში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 1-ის მაგალითი.

მარჯვნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (სცენა N6) სცენის, კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები. ფოტოში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 2-ის მაგალითი.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 3

ნიმუში N	3035	ლოკაცია	VM_MS_P4 (დას. მკლავის თალი)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------------	----------	-----------------------------------

მარცხნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის თალის ჩრდილოეთ ნაწილი, კონტექსტისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ქვეტიპი 3-ის მაგალითი.



4.1 საფუძვლის ფენა
4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი

წყობაში გამოყენებული აღნიშნული სამივე ქვე-ტიპის (ერთვაროვანი ტექსტურის, სიღრუვეებიანი და წვრილფორიანი) ქვებს ახასიათებს:

ღია მოთეთრო-ყავისფერი ზედაპირი, ადგილებში გამუქებული, ადგილებში ჟანგისფერი, მოწითალო-ყვითელი ლაქებითა და ზოლებით*.

გარდა ქანის გენეზისური შემადგენლობითა და/ან სტრუქტურაში მიმდინარე ფერისცვლის პროცესებით გამოწვეული ჩამოთვლილი ფერებისა, ქვებზე აღინიშნება მათი ზედაპირის ფერის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებიც – სხვადასხვა ნადები, რაც ქანს ნადების ქვეშ არსებულ რეალურ ფერს ვიზუალურად უცვლის. გარკვეულ ადგილებში ქვები დაფარულია ნალესობიდან დარჩენილი ლაქობრივი მონაცრისფრო-თეთრი ნადებით ან ნალესობის დაზიანებული ნარჩენი ფრაგმენტებით, ადგილებში გამომარჩილების თეთრი ფერის ფენით, ადგილებში მოვარდისფრო წერტილოვანი ლაქებით*, ხოლო ადგილებში წინა პერიოდის სარესტავრაციო სამუშაოების დროს შესრულებული და დღეისათვის მოხსნილი და/ან დაკარგული ქიმებისა და შევსებების ნარჩენით (მოვარდიფრო ზოლები და ლაქები), ასევე ქვების ზედაპირზე შეინიშნება დაუზუსტებელი მასალის ნაწუწები და მხატვრობიდან წყლის მიერ ჩამორეცხილი საღებავი. პირველადი დაკვირვების შედეგად, მხოლოდ ერთ ადგილას, დასავლეთ მკლავის ჩრილოეთ კედელზე, ამჟამად (2022 წლის სამუშაოებისას) მოხსნილი XX საუკუნის შევსებების ადგილზე, დაფიქსირდა მუქი ფერის მცირე ზომის ეგზოგენური ლაქები, პრიალა ზედაპირით.

(შენიშვნა: ფერების სხვადასხვაობა ქანების აღნიშნულ ქვე-ტიპებთან კავშირში არ არის, სამივე ქვე-ტიპის ქვებს ახასიათებს ჩამოთვლილი ფერების ყველა ვარიაცია).

* საკვლევი საკითხი – ფერის ვარიაციის მიზეზის დადგენა, ქანში არსებულ შეცვლის პროცესებთან (გამოჟანგვა, გათიხება) და/ან გენეზისურ მინერალოგიურ შემადგენლობასთან დაკავშირება (რკინისა და თიხური მინერალების შემცველობა), შესაძლო ფერისცვლის სხვა მიზეზების კვლევა (მარილები, ბიოლოგიური კოლონიზაცია), მიღებული შედეგებისა და ქანის დაზიანების სახეების კავშირის დადგენა. შეცვლის პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შედეგად ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების დადგენა სხვადასხვა ადგილებიდან აღებულ სხვადასხვა ფერის ნიმუშებზე. **სავარაუდო საჭირო ანალიზები** – შლიფის პეტროგრაფიული კვლევა, რენტგენოფლუორესცენციური ანალიზი, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი, წინააღობა ერთდერმა კუმშვაზე შმიდტის ჩაქუჩით (ადგილზე, არა-დესტრუქციული) ან წერტილოვანი დატვირთვით (ლაბორატორიული, ნიმუშის ადგილით), სიმკვრივე, წყალშთანთქმა, ფორიანობა, ბუნებრივი ტენიანობა, ყინვამედეგობა. მარილების ქიმიური ანალიზი, ბიოლოგიური დაზიანების კვლევა.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა



მხასიათებელი: ფერი, მოთეთრო-ყავისფერი, ადგილებში გამუქებული.

ნიმუში N 3014_1

ლოკაცია VM_MS_S7 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი

ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) გამუქებული ზედაპირი.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი, ადგილებში ჟანგისფერი.

ნიმუში N	3026	ლოკაცია	VM_MS_N7 (ჩრდ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	-----------------------------------

ქვევით: მთავარი სივრცის ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ჟანგისფერი ლაქები.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მხასიათებელი: ფერი, მოწითალო-ყვითელი ლაქებითა და ზოლებით.

ნიმუში N 3034

ლოკაცია VM_MS_N7 (ჩრდ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ფოტოები: მთავარი სივრცის ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის (ქვის) ზედაპირი მოწითალო-ყვითელი ლაქებითა და ზოლებით.



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N7_3034_C




პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N7_3034_D_sc



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_N7_3034_Nim_50x_r



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N7_3034_Nim_50x



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი, ქვის ზედაპირის ფერის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

ლოკაცია	VM_MS_N5 და VM_MS_S5 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი
---------	------------------------------------	----------	-------------



მარცხნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელი. კონტექსტისა და მაკრო ფოტოები.



მარჯვნივ და ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთ მკლავის სამხრეთი კედელი. კონტექსტისა და მაკრო ფოტოები.



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_S7_3013_C_sc



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N5_3004_C_sc

ფოტოებზე ილუსტრირებულია ნაღესობის დარჩენილი ლაქობრივი მონაცრისფრო-თეთრი ნადები და ნაღესობის დაზიანებული ნარჩენი ფრაგმენტები.



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N5_3004_M



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_S7_3013_M2_sc



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი, ქვის ზედაპირის ფერის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

ლოკაცია	VM_MS_N5 და VM_MS_S5 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი
---------	------------------------------------	----------	-------------



მარჯვნივ და ზევით:
 მთავარი სივრცის
 სამხრეთ მკლავის
 დასავლეთ კედელი.
 კონტექსტის,
 დეტალისა და მაკრო
 ფოტოები.
 ფოტოებზე
 ილუსტრირებულია
 ქვის ზედაპირზე
 არსებული მარილის
 თეთრი ფერის
 ნადები და
 კრისტალიზაცია.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი, ქვის ზედაპირის ფერის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

ნიმუში N 3050_b

ლოკაცია VM_MS_W7 (ჩრდ. მკლავი)

ხელსაწყო

ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ფოტოები: მთავარი სივრცის ჩრდილოეთ მკლავის დასავლეთ კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებზე ილუსტრირებულია ქვის ზედაპირზე არსებული მოვარდისფრო წერტილოვანი ლაქები.






4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი, ქვის ზედაპირის ფერის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

ნიმუში N	3015_1	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	-----------------------------------

ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვის ზედაპირზე ქიმებისა და შევსებების ნარჩენით (მოვარდისფრო ზოლები და ლაქები).



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი, ქვის ზედაპირის ფერის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

ნიმუში N	3017	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	-----------------------------------

ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვის ზედაპირზე არსებული დაუზუსტებელი მასალის ნაწილები.




4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: ფერი, ქვის ზედაპირის ფერის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

ნიმუში N	3033_2	ლოკაცია	VM_MS_N7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	-----------------------------------

ქვევით: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (ამჟამად, 2022 წლის სამუშაოებისას, მოხსნილი XX საუკუნის შევსებების ადგილი). კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვის ზედაპირზე არსებული მუქი ფერის მცირე ზომის ეგზოგენური ლაქები, პრიალა ზედაპირით.



4.1 საფუძვლის ფენა	
4.1.1 ქვა	

მახასიათებელი:	აგებულება / სტრუქტურა
----------------	-----------------------

წყობაში გამოყენებული აღნიშნული სამივე ქვე-ტიპის (ერთვაროვანი ზედაპირის, სიღრუვეებიანი და წვრილფორიანი) ქვებს ახასიათებს:

ერთნაირი აგებულება / სტრუქტურა – ქანი მჭიდრომარცვლოვანი, პელიტური ან მარცვლოვან-პელიტური აგებულებისაა, უმეტესად მკვრივი ზედაპირით*, თუმცა, გარკვეულ ადგილებში ქვის შესუსტებული სიმკვრივით* (გაფხვიერებული) და მოგლუვებული ზედაპირით* (ეროზიით). ასევე, გარკვეულ ადგილებში, ქვის ერთიანი სტრუქტურა დარღვეულია გენეზისური მიკროზარებით.

ნაკლებად მკვრივი, ფხვიერი და მოგლუვებული ზედაპირის ქვები, ძირითადად, არის აფრებში და მიმდებარე თაღებზე, (იქ, სადაც, სავარაუდოდ, ტაძარში წყლის ინფილტრაციის პრობლემა საუკუნეების განმავლობაში იდგა არსებობდა). ასევე ლოკალურად მკლავებშიც. ფხვიერი სტრუქტურა ადგილებში არის იმ ადგილებში, სადაც ჟანგისფერი ლაქებია.

წყობაში გამოყენებულია განსხვავებული გენეზისური ჩანართის მქონე ქვაც – ჩრდილოეთ მკლავის ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში ჩანს კვადრი მუქი ყავისფერი, მინისებრი ტექსტურის ძარღვით.

(შენიშვნა: ზედაპირის სიმკვრივის სხვადასხვაობა ქანების აღნიშნულ ქვე-ტიპებთან კავშირში არ არის, სამივე ქვე-ტიპის ქვებს ახასიათებს როგორც მკვრივი, ასევე შესუსტებული სიმკვრივის ზედაპირები).

* საკვლევი საკითხი – ზედაპირის სიმკვრივის სხვადასხვაობის მიზეზის დადგენა, ქანში არსებულ შეცვლის პროცესებთან (ცემენტის კარგვა) და/ან გენეზისურ მინერალოგიურ შემადგენლობასთან დაკავშირება. ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების დადგენა და ერთმანეთთან შედარება, სხვადასხვა ადგილებიდან აღებული, სხვადასხვა სიმკვრივის ზედაპირის მქონე ნიმუშებზე. სავარაუდო საჭირო ანალიზები – შლიფის პეტროგრაფიული კვლევა, წინააღობა ერთდერმა კუმშვაზე შმიდტის ჩაქუჩით (ადგილზე, არა-დესტრუქციული) ან წერტილოვანი დატვირთვით (ლაბორატორიული, ნიმუშის აღებით), სიმკვრივე, წყალშთანთქმა, ფორიანობა, ბუნებრივი ტენიანობა, ყინვამედეგობა.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: აგებულება/სტრუქტურა - გენეზისური მიკრობზარები


ნომერი N 3008

ლოკაცია VM_MS_N6 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ფოტოები: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x. გადიდებით ფოტოებში ილუსტრირებულია ქვის ზედაპირზე არსებული გენეზისური მიკრობზარები.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: აგებულება/სტრუქტურა - ფხვიერი ზედაპირი





ნიმუში N 3032_2

ლოკაცია VM_MS_N7 (ჩრდ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ფოტოები: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი. კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვის შესუსტებული სიმკვრივე, ფხვიერი ზედაპირი.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

მახასიათებელი: აგებულება/სტრუქტურა - ფხვიერი ზედაპირი

ნიმუში N	3049	ლოკაცია	VM_MS_P7 (ჩრდ.-დას. აფრა)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	---------------------------	----------	-----------------------------------



ფოტოები: მთავარი სივრცის ჩრდილო-დასავლეთ აფრა, კონტექსტისა და მაკრო ფოტოები. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვის შესუსტებული სიმკვრივე, ფხვიერი და აქერცლილი ზედაპირი.



ფოტოები: მიკროსკოპულ ფოტოებზე 50x გადიდებაზე ჩანს ქვის ფხვიერი ზედაპირი და გამომარილება (ლოკაცია, ჩრდილო-დასავლეთ აფრა - ადგილი, სადაც წყლის ინფილტრაცია ისტორიის მანძილზე სავარაუდოდ ინტენსიური იყო).



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა


მახასიათებელი: აგებულება/სტრუქტურა - განსხვავებული გენეზისური ჩანართის მქონე ქვა

ნიმუში N 3033

ლოკაცია VM_MS_N7 (ჩრდ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი

ფოტოები: მთავარი სივრცის ჩრდილოეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელი, კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები. ფოტოებში ილუსტრირებულია განსხვავებული გენეზისური ჩანართის (მარღვის) მქონე ქვის კვადრი.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

კედლის წყობა	კვადრების ფორმა, ზომა, ტოპოგრაფია, გავრცელება
---------------------	--

საკედლე წყობა, ძირითადად, მართკუთხა ფორმის ქვის კვადრებია, ხოლო აფრებში გამოყენებულია სამკუთხა ქვები.

ტაძრის მკლავების თაღებში ქვებს აქვს მორკალული ფორმა, მიმდებარე კედლებზე ნახევრადმორკალული, ხოლო აფრების კიდეებში ნახევარ-სვეტური, მომრგვალებული, არქიტექტურული ელემენტების შესაბამისად.

კედლის წყობაში ვხვდებით სხვადასხვა ზომის (სიგრძე-სიგანის) კვადრებს, ძირითადი ზომებია 1.5 მ X 1.3 მ–დან 0.8 მ X 0.7 მ–მდე. თუმცა, ადგილებში ჩანს მცირე ზომის ჩართული ქვებიც (მაგალითად, სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე ქვა ზომით 55 სმ X 10 სმ), ხოლო გარკვეული არქიტექტურული ელემენტებისათვის გამოყენებულია განსაკუთრებულად დიდი ზომის ქვებიც (მაგალითად, აფრებზე – ქვა სიგრძით 2მ.).

კედლის ტოპოგრაფია ტაძრის მკლავებში უსწორმასწოროა, ადგილებში ქვის კვადრი კედლიდან ამოწეულია, ზოგან კი პირიქით – ჩავარდნილია. გუმბათქვეშა (აფრების დამაკავშირებელ) თაღებზე გამოყენებული ქვების ნაწილს კუთხეები ჩამოტეხილი აქვს (დაფარულია მხატვრობის ფენით). კედლის ამგვარი უსწორმასწორო წყობა განსაზღვრავს მხატვრობის ფენის ტოპოგრაფიასაც.

ქვის კვადრების ზედაპირზე იკითხება საჭრელი იარაღის კვალი, წვრილი, მრავლობითი ჩანაჭდევი, რაც ყველა ქვაზე თითქმის ერთნაირია, რაიმე მნიშვნელოვნად განსხვავებული იარაღის კვალი არ ფიქსირდება.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

კედლის წყობა: ქვის კვადრების სხვადასხვა ფორმები

ლოკაცია VM_MS_W5 (სამხრ. მკლავი) / _P7 (ჩრდ.-დას. აფრა) / _N7 (ჩრდ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი



ფოტოები: მთავარი სივრცის აფრა და მკლავების სხვადასხვა კედლები. ფოტოებზე ილუსტრებულია სხვადასხვა არქიტექტურული ელემენტის შესაბამისი ქვის კვადრების ფორმები.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

კედლის წყობა: ქვის კვადრების სხვადასხვა ზომები

ლოკაცია VM_MS_W5 (სამხრ. მკლავი)

ხელსაწყო

ფოტოაპარატი



ფოტოები: მთავარი სივრცის მკლავის კედელი, და დეტალების ფოტოებზე ილუსტრირებულია სხვადასხვა ზომის ქვის კვადრები.



4.1 საფუძვლის ფენა


4.1.1 ქვა

კედლის წყობა: ქვის კვადრების სხვადასხვა ფორმები

ლოკაცია	VM_MS_W6 (დას. მკლავი) / _P4 (ჩრდ.-დას. აფრა)	ხელსაწყო	ფოტოაპარატი
---------	---	----------	-------------



Gel23_VM_MS_W6_4000_C



ფოტოები: მთავარი სივრცის დასავლეთ მკლავი და ჩრდილო-დასავლეთი აფრა. ფოტოებზე ილუსტრირებულია კამარებში ქვების მორკალული ფორმა, მიმდებარე კედლებზე ნახევრადმორკალული, ხოლო აფრების კიდეებში ნახევარ-სვეტური, მომრგვალებული, არქიტექტურული ელემენტების შესაბამისად.



Gel23_VM_MS_W6_4001_C



Gel23_VM_MS_W6_4002_C



Gel23_VM_MS_P4_3045_C



Gel23_VM_MS_P4_3045_C




4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა


კედლის წყობა: საფუძვლის ფენის ტოპოგრაფია

ლოკაცია VM_MS_W5 (სამხრ. მკლავი) / _P7 (ჩრდ.-დას. აფრა) / _N7 (ჩრდ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი



ფოტოები: მთავარი სივრცის დასავლეთ მკლავის კამარის აღმოსავლეთი ნაწილი (გუმბათოვან აფრების დამაკავშირებელი თალი) და სამხრეთ მკლავის კამარა. ფოტოებზე ილუსტრირებულია საფუძვლის ფენის უსწორმასწორო ტოპოგრაფია, რაც განსაზღვრავს მხატვრობის ფენის ტოპოგრაფიასაც.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.1 ქვა

კედლის წყობა: ქვის ზედაპირის დამუშავება

ლოკაცია VM_MS_S7 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი



ფოტოები: მთავარი სივრცის დასავლეთ კამარის აღმოსავლეთ ნაწილი (გუმბათქვეშა აფრების დამაკავშირებელი თალი) და სამხრეთ მკლავების კამარა. ფოტოებზე ილუსტრირებულია ქვის ზედაპირის დამუშავება - საჭრელი იარაღის კვალი, წვრილი, მრავლობითი ჩანაჭდევი.



4.1 საფუძვლის ფენა
4.1.2 დულაბი

დახასიათება	გავრცელება, ნაკერის სიგანე, მასალის ფერი, შემკვრელი და ჩანართები
--------------------	---

ქვებს შორის არსებული დულაბი მხოლოდ რამდენიმე ადგილას ფიქსირდება, მაგალითად, დასავლეთ მკლავის სამხრეთი კედელი, სამხრეთ მკლავის დასავლეთი კედელი, ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელი.

ქვის კვადრები კედლის წყობაში, ძირითადად, მჭიდროდ (ერთმანეთთან ახლოს) არის დაკავშირებული, ამიტომ მათ შორის არსებული დულაბის ნაკერები ან არ იკითხება, ან ძალიან წვრილია (5–10 მმ–მდე), თუმცა, ლოკალურ მონაკვეთებში ქვებს შორის შევსება საკმაოდ ფართოა, მაგალითად, სამხრეთ მკლავის დასავლეთ კედელზე ქვის კვადრის ჩამოტეხილი კიდე შევსებულია დულაბით და ქვის ნატეხებით.

ვიზუალურად გარჩევადი, ქვის ნაკერებში არსებული დულაბი, ვიზუალური და პორტატული მიკროსკოპული დაკვირვებით ერთნაირია*:

ახასიათებს: მონაცრისფრო-თეთრი ფერი, მტკიცე, მჭიდრო თეთრი ფერის შემკვრელითა და მრავლობითი არაორგანული შემავსებლით, ორგანული ჩანართი არ ფიქსირდება. არაორგანული მინარევი ნახევრადდაკუთხული და ნახევრადდამრგვალებული, პომილიქტური, სხვადასხვა ფერის, ძირითადად, მუქი მოშავო, მომწვანო, მოყვითალო და მოწითალო მარცვლებია. აღსანიშნავია, რომ მოცემული დულაბი მსგავსია დასავლეთ მკლავში გამოვლენილი ადრეული მხატვრობის ფენის ნალესობისა (იხ. ნალესობის ტიპი 4.2.1.2 და 4.2.1.1).

გარკვეულ ადგილებში შეინიშნება ისტორიული ამოვსებები, მაგალითად, სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე, ჩანს კვარდებს შორის ამოვსებული ნაკერები, რომელიც სხვა ადგილებში არსებული, ძირითადი ტიპის დულაბისგან განსხვავებულია მასალის შემადგენლობით – თეთრი ფერის მასა, ჩანართების გარეშე, რაც ვიზუალური დაკვირვებით იდენტურია ამავე მონაკვეთში გამოყენებული ქვედა ნალესობის მასალასისა (იხ. ნალესობის ტიპი 4.2.1.3).

გარკვეულ ადგილებში დულაბის ზედაპირზე ჩანს ნაცრისფერი და მოვარდისფრო ფერის ნარჩენი მასალა, წინა პერიოდის სარესტავრაციო სამუშაოების დროს შესრულებული ქიმების დარჩენილი აგრეგატები.

* **საკვლევი საკითხი** – დულაბის შემადგენლობისა და გრანულომეტრიის დადგენა, სხვადასხვა ადგილიდან (მკლავები, სცენები) აღებულ ნიმუშებზე, ნალესობის სხვადასხვა ტიპის ნიმუშების ანალიზებთან შედევების შედარება. **სავარაუდო საჭირო ანალიზები** – შლიფის პეტროგრაფიული კვლევა, გრანულომეტრია, რეაქცია მარილმჟავაზე, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი.



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.2 დულაბი



დულაბი: დასავლეთ მკლავში

ნიმუში N 3014_2

ლოკაცია VM_MS_S7 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი

ფოტოები: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი, კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები. ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვების ნაკერებში არსებული დულაბი (გავს ადრეული მხატვრობის ნაღესობას იხ. ნაღესობის ტიპი 4.2.1.2)



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.2 დულაბი

დულაბი: სამხრეთ მკლავში




ნიმუში N 3021_a

ლოკაცია VM_MS_W5 (სამხ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ფოტოები: მთავარი სივრცის ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელი, კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები. ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x გადიდებით. ფოტოებში ილუსტრირებულია ქვების ნაკერებში არსებული დულაბი (გავსადრეული მხატვრობის ნალესობას იხ. ნალესობის ტიპი 4.2.1.2)



4.1 საფუძვლის ფენა

4.1.2 დულაბი

დულაბი: ჩრდილოეთ მკლავში



ნიმუში N 3027_1

ლოკაცია VM_MS_N7 (ჩრდ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტოაპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ფოტოები: მთავარი სივრცის ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელი, კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები. ასევე, მიკროსკოპული ფოტოები 50x და 250x. გადიდებით ფოტოებში ილუსტრირებულია ქვების ნაკერებში არსებული დულაბი (გავს შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელ ფრაგმენტებს, მხატვრობის ადრეულ ფენაში იხ. ნალესობის ტიპი 4.2.1.1, დასადგენია გამოვლენილი დულაბის ქრონოლოგიური ფენა).



4.2 მხატვრობის ფენა 1 (ადრეული)

4.2.1 ნაღესობის ფენა

4.2.1.1 დაუდგენელი ფრაგმენტები

4.2.1.2 ძირითადი ნაღესობის ფენა

4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

ორიგინალი ტექნოლოგიის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებსა და კამარაზე, გვიანი მხატვრობის (XVI) დანაკარგ ადგილებში გამოვლინდა მხატვრობის ადრეული ფენა და უფერწერო ნალესობის ფრაგმენტები. ქვევით მოცემულია საკვლევი ლოკაციებიდან (სცენების მიხედვით) დაფიქსირებული ადრეული მხატვრობის ძირითადი ნალესობის ფენა, მოსამზადებელი ფენა და უფერწერო ნალესობის ფრაგმენტები:

მკლავი	სცენის დასახელება XVI საუკუნის სქემის მიხედვით.	მხატვრობის ფენა 1 (ადრეული) ნალესობის ფენა		
		4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფრაგმენტები	4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა	4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა
სამხრეთი მკლავი	ხარება - E6			
	შობა - S6			
	ნათლისღება - W5			
	ღვთის დიდება (ემანუელის ამაღლება) - C12			
დასავლეთი მკლავი	საიდუმლო სერობა - S7		✓	
	ფერხთა ბანა - S8			
	ქრისტე გეტსიმანიის ბაღში - W6			
	იუდას ამბორი - N5		✓	
	ქრისტე კაიფასთან - N6	✓	✓	✓
	ჯვრის ამაღლება - C14		✓	
ჩრდილოეთი მკლავი	მირქმა - W7			
	სულთმოფენობა - N7			
	ლაზარეს აღდგინება - E5			
	ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული) - C13			

4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

ქვევით მოცემულია დასავლეთი მკლავის ადრეული მხატვრობის ნალესობის მიკროსკოპული შესწავლის ლოკაციები, ნიმუშის ნომრის მითითებით. იხ. სცენა N6 - ქრისტე კაიფასთან (XVI)



N5

N6

4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

ქვევით მოცემულია დასავლეთი მკლავის ადრეული მხატვრობის ნალესობის მიკროსკოპული შესწავლის ლოკაციები, ნიმუშის ნომრის მითითებით. იხ. სცენა S7 – საიდუმლო სერობა (XVI), C14 - ჯვრის ამაღლება (XVI).



S7



C14



S8

4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტები



ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე (სცენა N6) ქვის წყობის ზემოდან განიორჩევა ნალესობის ფარგმენტები, რომელზეც მხატვრობის ფენა არ იკითხება.

ვიზუალური დაკვირვებით ნალესობის შემადგენლობა ჰგავს მხატვრობის მქონე ნალესობის ძირითად ფენას (იხ. თავი 4.2.1.2).

ნალესობის ფარგმენტები წარმოადგენს თუ არა ადრეული მხატვრობის სტრატეგრაფიულ ფენას ამ ეტაპისთვის დაუდგენელია.

წინასწარული დაკვირვებით შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტების ლოკაციები ფიქსირდება N6 სცენის შუა ნაწილში. იხილეთ მარცხნივ მოცემული N6 სცენის ფოტო, წითლად მითითებული ფარგმენტების ლოკაციებით.

N6

4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტები

როგორც ზევით აღინიშნა, დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე ქვის წყობის ზემოდან განირჩევა ნალესობის ფრაგმენტები, რომელზეც მხატვრობის ფენა არ იკითხება. ვიზუალური დაკვირვებით ნალესობის შემადგენლობა ჰგავს მხატვრობის მქონე ნალესობის ძირითად ფენას (იხ. თავი 4.2.1.2). ამჟამად დაუდგენელია ნალესობის ფრაგმენტები წარმოადგენს თუ არა ადრეული მხატვრობის სტრატიგრაფიულ ფენას. (იხ. ნალესობის ფრაგმენტების ვიზუალური დახასიათება).

შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტების ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	0.1 სმ-დან 0.5 სმ - მდე
შემკვრელი	რძისფერი, თანაბრად გადანაწილებული, საშუალო სიმკვრივის მასა, დიდი რაოდენობით არაორგანული მინარევით.
არაორგანული მინარევი	ცუდად დამუშავებული და დახარისხებული, სხვადასხვა მორფოლოგიის, როგორც ნახევრადდაკუთხული, დაკუთხული და ნახევრადდამრგვალებული, ასევე, შედარებით მცირე რაოდენობით, მრგვალი მარცვლებით შედგენილი პოლიმიქტური მინარევი. გვხვდება წითელი, მწვანე, ყვითელი და შავი ფერის პსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანის ნატეხები. რომელთაგანაც ჭარბობს შავი აგრეგატები და ხშირ შემთხვევაში, ზომითაც აღემატება სხვა ტიპის (შეფერილობის) აგრეგატებს. ყვითლისა და მწვანე მარცვლების ზომები 0.1 მმ-ის ირგვლივ ვარირებს, გამოწკლისია მხოლოდ მწვანე, რა შემთხვევაშიც ვხვდებით 0.2მმ-მდე ზომის აგრეგატებსაც. ხოლო შავი მინარევების შემთხვევაში ზომები 0.05-0.5 მმ-ს შორის ვარირებს. წვრილმარცვლოვან აგრეგატებთან ერთად ვხვდებით მსხვილმარცვლოვან ჩანართებსაც: გვხვდება წითელი (ვიზუალური დაკვირვებით, შესაძლოა იყოს აფურის ნატეხი ან გამომწვარი თიხა) და რძისფერი აგრეგატები. ორივე შემთხვევაში აგრეგატების ზომები აღწევს 1.5 მმ-მდე.
ორგანული ჩანართები	არ გვხვდება
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	ერთიანი, მკვრივი, წვრილფორიანი მასა. თუმცა, მიკროსკოპით დათვალიერებისას, ადგილ-ადგილ, შეიმჩნევა მიკრო-ბზარები, რაც შესაძლოა მიუთითებდეს შესუსტებულ კოჰეზიურ კავშირზე.

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შეუმჩნეველია
ზედაპირის დამუშავება	თანაბარი, დამუშავებული ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიუყვება ქვის წყობას



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტები

ნიმუში N	2000_a	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: მთავარი სივრცის, დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (სცენა N6) კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები ფოტო. ფოტოში ილუსტრირებულია საფუძლის ფენაზე დატანილი ფრაგმენტი (მოხატულობის გარეშე).



ზემოთ: მიკროსკოპულ ფოტოებზე (X50 - ზემოთ, X250 - მარჯვნივ) ჩანს ნალესობის არაორგანული სხვადასხვა ზომი აგრეგატების მქონე ფენა.

4.2 მხატვრობის ფენა 1


4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტები

ნიმუში N	2000_ბ	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: მაკრო ფოტო, **მარჯვნივ:** მიკრო ფოტოები (50x და 250x გადიდებით). დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთი კედელი. ადრეული პერიოდის ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტი, ნალესობის ფენა, შემადგენლობაში ვხვდებით დიდი რაოდენობით სხვადასხვა მორფოლოგიისა და ფერის არაორგანულ აგრეგატებს.



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.1 შემორჩენილი ნალესობის დაუდგენელი ფარგმენტები

ნიმუში N	2001	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (N6). **ქვემოთ:** მიკრო ფოტოები, უფერწერო ნალესობის არაორგანული აგრეგატული ჩანარებით.



დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელზე გვხვდება ნალესობის უფერწერო ფარგმენტები, რომლის შემადგენლობაშიც შემკვრელის გარდა ფიქსირდება დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები. მიკროსკოპით დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ლოკაციაზე შემორჩენილი ფარგმენტები ვიზუალურად მსგავსია.



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ვიზუალური დაკვირვებით ადრეული მხატვრობის სტრატიგრაფიას წარმოადგენს საფუძვლის ფენაზე დატანილი ნალესობის ძირითადი თხელი 0.5 სმ-მდე ფენა. ძირითად ნალესობაზე, გარკვეულ ადგილებში იკითხება მოსამზადებელი ფენა, რომელზეც დატანილია ფერწერული ფენა.

ქვემოთ მოცემულია ადრეული მხატვრობის ნალესობის ძირითადი ფენის ვიზუალური დახასიათება.

ადრეული მხატვრობის ნალესობის (ძირითადი) ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	ვარიებს 0.2 სმ-დან -0.5 სმ-მდე
შემკვრელი	თეთრი შეფერილობის ერთიანი მასა, დიდი რაოდენობით არაორგანული მინარევით.
არაორგანული მინარევი	პოლიმიქტური მინარევი. ცუდად დახარისხებული და დამუშავებული აგრეგატები. ვხვდებით სხვადასხვა მორფოლოგიის, როგორც დაკუთხულ და ნახევრადდაკუთხულ, ასევე, იშვიათად, მრგვალ აგრეგატებს. ფერების თვალსაზრისით, გვხვდება ყვითელი მწვანე და წითელი პსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხები, რომელთა ზომა ვარიებს 0.01 მმ-დან 0.8 მმ-მდე.
ორგანული ჩანარები	არ გვხვდება
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	ერთიანი, საშუალო სიმჭიდროვის, წვრილფორიანი მასა

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შეუმჩნეველია
ზედაპირის დამუშავება	კარგად დამუშავებული, გლუვი ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიუყვება ქვების წყობას



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა




4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N	2002_a&b	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	----------	---------	------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ: კონტექსტის, დეტალის ფოტოები.

ქვემოთ: დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთი კედელი, ადრეული მხატვრობის ნალესობის ძირითადი თხელი ფენა, რომელიც დატანილია ქვაზე. სტრატეგრაფია მითითებულია მაკრო ფოტოზე: საფუძველი - 0, ნალესობა - 1. მიკროსკოპის ქვეშ შემკვრელში განირჩევა დიდი რაოდენობით სხვადასხვა მორფოლოგიისა და ფერის არაორგანული აგრეგატები.



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N	2006_a	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთი კედელი. ადრეული მხატვრობის ნალესობის ფრაგმენტის სტრუქტურაფია. ნალესობის ძირითადი ფენა (1) და მოსამზადებელი ფენა (2).

4.2 მხატვრობის ფენა 1


4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა


ნიმუში N 2006_a_b

ლოკაცია VM_MS_N6 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ზემოთ: მაკრო ფოტო, მიკროსკოპული შესწავლის ლოკაციის მითითებით. **მარცხნივ:** მიკრო ფოტოები (ზემოთ 50x, ქვემოთ 250x გადიდებით). დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე ადრეული მხატვრობის ძირითადი ნალესობის (1) შემადგენლობას წარმოადგენს შემკვრელში გარეული დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები.




4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N	2003	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი, კონტექსტის ფოტო.

მარჯვნივ და ზემოთ: დეტალის პირდაპირი და გვერდითი განათებით ფოტო.

მარჯვნივ და ქვემოთ: მაკრო ფოტოები. დასავლეთ მკლავი მხატვრობის ადრეული ფენის ნალესობის სტრატეგრაფია. საფუძვლის ფენა (0), ნალესობის ძირითადი ფენა (1), მოსამზადებელი ფენა (2)



4.2 მხატვრობის ფენა 1



4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N 2003

ლოკაცია VM_MS_N6 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



მარცხნივ:
 მაკრო
 ფოტოები
 (50x და
 250x
 გადიდებით)
 დასავლეთი
 მკლავის
 ჩრდილოეთი
 კედელი,
 ადრეული
 პერიოდის
 მხატვრობის
 ნალესობის
 ფენის
 მიკროსკოპული
 დათვალი
 ერეზა.
 ნალესობის
 ძირითადი
 (1) ფენის
 არაორგანული
 აგრეგატები.



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

დასავლეთი მკლავის კამარის ძირითადი ნალესობის ფენის ვიზუალური დახასიათება.

ადრეული ფერწერული ფენის ნალესობის (ძირითადი) ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	ვარირებს 0.5სმ-დან 1სმ-მდე
შემკვრელი	თეთრი ფერის მასა, არაორგანული მინარევით
არაორგანული მინარევი	გვხვდებით დაკუთხულ, ნახევრადდაკუთხულ და ნახევრადმრგვალ პსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხებს (0.02-0.1 მმ). ფერების თვალსაზრისით ხვდებით წითელ, ყვითელ და მწვანე წვრილმარცვლოვან აგრეგატებს. გვხვდება შავი აგრეგატები, რომლებიც რაოდენობითა და ზომით აღემატება სხვა შეფერილობის აგრეგატებს.
ორგანული ჩანართები	არ გვხვდება
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	შედარებით სუსტი. ვიზუალური დაკვირვებით სუსტი კოჰეზიური კავშირის დანახვა ძნელია, თუმცა მიკროსკოპში გამოჩნდა ფართო ფორები და არაერთგვაროვანი ზედაპირი

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შესამჩნევი არ არის
ზედაპირის დამუშავება	ერთიანი, კარგად დამუშავებული, გლუვი ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც ნალესობის სისქის განსხვავებას იძლევა

გავრცელება: დასავლეთ მკლავის კამარა



4.2 მხატვრობის ფენა 1


4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N 2005

ლოკაცია VM_MS_C14 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ზემოთ: კონტექსტის ფოტო, მაჯრენივ და მალა: დეტალის, მარჯვნივ და ქვემოთ: მაკრო ფოტოები. დასავლეთ მკლავის კამარა, ადრეული მხატვრობის ფენის ნალესობა. ისრით მითებულია მიკროსკოპული ფოტოების ლოკაცია.



4.2 მხატვრობის ფენა 1



4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N 2005_1

ლოკაცია VM_MS_N6 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



მარცხნივ:
მიკრო
ფოტოები (50x
და 250x
გადიდებით),
დასავლეთ
მკლავის კამარა,
ადრეული
მხატვრობის
ძირითადი
ნალესობა.
მიკროსკოპული
დაკვირვებით
ნალესობის
შემკვრელში
შემავსებლის
სახით
ვხვდებით
არაორგანულ
სხვადასხვა
მორფოლოგიის
მქონე
აგრეგატებს.




4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N	2005_2	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ: მიკრო ფოტოები (50x და 250x გადიდებით), დასავლეთ მკლავის კამარა.

შემადგენლობის თვალსაზრისით, აღნიშნული ნალესობა მსგავსია დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთის კედელზე არსებული ძირითადი ნალესობისა და დაუდგენელი ფრაგმენტების ნალესობების.



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.2 ძირითადი ნალესობის ფენა

ნიმუში N 2005_2

ლოკაცია VM_MS_S6 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ზემოთ: და
მარჯვნივ: კონტექსტის, დეტალის და მაკრო ფოტოები, დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი. გვიანი მხატვრობის (XVI) ფენის ქვეშ არსებული ადრეული სქემის ნალესობის ფენა.
მარჯვნივ: კიდეში მოცემულია ნალესობის მიკროსკოპული ფოტოები. ნალესობა სხვა სცენების შემადგენლობის მსგავსია.



4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა

ადრეული მხატვრობის ნალესობის ძირითად ფენაზე ადგილებში შეინიშნება თხელი (მხატვრობის მოსამზადებელი) ფენა. იხილეთ ფენის ვიზუალური დახასიათება.

ადრეული მხატვრობის მოსამზადებელი ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ნაცრისფერში გარდამავალი თეთრი
სისქე	0.2 სმ-მდე
შემკვრელი	თეთრი შეფერილობის ერთიანი მასა, არაორგანული აგრეგატებით.
არაორგანული მინარევი	სხვადასხვა მორფოლოგიის, როგორც ნახევრადდაკუთხული, დაკუთხული, ასევე მრგვალი პსემიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხებისგან შემდგარი პოლიმიქტური მინარევი. სჭარბობს შავი ფერის აგრეგატები, რასთან ერთადაც ვხვდებით მწვანე და წითელ წვრილმარცვლოვან მინარევებსაც, რომელთა ზომებიც ვარიირებს და აღწევს 0.5 მმ-ს.
ორგანული ჩანართები	არ გვხვდება
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	ერთიანი, კარგი კოჰეზიის მქონე, მჭიდროდ შეკრული მასა

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შეუმჩნეველია
ზედაპირის დამუშავება	კარგად დამუშავებული, გლუვი ზედაპირი
ტოპოგრაფია	მოსამზადებელი ფენა მიყვება ნალესობის ფენას




4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა

ნიმუში N	2006_a	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტისა და დეტალის ფოტოები, **მარჯვნივ:** მაკრო ფოტოები, სტრატეგრაფიის მითითებით დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთი კედელი. ადრეული ფერწერული ფენის ფრაგმენტი.
ქვემოთ: მიკროსკოპული ფოტო (50X გადიდება) ნალესობის ძირითადი ფენის (1) და მოსამზადებელი ფენის (2) მითითებით.




4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა

ნიმუში N	2006	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთი კედელი. ადრეული მხატვრობის ნალესობის ფენა სტრატეგრაფიის მითითებით. წითელი ისრით მონიშნულია მიკროსკოპული დაკვირვების ლოკაცია.

4.2 მხატვრობის ფენა 1







4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა

ნიმუში N	2006
----------	------

ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



მარცხნივ:
მიკრო
ფოტოები
(50x და 250x
გადიდებით)
, დასავლეთი
მკლავის
ჩრდილოეთი
კედელი,
ადრეული
მხატვრობის
მოსამზადებელი
ფენა.
გლუვი,
კარგად
დამუშავებული
თეთრი
შეფერილობის
თხელი
ფენა,
რომელსაც
არაორგანული
აგრეგატული
მინარეგები
აქვს.

4.2 მხატვრობის ფენა 1

4.2.1 ნალესობის ფენა

4.2.1.3 მოსამზადებელი ფენა


ნიმუში N	2006
----------	------

ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ქვემოთ: მიკრო ფოტოები (50x და 250x გადიდებით), დასავლეთ მკლავის ჩრდილოთი კედელი, ადრეული ფერწერული ფენის მოსამზადებელი ფენა.



4.2 მხატვრობის ფენა 1 (ადრეული)

4.2.2 მოსამზადებელი ტექნიკა



4.2 მხატვრობის ფენა 1
 4.2.2 მოსამზადებელი ტექნიკა

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის, მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის კამარაზე ვხვდებით მხატვრობის ადრეულ ფენას. ადრეული ფენის მხატვრობაში მოსამზადებელი ტექნიკის სახით გამოყენებულია მოსამზადებელი ნახატი, რომელიც შესრულებულია წითელი საღებავით. ფიგურის კონტურები შექმნილია ფუნჯის თავისუფალი მონასმით. სახის, ხელების, შარავდედისა და სამოსის წითელი კონტურები მოცემულია დასავლეთი მკლავის კამარის ჩრდილოეთ კედელზე.

აღსანიშნავია, რომ მხატვრობის ამ მონაკვეთზე 2022 წლის სექტემბერში განხორციელებული სარესტავრაციო გადაწერების დროს, ადგილებში, მოსამზადებელი ნახატი განახლდა, რაც კონტურის ორგინალი მოყვანილობის სახელოვნებათმცოდნეო ანალიზს ართულებს.

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა



ზევით: დეტალის ფოტო, წითელი საღებავით შესრულებული კონტურის მონასმი.

ზევით: მაკრო ფოტო, მოსამზადებელ ნახატში გამოყენებული წითელი საღებავი.

ზევით: კონტექსტის ფოტო, დასავლეთ მკლავი, კამარის ჩრდილოეთი კედელი - მოსამზადებელი ნახატი. სახისა და თმის მოყვანილობა მონიშნულია წითელი კონტურის სახით.



4.2 მხატვრობის ფენა 1
4.2.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა
მოსამზადებელი ნახატი ⇒ წითელი კონტური



ზევით: კონტექსტის ფოტო, დასავლეთ მკლავი, კამარის ჩრდილოეთი კედელი, მოსამზადებელი ნახატი წითელი კონტურის სახით.



ზევით: დეტალის ფოტო, ფიგურის წითელი კონტური.



ზევით: მაკრო ფოტო, ისრით მითითებულია ფიგურის წითელი კონტური.



4.2 მხატვრობის ფენა 1 (ადრეული)

4.2.3 ფერწერის ფენა



4.2 მხატვრობის ფენა 1
 4.2.3 ფერწერის ფენა

4.2.3.1 ლურჯი ფერის ვიზუალური დახასიათება


ლოკაცია:
 დასავლეთ მკლავი, ჭერი



ზოგადი აღწერა: მოცემულია ფონისთვის გამოყენებული ლურჯი ფერი. სისქის მხრივ, ფერი არათანაბრად არის გადანაწილებული და აქვს მცირე გამჭვრივალობა. მიკროსკოპში ჩანს სხვადასხვა ფერის ნაწილაკები: მუქი ლურჯი, ცისფერი, თეთრი.



მიკროსკოპის ფოტოები



სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს მოშავო-მონაცრისფრო ფერის სარჩული
2 ფენა	ზედა ფენას წარმოადგენს ლურჯი


ნიმუშის N	Gel23_VM_MS_C14_5002_Nim
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი

4.2 მხატვრობის ფენა 1
 4.2.3 ფერწერის ფენა

4.2.3.2 მწვანე ფერის ვიზუალური დახასიათება

ლოკაცია:
 დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთ კედელი

ზოგადი აღწერა: მოცემულია მწვანე ფერი. არის ფერკმრთალი, პასტელური ფერი. საკმაოდ დაზიანებულ მდგომარეობაშია, რის გამოც რთულია პიგმენტის განხილვა. მიკროსკოპში ერთ მასად ჩანს.



სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს ლურჯი
2 ფენა	ზედა ფენას წარმოადგენს მწვანე

ნიმუშის N	Gel23_VM_MS_N6_5001_Nim
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი

4.2 მხატვრობის ფენა 1
 4.2.3 ფერწერის ფენა

4.2.3.3 წითელი ფერის ვიზუალური დახასიათება

ლოკაცია:
 დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთ კედელი



ზოგადი აღწერა: მოცემულია წითელი ფერი. წარმოდგენილია ძალიან თხელი ფენა, რომლის ქვეშაც ლურჯია. არის ფერკმრთალი, პასტელური ფერი. საკმაოდ დაზიანებულ მდგომარეობაშია, რის გამოც რთულია პიგმენტის განხილვა. მიკროსკოპში ერთ მასად ჩანს.

მიკროსკოპის ფოტოები

გაღილება:
 პირდაპირი განათება
 2 ● 1 ●



გაღილება:
 გვერდითა განათება



გაღილება: 200x
 პირდაპირი განათება
 2 ●
 1 ●




სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს ლურჯი
2 ფენა	ზედა ფენას წარმოადგენს წითელი

ნიმუშის N	Gel23_VM_MS_N6_5000_Nim1
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



4.2 მხატვრობის ფენა 1
 4.2.3 ფერწერის ფენა

4.2.3.4 ყვითელი ფერის ვიზუალური დახასიათება

ლოკაცია:
 დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთ კედელი



ზოგადი აღწერა:
 მოცემულია ინტენსიური ყვითელი ფერი. მიკროსკოპში არ განირჩევა ნაწილაკები, მოცემულია ერთ მასად. შეიმჩნევა მუქი ფერის მცირე ლაქები.

მიკროსკოპის ფოტოები



სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	წარმოდგენილია ყვითელი ფერის ერთი ფენა

ნიმუშის N	Gel23_VM_MS_N6_5000_Nim1
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნაღესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1

4.3.1.2 ტიპი 2

4.3.1.3 ტიპი 3

4.3.1.4 ტიპი 4

4.3.1.5 ტიპი 5

4.3.1.6 ნაღესობის ნაკერები



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

ორიგინალი ტექნოლოგიის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე გვიანი მხატვრობის (XVI) ნალესობის ფენათა რაოდენობა და შემადგენლობა მკლავების მიხედვით განსხვავებულია. სხვაობას მკლავის სცენებს შორისაც ვხვდებით. გვიანი მხატვრობის ნალესობის შემადგენლობა მკვეთრად განირჩევა ადრეული მხატვრობის ნალესობებისგან.

ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე (პორტატული მიკროსკოპისა და მაკრო ფოტოგადაღების გამოყენებით) შემადგენლობის მიხედვით შესაძლოა ნალესობის 5 ძირითადი ტიპის გამოყოფა:

- ✓ ტიპი 1 - ნალესობა, რომელიც შემკვრელთან ერთად შეიცავს დიდი რაოდენობის არაორგანულ აგრეგატულ მინარევებსა და ორგანულ, ყვითელი შეფერილობის მქონე მცენარეულ ნამჯის მგავს ჩანართს.
- ✓ ტიპი 2 - ნალესობა, რომელიც შემკვრელთან ერთად შეიცავს დიდი რაოდენობის არაორგანულ აგრეგატულ მინარევებსა და ორგანულ, ჩალისფერ მცენარეულ ნამჯის მსგავს ჩანართსა და თეთრი შეფერილობის გამჭვირვალე ორგანულ ბოჭკოებს.
- ✓ ტიპი 3 - ნალესობა, რომელიც შედგება თეთრი შემკვრელისა და მცენარეული ნამჯის მსგავსი ჩანართებისგან.
- ✓ ტიპი 4 - ნალესობა, რომელიც შემკვრელთან ერთად შეიცავს მცირე რაოდენობის არაორგანულ აგრეგატულ მინარევებსა და ორგანულ თეთრი შეფერილობის გამჭვირვალე ბოჭკოებს.
- ✓ ტიპი 5 - ნალესობა, რომელიც შემკვრელთან ერთად შეიცავს დიდი რაოდენობის არაორგანულ აგრეგატულ მინარევებსა და თეთრი შეფერილობის გამჭვირვალე ორგანულ ბოჭკოებს.

შემდეგ გვერდზე მოცემულია ნალესობათა კატეგორიზაცია შემადგენლობის მიხედვით. ნალესობის ტიპის მინიშნებისას დატანილია ნალესობის სტრატეგრაფიული ლოკაცია (ზედა ან ქვედა). იმ შემთხვევაში თუკი ნალესობა ერთია ეთითება ნალესობის 1 ფენა, თუკი ნალესობის სტრატეგრაფია დაუზიანებელია და არ ჩანს აქვს თუ არა შიდა ფენები, მაშინ ნალესობას ეთითება ხილული ფენა.

იხ. ნალესობათა სტრატეგრაფიული და ტიპური (შემადგენლობისდა მიხედვით) განაწილება საკვლევ არეალებზე.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

მკლავი	სცენა	მხატვრობის ფენა 2 (XVI) ნალესობის ფენა				
		ტიპი 1 მინარევები: არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 2 მინარევები: *არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 3 მინარევები: მხოლოდ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 4 მინარევები: არაორგანული მცირე რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 5 მინარევები: არაორგანული დიდი რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი
სამხრეთი მკლავი	ხარება - E6				✓ ხილული ფენა	
	შობა - S6				✓ ხილული ფენა	
	ნათლისღება - W5			✓ ქვედა	✓ ზედა	
	ღვთის დიდება (ემანუელის ამალღება) – C12				✓ ხილული ფენა	
	წმინდა გიორგი - S10 (არ ჩანს ნალესობა)					
	წმინდა დემეტრე - S11 (არ ჩანს ნალესობა)					
	ქრისტეს გარდამოხსნა - E8				✓ ზედა ხილული	
	წმ დედანი მაცხოვრის საფლავთან - W8				✓ ზედა ხილული	
დასავლეთი მკლავი	საიდუმლო სერობა - S7	✓ ქვედა	✓ ზედა			
	ფერხთა ბანა - S8		✓ ზედა ხილული ფენა			
	ქრისტე გეტსიმანიის ბაღში - W6	✓ ზედა ხილული ფენა				
	იუდას ამბორი - N5	✓ ქვედა				✓ ზედა
	ქრისტე კაიფასთან - N6	✓ ქვედა				✓ ზედა
	ჯვრის ამალღება - C14	✓ ქვედა	✓ ზედა			

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

მკლავი	სენა	მხატვრობის ფენა 2 (XVI) ნალესობის ფენა				
		ტიპი 1 მინარეგები: არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 2 მინარეგები: "არაორგანული შედარებით დიდი რაოდენობის აგრეგატები+ ყვითელი მცენარეული ჩანართი + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 3 მინარეგები: მხოლოდ ყვითელი მცენარეული ჩანართი	ტიპი 4 მინარეგები: არაორგანული მცირე რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი	ტიპი 5 მინარეგები: არაორგანული დიდი რაოდენობის აგრეგატები + გამჭვირვალე თეთრი ორგანული ჩანართი
დასავლეთი მკლავი	გაბრიელ მთავარანგელოზი ხარებიდან - W9 (ნალესობა არ ჩანს)					
	ღვთისმშობელი ხარებიდან - W10 (ნალესობა არ ჩანს)					
	ღვთისმშობლის სერობა - S12 (ნალესობა არ ჩანს)					
	ღვთისმშობლის ფერხთა ბანა- S13			✓ ხილული ფენა		
	ღვთისმშობლის მიძინებისთვის. მოციქულების შეკრება - N9			✓ ხილული ფენა		
	ღვთისმშობლის ამალღება - N10			✓ ხილული ფენა		
ჩრდილოეთი მკლავი	მირქმა - W7					✓ ნალესობის 1 ფენა
	სულთმოფენობა - N7					✓ ნალესობის 1 ფენა
	ლაზარეს აღდგინება - E5					✓ ნალესობის 1 ფენა
	ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული) – C13	✓ ზედა ხილული ფენა				
	წმინდა თეოდორე მეომარი - N11					
	თევდორე ტირონი - N12					
	ჯვარცმა - E7					✓ ზედა ფენა
	ფერისცვალება - W11					✓ ზედა ხილული ფენა
ადმოსავლეთი მკლავი	ამალღება - C11 ანგელოზთა დასი - N8, S5					✓ ზედა ხილული ფენა

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ქვედა ფენა

დასავლეთ მკლავში გვიანი პერიოდის მხატვრობის სტრატეგრაფიაში ვხვდებით ნალესობის ორ ფენას - ზედა და ქვედა ფენებს. ქვემოთ მოცემულია დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის ნალესობის ქვედა ფენის დახასიათება:

ნალესობის (ტიპი 1) ქვედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	ვარირებს 0.2 სმ-დან 0.5 სმ - მდე.
შემკვრელი	თეთრი შეფერილობის, თანაბრად გადანაწილებული მასა, დიდი რაოდენობით არაორგანული მინარევითა.
არაორგანული მინარევი	სხვადასხვა მორფოლოგიის, ნახევრადდაკუთხული და ნახევრადამრგვალებული ჰსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხები. ვხვდება როგორც წითელი, ასევე მომწვანო-მოყვითალო ფერის ჩანართები (შედარებით მცირე რაოდენობით). ჭარბობს შავი ფერის აგრეგატები, რომელთა ზომაც ვარირებს 0.01 მმ-სა და 0.4 მმ-ს შორის.
ორგანული ჩანართები	კედელზე ორგანული ჩანართები შეინიშნება, ასევე ვხვდებით ჩანართების კვალს (ამოტეხილი ადგილებს, რაც სავარაუდოდ მიუთითებს ორგანული ჩანართების თავდაპირველ ლოკაციაზე)
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	საშუალო სიმჭიდროვის.

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	არ ჩანს
ზედაპირის დამუშავება	არაერთგვაროვანი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას.

გავრცელება: დასავლეთ მკლავი: ჩრდილოეთ კედელი იუდას აშბორი, ქრისტე კაიფასთან




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ქვედა ფენა

ნიმუში N	2010_a	ლოკაცია	VM_MS_N5 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------

დასავლეთ მკლავის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე, კომპოზიციაზე “იუდას კოცნა”, ვხვდებით ნალესობის ქვედა და ზედა ფენებს, რომელიც მსგავსია ამავე მკლავის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე არსებული ნალესობის ზედა და ქვედა ფენებისა.



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მაკრო ფოტოები. დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთი კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ქვედა ნალესობა (1).
მარცხნივ ზემოთ: მიკროსკოპულ (50X, 250X გადიდებით) ფოტოებზე განიხილვა ნალესობის არაორგანული - აგრეგატული მინარევები და მცენარეული ჩანართები.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ქვედა ფენა

ნიმუში N	2009	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------




ზემოთ: კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ქვედა ფენა (1), ორგანული ჩანართის კვალი.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ქვედა ფენა

ნიმუში N	2009	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ: კონტექსტის ფოტო - დასავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი, იუდას ამბორი.
ქვემოთ: დეტალის და მკრო ფოტოები, რომელზეც მითითებულია ნალესობის ქვედა (1) და ზედა (2) ფენები.

ქვემოთ: მიკროსკოპული ფოტოები (50X, 250X გადიდებით), რომელიც სახეცვლილ ნალესობის ფენას გვიჩვენებს.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ქვედა ფენა

დასავლეთ მკლავში გვიანი პერიოდის მხატვრობის სტრატეგიაში ვხვდებით ნალესობის ორ ფენას - ზედა და ქვედა ფენებს.

ქვემოთ მოცემულია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის ნალესობის ქვედა ფენის დახასიათება:

ნალესობის (ტიპი 1) ქვედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	ვარიებს 0.2 სმ-დან 0.5 სმ - მდე.
შემკვრელი	თეთრი შეფერილობის მასა, დიდი რაოდენობით არაორგანული მინარევით და ორგანული ჩანართით.
არაორგანული მინარევი	სხვადასხვა მორფოლოგიის, ნახევრადდაკუთხული და ნახევრადდამრგვალებული ჰსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხები. გვხვდება როგორც წითელი, ასევე მომწვანო-მოყვითალო ფერის ჩანართები (შედარებით მცირე რაოდენობით). ჭარბობს შავი ფერის აგრეგატები, რომელთა ზომაც ვარიებს 0.01 მმ-სა და 0.4 მმ-ს შორის.
ორგანული ჩანართები	სხვადასხვა ზომისა (ძირითადად ჭარბობს ზედა ფენის ორგანული ჩანართების ზომას) და ფორმის ჩალისფერი ჩანართები.
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	საშუალო სიმჭიდროვის, ადგილ-ადგილ შეიმჩნევა მიკრო ბზარები, ხოლო იქ, სადაც ორგანული ჩანართის ნაწილობრივი ან სრული დანაკარგი გვხვდება, შინიშნება სიცარიელები და დაკარგული აქვს მოჭიდება.

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	უხეში დიდი მონასმები, რომელიც ნალესობას რელიეფურ ზედაპირს უქმნის.
ზედაპირის დამუშავება	არათანაბარი. თუმცა, მისი ასეთი ტექსტურა ძირითადად განპირობებული უნდა იყოს დიდი რაოდენობით ორგანული ჩანართის დაკარგვის გამო და არა ორიგინალი ტექნოლოგიით.
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც ნალესობის სისქის განსხვავებას იძლევა

გავრცელება: დასავლეთ მკლავი: სამხრეთ კედელი („საიდუმლო სერობა“)





4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)


4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი - ქვედა ფენა

ნიმუში N	2014_1	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ და ზემოთ: კონტექსტი, დეტალი მაკრო, ნალესობის ქვედა (1) და ზედა (2) ფენების მითითებით, ასევე წითელი ისრით მინიშნებულია მიკროსკოპული შესწავლის ლოკაცია. **ქვემოთ და მარჯვნივ:** მიკრო ფოტოები, დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ქვედა ფენა. არაორგანული აგრეგატებითა და ნამჯის მსგავსი მცენარეული ჩანარებით.




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)



4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი - ქვედა ფენა

ნიმუში N	2015	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: დასავლეთ მკლავი, სამხრეთი კედლის კოტეჯსტი და დეტალი გვიანი პერიოდის ნალესობის 2 ფენის მითითებით.





ზემოთ: საიდუმლო სერობის მაკრო ფოტოები საფუძვლის (0) ნალესობის ქვედა (1) და ზედა (2) ფენების მითითებით.
მარცხნივ: მიკროსკოპული ფოტოები ნალესობის შემკვრელში შერეული არაორგანული აგრეგატული მინარევებითა და ორგანული, მცენარეული ნამჯის მსგავსი ჩალისფერი ჩანარებით.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი - ქვედა ფენა

ნიმუში N	2016	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: დასავლეთი მკლავის, სამხრეთი კედელი, სენა S7, კონტექსტი და დეტალი ნალესობის სტრატეგრაფიული ფენების მითითებით. ქვედა (1) და ზედა (2) ფენებით.

მარცხნივ კიდევ: ქვედა ნალესობის მაკრო ფოტოები.





მარცხნივ: მიკრო ფოტოები, ნალესობის ქვედა ფენა შედგება თეთრი ფერის შემკვრელისა და სხვადასხვა მორფოლოგიისა და შეფერილობის მქონე არაორგანული აგრეგატებისგან, მინარევის სახით ვხვდებით ჩალისფერ ნამჯის მსგავს მკენარეულ ჩანარებს.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი - ქვედა ფენა

ნიმუში N	2016	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ:
 დასავლეთი
 მკლავის,
 სამხრეთი კედელი,
 სცენა S7,
 კონტექსტი,
 დეტალი და მაკრო
 ნალესობის
 სტრატეგრაფიული
 ფენების
 მითითებით.
 ქვედა (1) და ზედა
 (2) ფენებით.

ზემოთ: მიკრო ფოტოები, ნალესობის ქვედა ფენა შედგება თეთრი ფერის შემკვრელისა და არაორგანული სხვადასხვა მორფოლოგიისა და შეფერილობის მქონე აგრეგატებისგან, მინარევის სახით ვხვდებით ჩალისფერ ნამჯის მსგავს მცენარულ ჩანარებს.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ქვედა ფენა

დასავლეთ მკლავის კამარაზე გვხვდება გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ორი, ზედა და ქვედა ფენები. ქვემოთ მოცემულია ნალესობის ქვედა ფენის დახასიათება:

ნალესობის (ტიპი 1) ქვედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	0.3 სმ - მდე
შემკვრელი	თეთრი ფერის მასა, სუსტი კოჰეზიური კავშირით, არაორგანული მინარევებითა და ორგანული ჩანართით.
არაორგანული მინარევი	პოლიმიქტური მინარევი. გვხვდება ცუდად დახარისხებული და დამუშავებული, სხვადასხვა მორფოლოგიის აგრეგატები, როგორც ნახევრადდაკუთხული, ნახევრადდაკუთხული და დაკუთხული წითელი, ყვითელი, მწვანე და შავი ფერის პსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხებ, რომელთა შორის ჭარბობს შავი ფერის აგრეგატები, რაც საბოლოოდ ნალესობის ფერს განსაზღვრავს.
ორგანული ჩანართები	გრძელი, ჩალისფერი, ნამჯის მსგავსი ჩანართები.
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	სუსტი კოჰეზიური კავშირი. სუსტია კავშირი შემკვრელსა და ორგანულ ჩანართებს შორისაც, რის გამოც ძირითად შემთხვევაში ჩანართები ნაწილობრივ მოცილებულია შემკვრელის მასას.

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შესამჩნევი არ არის
ზედაპირის დამუშავება	არაერთგვაროვანი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც განაპირობებს ნალესობის სისქის განსხვავებულობას.

გავრცელება: დასავლეთ მკლავი, კამარა, ჯვრის ამალეება



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი - ქვედა ფენა

ნიმუში N	2031
----------	------

ლოკაცია	VM_MS_C14 (დას. მკლავი)
---------	-------------------------


ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



მარცხნივ: დასავლეთი მკლავის, კამარა (C14) კონტექსტი და დეტალი



მარცხნივ: მაკრო ფოტო ნალესობის სტრატეგრაფიული ფენების მითითებით. ქვედა (1) და ზედა (2) ფენებით.



მარცხნივ: მიკრო ფოტოები, ნალესობის ქვედა ფენა შედგება თეთრი ფერის შემკვრელისა და არაორგანული სხვადასხვა მორფოლოგიისა და შეფერილობის მქონე აგრეგატებისგან, მინარევის სახით ვხვდებით ჩალისფერ ნაშუის მსგავს მცენარეულ ჩანარებს.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი - ხილული ფენა

ნიმუში N	2008_a	ლოკაცია	VM_MS_W6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედელზე, მკლავის დასავლეთ კედელზე, პატარა მონაკვეთზე, სადაც ფერწერული ფენა დაკარგულია, ჩანს ზედა ნალესობის ორგანული ჩანარები. ჩანარები მსგავსია სამხრეთ კედლებზე და კამარაზე არსებული ორგანული ჩანარებისა.



მარცხნივ: სენა - ქრისტე გეთსიმანის ბაღში. მიკროსკოპული ფოტოები დასავლეთ მკლავის დასავლეთი კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენის ჩანარებებს წარმოადგენს.



მარცხნივ: მიკრო ფოტოზე განიორჩევა ნალესობის ზედა ფენის ყვითელი შეფერილობის მსხვილი მოგრძო ფორმის მცენარეული ჩანართი.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი - ხილული ფენა

ნიმუში N	2008_b	ლოკაცია	VM_MS_C (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	-----------------------	----------	------------------------------------



დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედელზე, პატარა მონაკვეთზე, სადაც ფერწერული ფენა დაკარგულია, ჩანს ზედა ნალესობის ორგანული ჩანართები. ჩანართები მსგავსია სამხრეთ კედლებზე და კამარაზე არსებული ორგანული ჩანართებისა.



მარჯვნივ: მაკრო და მიკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედლის გვიანი პერიოდის ფერწერული ფენის ნალესობის ზედა ფენა, ორგანული ჩანართი. მოყვითალო თხელი მცენარეული ჩანართი.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ზედა ხილული ფენა

ჩრდილოეთი მკლავის კამარის გვიანი პერიოდის მხატვრობის სტრატეგიაში ვხედავთ ნალესობის ერთ ფენას. ქვემოთ მოცემულია ჩრდილოეთი კამარის ნალესობის დახასიათება.

ნალესობის (ტიპი 1) ქვედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	უცნობი
შემკვერელი	თეთრი შეფერილობის მასა, დიდი რაოდენობით არაორგანული მინარევით და ორგანული ჩანართით.
არაორგანული მინარევი	სხვადასხვა მორფოლოგიის, ნახევრადდაკუთხული და ნახევრადდამრგვალებული ჰსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხები. გვხვდება როგორც წითელი, ასევე მომწვანო-მოყვითალო ფერის ჩანართები (შედარებით მცირე რაოდენობით). ჭარბობს შავი ფერის აგრეგატები, რომელთა ზომაც ვარირებს 0.01 მმ-სა და 0.4 მმ-ს შორის.
ორგანული ჩანართები	სხვადასხვა ზომის და მოგრძო ფორმების ჩალისფერი მცენარეული ნამჯის მსგავსი ჩანართები.
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	საშუალო სიმჭიდროვის, ადგილ-ადგილ შეიმჩნევა მიკრო ბზარები, ხოლო იქ, სადაც ორგანული ჩანართის ნაწილობრივი ან სრული დანაკარგი გვხვდება, შინიშნება სიცარიელები და დაკარგული აქვს მოჭიდება.

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	არ იკითხება
ზედაპირის დამუშავება	კარგად დამუშავებული ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც ნალესობის სისქის განსხვავებას იძლევა

გავრცელება: ჩრდილოეთი მკლავის კამარა, ჰეტიმასია



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.1 ტიპი 1 - ხილული ფენა

ნიმუში N	2026
----------	------

ლოკაცია	VM_MS_C13 (ჩრდ. მკლავი)
---------	-------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



N7



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_M_sc_arrow



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_Nim_50x



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_Nim_250x



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_C_sc



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_Mr_sc



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_Nim_50x_r



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_Nim_250x_r



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_C13_2026_D_sc

ზემოთ და მარცხნივ: კონტექსტის დეტალისა და მაკროს ფოტოები. ჩრდილოეთი მკლავის კამარა ჰეტიმასია. ნალესობის ფენის შემადგენლობა. ყვითელი/ ჩალისფერი შეფერილობის ნაჩეხის მსგავსი მცენარეული ჩანართით.

ზემოთ: მიკრო ფოტოები, ჩრდილოეთი მკლავი, კამარა, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ხილული ფენა. არაორგანული დიდი რაოდენობის აგრეგატებითა და ჩალისფერი მცენარეული ჩანართებით.

ჩრდილოეთი მკლავის კამარის ნალესობა დასავლეთი მკლავის ქვედა ფენის ანალოგიურია.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.2 ტიპი 2 - ზედა ფენა

დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელზე, „საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის“ სცენებზე, ვხვდებით გვიანი პერიოდის ნალესობის ორ, ზედა და ქვედა ფენებს. ქვემოთ მოცემულია ნალესობის ზედა ფენის აღწერა:

ნალესობის (ტიპი 2) ზედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ნაცრისფერი
სისქე	0.3 სმ - მდე
შემკვრელი	თეთრი ფერის მასა, სუსტი კოჰეზიური კავშირით, დიდი რაოდენობით არაორგანული მინარევებითა და ორგანული ჩანართით.
არაორგანული მინარევი	პოლიმიქტური მინარევი. გვხვდება ცუდად დახარისხებული და დამუშავებული, სხვადასხვა მორფოლოგიის აგრეგატები, როგორც ნახევრადდაკუთხული, ნახევრადდაკუთხული და დაკუთხული წითელი, ყვითელი, მწვანე და შავი ფერის პსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხები. რომელთა ზომა ვარირებს 0.01 მმ-სა და 0.5 მმ-ს შორის.
ორგანული ჩანართები	გვხვდება თეთრი შეფერილობის ბოჭკოები და გრძელი, წვრილი, ჩალისფერი, ნამჯის მსგავსი ჩანართები.
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	სუსტი კოჰეზიური კავშირი, შეინიშნება მიკრობზარები. შეუარაღებელი თვალეზითაც შესამჩნევია ჩანართების დაკარგვის შედეგად დატოვებული სიცერიელები

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შესამჩნევი არ არის
ზედაპირის დამუშავება	არათანაბარი, ორგანული ჩანართების დაკარგვის შედეგად ზედაპირი არათანაბარია
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც განაპირობებს ნალესობის სისქის განსხვავებულობას.

გავრცელება: დასავლეთ მკლავი: სამხრეთ კედელი („საიდუმლო სერობა, ფერხთა ბანა“), კამარა




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.2 ტიპი 2 - ზედა ფენა

ნიმუში N	2018	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: დასავლეთი მკლავის, სამხრეთი კედელი, სცენა S7, კონტექსტი, დეტალი და მაკრო ნალესობის სტრატეგრაფიული ფენების მითითებით. ქვედა (1) და ზედა (2) ფენებით.



მარცხნივ და ზემოთ: ზედა ნალესობის ფენის მაკროსკოპული ფოტო, რომელშიც შემკვრელთან ერთად ჩანს არაორგანული სხვადასხვა ზომის აგრეგატები და ორგანული ჩანარების კვალი/ანაბეჭდები.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.2 ტიპი 2 - ზედა ფენა

ნიმუში N	2018	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი
----------	------	---------	------------------------	----------	--------------



მარცხნივ და ქვემოთ: ზედა ნალესობის ფენის ფოტო, რომელშიც შემკვრელთან ერთად ჩანს არაორგანული სხვადასხვა ზომის აგრეგატები და ორგანული ჩანარების თეთრი და მოყვითალო ფერის ბოჭკოები.




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.2 ტიპი 2 - ზედა ფენა

ნიმუში N	2018	ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ:
S8 სცენის მაკრო ფოტოები, ნალესობის ზედა ფენის არაორგანული აგრეგატები და ორგანული ჩანარები

ზემოთ: დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი, ფერხთა ბანის სცენის კონტექსტის და დეტალის ფოტო. ნალესობის ზედა ფენა.



ზემოთ: S8 სცენის მაკრო ფოტოები, ნალესობის ზედა ფენის ორგანული ჩანარები, რომლებიც განსხვავდება ამავე მკლავის ქვედა ფენის ნალესობის ორგანული ჩანარებისგან. b ფოტოზე ორგანულ ჩანართს ადგილებში მოყვითალო ფერი დაკრავს. ბოჭკო ვიზუალურად გავს c ფრაგმენტს, ხოლო d ფოტოზე განსხვავებული სტრუქტურის თეთრი ბოჭკოვანი ჩანართი ფიქსირდება.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.2 ტიპი - ზედა ფენა

ნიმუში N	2018
----------	------

ლოკაცია	VM_MS_S7 (დას. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი
----------	--------------



ზემოთ: დასავლეთი მკლავის, სამხრეთი კედელი, სცენა S7 - საიდუმლო სერობა, კონტექსტი, დეტალი. ვერწერის დანაკარგ ადგილებში ჩანს ნალესობის ზედა ფენა.



მარჯვნივ: ზედა ნალესობის დეტალისა და მაკრო ფოტოები, რომელშიც ნალესობის ორგანული ჩანარები იკითხება. ყვითელი შეფერილობის მოგრძო ჩანარები კონცენტრირებულია დიდი ოდენობით.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.2 ტიპი - ზედა ფენა

ნიმუში N	2007
----------	------

ლოკაცია	VM_MS_C (დას. მკლავი)
---------	-----------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტი და დეტალი, **მარცხნივ:** მაკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის კამარა, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენა.

მაკრო და მიკრო ფოტოებში განირჩევა სხვადასხვა ორგანული ჩანართი.



დასავლეთ მკლავის კარამარის ზედა ნალესობაზე არაორგანულ ჩანართებთან ერთად, ვხვდებით ორგანულ ჩანართებს (?): ჩალისფერ, წვრილ, მოგრძო ჩანართებსა და თეთრი, გრძელ ბოჭკოებს, რაც მსგავსია სამხრეთ კედელზე არსებული გვიანი მხატვრობის ზედა ნალესობის შემადგენლობისა.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.3 ტიპი 3 - ქვედა ფენა

სამხრეთ მკლავის დასავლეთ კედელზე (რეგისტრი IV) გვხვდება გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ორი ფენა, რომელიც, ვიზუალურ დათვალიერებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსხვავდება ჩრდილოეთ მკლავისა და დასავლეთ მკლავის ამავე პერიოდის მხატვრობის (?) ნალესობის ფენებისგან. ქვემოთ მოცემულია სამხრეთ კედლის მხატვრობის ქვედა ნალესობის ფენის დახასიათება:

ნალესობის (ტიპი 3) ქვედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	თეთრი
სისქე	ვარიებს 0.4სმ-დან 1.5 სმ-მდე
შემკვრელი	თეთრი ფერის მასა, ორგანული ჩანარებით. არ გვხვდება არაორგანული მინარევები, რაც უნდა განაპირობებდეს ამ ნალესობის გამორჩეულ სითეთრეს. წვრილმარცვლოვანი ჩანარები, რაც გამოჩნდა მიკროსკოპით დათვალიერებისას, მტვრვის ნაწილაკებს მეტად წააგავს, ვიდრე არაორგანულ აგრეგატებს.
არაორგანული მინარევი	არ გვხვდება
ორგანული ჩანარები	ჩალისფერი, ვიწრო, მცენარეული ჩანართი
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	საშუალო სიმჭიდროვის მასა

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	უხეში მონასმები, უსწორმასწორო, რელიაფური ზედაპირით.
ზედაპირის დამუშავება	არაერთგვაროვანი ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიუყვება ქვის წყობას, რაც განაპირობებს ნალესობის ფენის სისქის განსხვავებულობას

გავრცელება: სამხრეთ მკლავი, დასავლეთ კედელი, ნათლისღება



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)


4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.3 ტიპი 3 - ქვედა ფენა

ნიმუში N	2019
----------	------


ლოკაცია	VM_MS_W5 (სამხ. მკლავი)
---------	-------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მაკრო ფოტოები, სამხრეთ მკლავის დასავლეთ კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ქვედა ფენა.

მარცხნივ და ქვევით: მიკრო ფოტოები, სამხრეთ მკლავი, დასავლეთ კედლის გვიანი პერიოდის ფერწერული ფენის ნალესობის ქვედა ფენა. თეთრი ნალეობა მცენარეული ჩანარით. არაორგანული აგრეგატები არ ფიქსირდება.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.3 ტიპი 3 - ზედა ხილული

დასავლეთ მკლავის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე (მესამე რეგისტრში) გვხვდება გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ფენა, რომელიც, ვიზუალურ დათვალიერებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსია სამხრეთ მკლავის ქვედა ფენისა და განსხვავდება დასავლეთ მკლავის ზედა რეგისტრების ნალესობებისგან. ქვემოთ მოცემულია დასავლეთ მკლავის კედლის მხატვრობის ნალესობის ფენის დახასიათება:

ნალესობის (ტიპი 3) ქვედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	თეთრი
სისქე	დაუდგენელია (არ ჩანს საფუძვლის ფენა)
შემკვრელი	თეთრი ფერის მასა, ორგანული ჩანარებით. გვხვდება ძალიან მცირე რაოდენობით პელიტური არაორგანული მინარევი, რაც უნდა განაპირობებდეს ამ ნალესობის გამორჩეულ სითეთრეს.
არაორგანული მინარევი	ძალიან მცირე რაოდენობის
ორგანული ჩანარები	ჩალისფერი, ვიწრო და მოთეთრო-გამჭვირვალე მცენარეული ჩანართი
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	საშუალო სიმჭიდროვის მასა

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შესამჩნევი არ არის
ზედაპირის დამუშავება	ერთიანი, კარგად დამუშავებული, გლუვი ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიუყვება ქვის წყობას, რაც განაპირობებს ნალესობის ფენის სისქის განსხვავებულობას

გავრცელება: სამხრეთ მკლავი, დასავლეთ კედელი, ნათლისღება, დასავლეთ მკლავის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლები, სცენები - S13, N9, N10



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა



4.3.1.3 ტიპი 3 - ზედა ხილული

ნიმუში N 3278

ლოკაცია VM_MS_S13 (დას. მკლავი)

ხელსაწყო

ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მაკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ხილული ფენა.

მარჯვნივ და ქვევით: მიკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ხილული ფენა. თეთრი ნალეობა მცენარეული ჩანარით. მინიმალური რაოდენობის არაორგანული წმინდამარცვლოვანი მინარევით.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.3 ტიპი 3 - ზედა ხილული

ნიმუში N 3296



ლოკაცია VM_MS_N10 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მაკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ხილული ფენა.

მარჯვნივ და ქვევით: მიკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ხილული ფენა. თეთრი ნალესობა მცენარეული ჩანარით. მინიმალური რაოდენობის არაორგანული პელიტური მინარევით.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.3 ტიპი 3 - ქვედა ფენა

ნიმუში N	3301
----------	------


ლოკაცია	VM_MS_N9 (დას. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ხილული ფენა - ორგანული ჩანართი.

მარჯვნივ და ქვევით: მიკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთი კედლის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ხილული ფენა. თეთრი ნალოება მცენარეული ჩანართით.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 - ზედა ფენა

სამხრეთ მკლავის დასავლეთ კედელზე (რეგისტრი IV) გვხვდება ნალესობის მეორე, ზედა ფენაც, რომელიც ფერით, არაორგანული მინარევითა და ორგანული ჩანარებით, ასევე დამუშავების სტილითაც მსგავსია დანარჩენი ორი კედელისა (სამხრეთ და აღმოსავლეთ) და კამარაზე არსებული ნალესობის ზედა ფენებისა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთი მკლავის ზედა ნალესობა ვიზუალურად განსხვავდება დასავლეთი და ჩრდილოეთი მკლავების შემადგენლობისგან, ასევე ამავე მკლავში კამარის მიმდებარე და მის ქვეშ არსებული რეგისტრის ზედა ნალესობები ერთმანეთის მსგავსია (ზევიდან პირველი და მეორე რეგისტრები).

ნალესობის (ტიპი 4) ზედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	თეთრი
სისქე	ვარირებს 0.5სმ-დან 1სმ-მდე
შემკვრელი	თეთრი შეფერილობის კარგი კოჰეზიის მქონე მასა. დანარჩენი ორი მკლავის ნალესობებთან შედარებით, ამ შემთხვევაში, გვხვდება მცირე რაოდენობით არაორგანული აგრეგატები და ორგანული ჩანარები. რაც განაპირობებს ნალესობის გამორჩეულ სითეთრეს.
არაორგანული მინარევი	პოლიმიქტური მინარევი, ვხვდებით სხვადასხვა მორფოლოგიისა და ფერის აგრეგატებს. შავი, წითელი და ყვითელი ფერის ოსამიტურ-ალევიტული ქანების/მინერალების ნატეხების ზომები ძირითადად 0.01 მმ-დან 0.4 მმ-დე მერყეობს.
ორგანული ჩანარები	თეთრი, გრძელი, წვრილი ბოჭკოები.
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	გლუვი ზედაპირი, კარგად დამუშავებული

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შესამჩნევი არ არის
ზედაპირის დამუშავება	ერთიანი, კარგად დამუშავებული, გლუვი ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიუყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც ნალესობის სისქის განსხვავებას იძლევა


გავრცელება: სამხრეთი მკლავი: ნათლისღება, კამარა, შობა, ხარება, გარდამოხსნა, აღდგომა

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 - ზედა ფენა

ნიმუში N	2019	ლოკაცია	VM_MS_W5 (სამხ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	-------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, ფოტოები, სამხრეთ მკლავის დასავლეთი კედლის ნათლისღების სცენის გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენა.



მარცხნივ: მიკროსკოპულ ფოტოებზე განიჩევა ნალესობის ზედა ფენის ორგანული თეთრი ბოჭკოვანი ჩანარები. ნალესობაში ასევე ვხვდებით მცირე რაოდენობის პატარა ზომის არაორგანულ აგრეგატებს. ნალესობა განსხვავებულია ჩრდილოეთი და დასავლეთი მკლავებისგან.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 - ხილული ფენა

ნიმუში N	2019
----------	------

ლოკაცია	VM_MS_S6 (სამხ. მკლავი)
---------	-------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------





ზემოთ და მარჯვნივ: კონტექსტის, დეტალის და მაკროს ფოტოები. სამხრეთი მკლავის სამრეთი კედელი, შობის სცენა.

ზემოთ: მიკროსკოპული ფოტოები, ნალესობის ზედა ფენის შემადგენლობა. თეთრ ნალესობაში აღინიშნება მცირე ზომისა და რაოდენობის არაორგანული მუქი ფერის აგრეგატები, რომელსაც ჩანართის სახით ახლავს თეთრი ბოჭკოვანი წვრილი და გრძელი შემავსებელი.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)
4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 - ხილული ფენა

ნიმუში N	2023	ლოკაცია	VM_MS_C12 (სამხ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	--------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ და ქვემოთ: მიკრო ფოტოები, სამხრეთ მკლავის კამარა, გვიანი პერიოდის ნალესობის ზედა ფენა.

მცირე როდენობის მცირე ზომის სხვადასხვა შეფერილობის აგრეგატული მინარევებით.

ზემოთ: კონტექსტის ფოტო, სამხრეთი მკლავის კამარა, გვიანი მხატვრობის ზედა ნალესობის ფენა. ფოტოებში იკითხება დაკარგული ორგანული ჩანარების ადგილები.




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 - ხილული ფენა

ნიმუში N	2021	ლოკაცია	VM_MS_E6 (სამხ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	-------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ: მიკრო ფოტოები, სცენის ნალესობის ზედა ფენა, რომელშიც იკითხება არაორგანული აგრეგატები და ბოჭკოვანი ჩანართი.

ზემოთ: კონტექსტის ფოტო, სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთი კედლის შობის სცენა, ნალესობის ზედა ფენა.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 - ზედა ხილული ფენა

ნიმუში N 3305


ლოკაცია VM_MS_W8 (სამხ. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მაკრო ფოტოები, სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედლის ნალესობის ფენა.

მარჯვნივ და ქვევით: მიკროსკოპული ფოტოები, ნალესობის ზედა ფენის შემადგენლობა. თეთრ ნალესობაში აღინიშნება მცირე ზომისა და რაოდენობის არაორგანული მუქი ფერის აგრეგატები, და ჩანს მრავალი ორგანული ჩანართის დანაკარგი.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)



4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 -ზედა ფენა

ნიმუში N	3309
----------	------



ლოკაცია	VM_MS_E8 (სამხ. მკლავი)
---------	-------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მაკრო ფოტოები, სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ კედლის ნალესობის ფენა.

მარჯვენა და ქვევით: მიკროსკოპული ფოტოები, ნალესობის ზედა ფენის შემადგენლობა. თეთრ ნალესობაში აღინიშნება მცირე ზომისა და რაოდენობის არაორგანული მუქი ფერის აგრეგატები.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.4 ტიპი 4 -ზედა ფენა

ნიმუში N	3312
----------	------


ლოკაცია	VM_MS_E8 (სამხ. მკლავი)
---------	-------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------

ზემოთ:
კონტექსტის, დეტალი და მაკრო ფოტო, სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ კედლის ნალესობის ფენა.



მარჯვნივ და ქვევით: მიკროსკოპული ფოტოები, ნალესობის ზედა ფენის შემადგენლობა. თეთრ ნალესობაში აღინიშნება მცირე ზომისა და რაოდენობის არაორგანული მუქი ფერის და მრავალფერი აგრეგატები.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

დასავლეთ მკლავის მხატვრობის გვიანი ფენა (XVI) შედგება ნალესობის ორი ფენისგან. ზედა ნალესობის ფენა განსხვავდება ქვედა ფენისგან, ვინაიდან ზედა ნალესობაში ვხვდებით თეთრი ფერის ორგანულ ბოჭკოვან ჩანართებს, მაგრამ განსხვავებით მე-2 ტიპისა, ამ ეტაპზე, არ ფიქსირდება ყვითელი/ჩალისფერი მცენარეული ჩანართი. **ტიპი 5 ნალესობას აქვს თეთრი შემკვრელი და დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები. გარდა არაორგანულისა ნალესობას აქვს თეთრი/გამჭვირვალე წვრილი ორგანული ბოჭკოს ჩანართები.** აღსანიშნავია, რომ არაორგანული აგრეგატებისა და შემკვრელის შემდგენლობა და ფარდობა მსგავსია დასავლეთი მკლავის სხვა შელესილობისა. ტიპი 5 შელესილობას ვხვდებით ჩრდილოეთ მკლავსა და აღმოსავლეთი მკლავის კამარის დონეზე.

ქვემოთ მოცემულია დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის ნალესობის ზედა ფენის დახასიათება:

ნალესობის (ტიპი 5) ზედა ფენის ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ნაცრისფერი
სისქე	0.3 სმ - მდე
შემკვრელი	თეთრი ფერის, შედარებით მკვრივი მასა, დიდი რაოდენობით არაორგანული მინარევით.
არაორგანული მინარევი	პოლიმიქტური მინარევი. გვხვდება ცუდად დახარისხებული და დამუშავებული, სხვადასხვა მორფოლოგიის აგრეგატები, როგორც ნახევრადდაკუთხული, ნახევრადდაკუთხული და დაკუთხული წითელი, ყვითელი, მწვანე და შავი ფერის კსამიტურ-ალევერიტული მინერალების/ქანების ნატეხები. რომელთა ზომა ვარირებს 0.01 მმ-სა და 0.5 მმ-ს შორის.
ორგანული ჩანართები	თეთრი შეფერილობის, გრძელი, ბოჭკოვანი ჩანართები, რომელთა დიდი ნაწილი დაკარგულია. ასევე, გვხვდება ვიწრო, გრძელი, მართხუკთხა ფორმის ამოტეხვები, თუმცა რა ტიპის ჩანართის ამოტეხვებია ამ ეტაპზე დადგენილი არ არის.
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	შედარებით მჭიდრო, ერთიანი მასა.

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შესამჩნევი არ არის.
ზედაპირის დამუშავება	არათანაბარი, ორგანული ჩანართების დაკარგვის შედეგად ზედაპირი არათანაბარია.
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც განაპირობებს ნალესობის სისქის განსხვავებულობას.


გავრცელება: დასავლეთ მკლავი, ჩრდილოეთ კედელი (ქრისტე კაიფასთან და იუდას ამბორი)

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2009_3	ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)


4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N 2011

ლოკაცია VM_MS_N6 (დას. მკლავი)

ხელსაწყო ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



მარცხნივ:
მიკროსკოპული ფოტოები, გამჭვირვალე წვრილი ბოჭკოვანი ჩანართით.

ზემოთ: დასავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი, ქრისტე კაიფასთან. კონსექტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები მიკროსკოპული ფოტოების გადაღების ადგილის მითითებით. მიკროსკოპში ჩანს ნალესობის ორგანული ჩანართი - გამჭვირვალე მოთეთრო წვრილი ბოჭკოვანი ერობა, რომელიც განსხვავდება ჩალისფერი/ყვითელი შეფერილობის უფრო სქელი ორგანული ჩანართისგან.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2012
----------	------

ლოკაცია	VM_MS_N6 (დას. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



N6



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N6_2012_M_sc_arrow



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N6_2012_Nim_50x



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N6_2012_Nim_50x



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N6_2012_D_sc



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_N6_2012_Mr_sc



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_N6_2012_Nim_250x



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_N6_2012_Nim_250x

ზემოთ და მარცხნივ: დასავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი, ქრისტე კაიფასთან. კონსექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები მიკროსკოპული ფოტოების გადაღების ადგილის მითითებით. ნალესობის ზედა ფენის ორგანული ჩანართი.

ზემოთ: მიკროსკოპული ფოტოები. ნალესობის ორგანული ჩანართი - გამჭვირვალე მოთეთრო წვრილი ბოჭკოების ერთობა.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)



4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2010_a	ლოკაცია	VM_MS_N5 (დას. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	--------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტი და დეტალი,
მარცხნივ: მაკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავი, ჩრდილო-დასავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენა.



მარცხნივ: მიკრო ფოტოები, დასავლეთ მკლავის ჩრდილო-დასავლეთ კედლის გვიანი პერიოდის ფერწერული ფენის ნალესობის ზედა ფენა.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ჩრდილოეთ მკლავში ვხვდებით გვიანი პერიოდის მხატვრობის მხოლოდ ერთ ფენას, რომელიც არაორგანულ კომპონენტებში მსგავსია სამივე კედელსა და კამარაზე. ასევე, ჩრდილოეთ მკლავის დასავლეთ კედელზე გვხვდება “ნაკერები”, რომელიც შემადგენლობით, ფერთა და დამუშავებით ჰგავს ძირითადი კომპოზიციების ნალესობას და სავარაუდოდ, ავტორის მიერ მალევე, კომპოზიციის შესასწორებლად არის შელესილი. საგულისხმოა, რომ ჩრდილოეთი მკლავის გვიანი პერიოდის ნალესობა ნალესობა ვიზუალურად ჰგავს დასავლეთი მკლავის ამავე პერიოდის ზედა და ქვედა ნალესობებს შემდეგ ასპექტებში: შემკვრელისა და არაორგანული აგრეგატების სახეობებსა და მათ თანაფარდობაში. განმასხვავებელი მხოლოდ ორგანული ჩანართები და მათი მიქსტურებია. **ტიპი 5 ნალესობას აქვს თეთრი შემკვრელი და დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები. გარდა არაორგანულისა ნალესობას აქვს თეთრი/გამჭვირვალე წვრილი ორგანული ბოჭკოს ჩანართები.**

ნალესობის (ტიპი 5) ვიზუალური დახასიათება:

ფერი	ღია ნაცრისფერი
სისქე	ვარიებს 0.2 სმ-დან 1.4 სმ-მდე
შემკვრელი	თეთრი ფერის, სუსტი კოჭეზიის მქონე მასა, ორგანული ჩანართებითა და არაორგანული მინარევებით
არაორგანული მინარევი	პოლიმიქტური მინარევი, ნახევრადდაკუთხული და ნახევრადდამრგვალებული აგრეგატებით. ფერების თვალსაზრისით ვხვდებით შავ, მწვანე და იშვიათად ყვითელსა და წითელ პსამიტურ-ალევიტული მინერალების/ქანების ნატეხებს.
ორგანული ჩანართები	თეთრი/გამჭვირვალე, წვრილი, ორგანული ბოჭკო
სიმჭიდროვე / სიმკვრივე	გლუვი ზედაპირი, კარგად დამუშავებული

შესრულების ტექნიკა:

სამუშაო იარაღის კვალი	ვიზუალურად შესამჩნევი არ არის
ზედაპირის დამუშავება	ერთიანი, კარგად დამუშავებული, გლუვი ზედაპირი
ტოპოგრაფია	ნალესობა მიყვება ქვის უსწორმასწორო წყობას, რაც ნალესობის სისქის განსხვავებას იძლევა

გავრცელება: ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი (ლაზარეს ალდგინება) და დასავლეთი (მირქმა) სცენები, ასევე, ამავე მკლავის ზევიდან მეორე რეგისტრის სცენები.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2024
----------	------


ლოკაცია	VM_MS_E5 (ჩრდ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ და მარჯვენა: კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ჩრდილოეთ მკლავი, აღმოსავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენა, ორგანული ჩანარები.

ქვემოთ: ორგანული თეთრი ფერის ბოჭკოვანი ჩანართის მიკროსკოპული ფოტო




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5 - ხილული ფენა

ნიმუში N	2053	ლოკაცია	VM_MS_N7 (ჩრდ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი
----------	------	---------	------------------------	----------	--------------



მარცხნივ: დეტალის ფოტოები, ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედელი, ლაზარუს აღდგინება. ნალესობის ზედა ფენა.

ქვემოთ: მაკრო ფოტოები, დიდი რაოდენობის ორგანული თეთრი ფერის ბოჭკოვანი ჩანართებით.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2034
----------	------

ლოკაცია	VM_MS_N5 (ჩრდ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: ნათისღების სცენის ზედა ნალესობის ფენა.

მარჯვნივ: მაკრო და მიკრო ფოტოები, ჩრდილოეთ მკლავი, აღმოსავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის ფერწერული ფენის ნალესობის ზედა ფენა, ორგანული ჩანართების კვალი.





4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5 - ხილული ფენა

ნიმუში N	2025	ლოკაცია	VM_MS_N7 (ჩრდ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: ჩრდილოეთი მკლავის სულთმოფენობის სცენა, კონტექსტის და დეტალის ფოტოები.

მარცხნივ: მკრო ფოტოები, დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატული ჩანართებით



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2037
----------	------

ლოკაცია	VM_MS_W7 (დას. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: და **მარჯვნივ:** ჩრდილოეთ მკლავი, ხარების სცენა, დასავლეთი კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენა, ორგანული ჩანარები.

ზემოთ: მიკრო ფოტოები, ჩრდილოეთ მკლავი, დასავლეთ კედელი, ნალესობის ზედა ფენა, ორგანული თეთრი ფერის/გამჭვირვალე ბოჭკოვანი ჩანარები.



მარჯვნივ: მიკრო ფოტოები, ნალესობის ზედა ფენა, ორგანული და არაორგანული ჩანარები.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)


4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2027	ლოკაცია	VM_MS_ჭ7 (ჩრდ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ჩრდილოეთ მკლავი, დასავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენა



მარჯვნივ: ნალესობის ერთი ფენა, რომლის შემადგენლობაშიც ვხვდებით დიდი რაოდენობის არაორგანულ აგრეგატებს.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2039
----------	------

ლოკაცია	VM_MS_W7 (ჩრდ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის ფოტო, ჩრდილოეთ მკლავი, დასავლეთ კედელი - მირქმა, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ზედა ფენა

ზემოთ და მარცხნივ: დეტალისა და მაკრო ფოტოები, ჩრდილოეთ მკლავი, დასავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ფენა. ორგანული ჩანარების ამოტეხვებით.



მარცხნივ: ნალესობის ერთი ფენა, რომლის შემადგენლობაშიც ვხვდებით დიდი რაოდენობის არაორგანულ აგრეგატებს.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2030
----------	------

ლოკაცია	VM_MS_W7 (ჩრდ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ჩრდილოეთი მკლავი, დასავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ნაკერის ქვეშ მოქცეული ფენა.

ქვემოთ: ნალესობის მიკროსკოპული ფოტოები, რომლის შემადგენლობაც დასავლეთი მკლავის არაორგანული კომპონენტების ანალიზი ურია.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	2029
----------	------

ლოკაცია	VM_MS_W7 (ჩრდ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, ჩრდილოეთი მკლავი, დასავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის მხატვრობის ნალესობის ნაკერის ქვეშ მოქცეული ფენა.

ქვემოთ: ნალესობის მიკროსკოპული ფოტოები, რომლის შემადგენლობაც დასავლეთი მკლავის არაორგანული კომპონენტების ანალიზიურია.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5 - ჩაკერება

ნიმუში N	2034
----------	------



ლოკაცია	VM_MS_W7 (ჩრდ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: ჩრდილოეთი მკლავის მირქმის სცენა, კონტექსტის ფოტოები, ჩაკერების ლოკაცია.

ქვემოთ: მაკრო ფოტოები, დიდი რაოდენობის სხვადასხვა მორფოლოგიისა და ფერადოვნების არაორგანული აგრეგატული ჩანარებით



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5




ნიმუში N	3317
----------	------

ლოკაცია	VM_MS_E7 (ჩრდ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ფოტოები: ჩრდილოეთ მკლავი, აღმოსავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის ფერწერული ფენის ნალესობის ფენა, მრავალი პოლიმიქტური არაორგანული ჩანართით.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5



ნიმუში N	3324
----------	------

ლოკაცია	VM_MS_W11 (ჩრდ. მკლავი)
---------	-------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ფოტოები: ჩრდილოეთ მკლავი, აღმოსავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის ფერწერული ფენის ნალესობის ფენა, მრავალი პოლიმიქტური არაორგანული ჩანართით და ორგანული ჩანართების კვალით.
Gel23-10-13_VM_MS_W11_3324_M2r




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	3322	ლოკაცია	VM_MS_W11 (ჩრდ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	-------------------------	----------	------------------------------------



ფოტოები: ჩრდილოეთ მკლავი, აღმოსავლეთ კედელი, გვიანი პერიოდის ფერწერული ფენის ნალესობის ფენა, მრავალი პოლიმიქტური არაორგანული და ორგანული ჩანარებით.




4.3 მხატვრობის ფენა (XIV)
 4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	3146	ლოკაცია	VM_MS_N8 (აღმ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: ანგელოზთა დადისის სცენის კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, აღმოსავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი. ნალესობის შესწავლის ლოკაცია.



ზემოთ: აღმოსავლეთი მკლავის, კამარის დონეზე ჩრდილოეთი კედლის ნალესობას აქვს თეთრი შემკვრელი და დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები. ორგანული ჩანართის სახით ვხვებით თეთრი/გამჭვირვალე წვრილ ბოჭკოებს. აღნიშნული ტიპის ნალესობას ვხვდებით დასავლეთ, ჩრდილოეთ მკლავებზე.



4.3 მხატვრობის ფენა (XIV)

4.3.1 ნაღესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	3150
----------	------


ლოკაცია	VM_MS_N8 (აღმ. მკლავი)
---------	------------------------

ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------------------------------------



ზემოთ: ანგელოზთა დადისი სცენის კონტექსტის, დეტალისა და მაკრო ფოტოები, აღმოსავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი. ნაღესობის შესწავლის ლოკაცია.


ქვემოთ: აღმოსავლეთი მკლავის, კამარის დონეზე ჩრდილოეთი კედლის ნაღესობას აქვს თეთრი შემკვრელი და დიდი რაოდენობის არაორგანული აგრეგატები. ორგანული ჩანართის სახით ვხვებით თეთრი/გამჭვირვალე წვრილ ბოჭკოებს. აღნიშნული ტიპის ნაღესობას ვხვდებით დასავლეთ, ჩრდილოეთ მკლავებზე.



4.3 მხატვრობის ფენა (XIV)

4.3.1 ნალესობის ფენა



4.3.1.5 ტიპი 5



ნიმუში N	3253
ლოკაცია	VM_MS_S5 (აღმ. მკლავი)
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი

მარცხნივ: კონტექსტის და დეტალის ფოტოები. აღმოსავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი (ანგელოზთა დასი S5).

ქვემოთ: გვიანი მხატვრობის (XVI) ნალესობის ძირითადი ფენა. მიკროსკოპის ქვეშ შემკვრელში განიჩევა დიდი რაოდენობით სხვადასხვა მორფოლოგიისა და ფერის არაორგანული აგრეგატები.



4.3 მხატვრობის ფენა (XIV)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.5 ტიპი 5

ნიმუში N	3164	ლოკაცია	VM_MS_N8 (აღმ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



ზემოთ: კონტექსტის, დეტალის და მიკროს ფოტოები. აღმოსავლეთი მკლავის, ჩრდილოეთი კედელი (ანგელოზთა დასი - N8). მოცემულია ორგანული გამჭვირვალე ბოჭკოვანი ჩანართის მიკრო ფოტოსურათი.

ნიმუში N	3253	ლოკაცია	VM_MS_S5 (აღმ. მკლავი)	ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი
----------	------	---------	------------------------	----------	------------------------------------



მარცხნივ: კონტექსტის, დეტალისა და მიკრო ფოტოები, აღმოსავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი, (ანგელოზთა დასი - S5). მოცემულია ნალესობის ორგანული ჩანართის მიკროფოტოები. ორგანული ჩანართი გამჭვირვალე ბოჭკოვანი მასალაა, რომელიც ჰგავს ჩრდილოეთი მკლავისა და დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის ზედა ნალესობის ფენას.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.6 ნალესობის ნაკერები

გელათის მთავარი სივრცის დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების მხატვრობის სცენებზე იკითხება სხვადასხვა ტიპის ნაკერები, ესენია:

- **სცენის საზღვრის ნაკერი**, რაც საკვლევი არეალის ყველა სცენაზე ჩანს;
- **სცენის შიდა ნაკერი**, რომელიც არის როგორც გეომეტრიული (კვეთს ფიგურებს და კომპოზიციას ყოფს გეომეტრიულ მონაკვეთებად), ასევე კომპოზიციური (მიუყვება სცენაში გარკვეული კომპოზიციის ნაწილებს, მაგალითად ფიგურას, ან ფიგურათა ჯგუფს, ან სხვა საგნობრივ გამოსახულებებს);
- **ჩაკერებული ნაწილი**, ნალესობის ფრაგმენტი, რაც სავარაუდოდ კომპოზიციის ცვლილების მიზნით არის ჩამატებული.

ნაკერების მიმართულების მიხედვით ლესვა დაწყებულია კედლის ზედა ნაწილიდან და ეტაპობრვად შელესილია ქვედა ნაწილები (ნაკერების მიმართულებები იკითხება ქვევიდან ზევით, რაც შელესვის ამ ქრონოლოგიაზე მიუთითებს).

ნალესობის ფრაგმენტების **ზომები სხვადასხვაა** (განსაზღვრულია სცენის შიდა, როგორც გეომეტრიული, ასევე კომპოზიციური ნაკერის მიხედვით), არის როგორც მცირე ზომის - დღიური სამუშაოს მასშტაბის, ასევე დიდი ზომის მონაკვეთები, ზომების ასეთი სხვადასხვაობა და მასშტაბული შელესილობის ნაწილების არსებობა მხატვრობის **შერეული ტექნიკის მაჩვენებელია**. დასავლეთ მკლავის სცენებში შელესილობის დიდ, ერთიან მონაკვეთებს ვხვდებით. განსაკუთრებით მასშტაბურია დასავლეთ მკლავის კამარა, ჯვრის ამალლების სცენა, რაც მხოლოდ ორ ნაწილად არის შელესილი (დაახლოებით 8 მეტრიან სცენას მხოლოდ ერთი ნაკერი ჰყოფს). საშუალო ზომის შელესილი მონაკვეთებია ჩრდილოეთ მკლავში, ხოლო სამხრეთ მკლავში, სხვებთან შედარებით განსხვავებული შელესვის ტექნიკა იკითხება, არის მცირე ზომის შელესილი ნაწილები და იკითხება როგორც გეომეტრიული, ასევე კომპოზიციური ნაკერები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ მკლავის კამარა, ემანუელის ამალლების სცენა, სადაც სცენის შელესილობა მრავალ მცირე ზომის ფრაგმენტად არის შესრულებული, იწყება ცენტრალური მონაკვეთიდან და ეტაპობრივად ილესება სცენის გვერდითა ნაწილები.

სცენის ნალესობების ნაწილი იმდენად გადაბმულია, რომ ბევრგან სცენის შიდა ნაკერის გარჩევა, ფაქტიურად, შეუძლებელია. გრაფიკულ დოკუმენტაციაზე (იხ. დანართი 1) აღნიშნულია ნაკერების მხოლოდ ის ადგილები, რაც ვიზუალურად ფაქტობრივად ჩანს.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.6 ნალესობის ნაკერები

ქვევით მოცემულია ცხრილი, სადაც ნაკერებისა და შელესილი ნაწილების ტიპები ნაჩვენებია მკლავებისა და სცენების მიხედვით.

მკლავი	სცენა	სცენის საზღვრის ნაკერი	სცენის შიდა ნაკერი				ჩაკერებული ნაწილი (კომპოზიციის სავარაუდო ცვლილების მიზნით)
			გეომეტრიული		კომპოზიციური		
			მცირე ზომის ნალესი ნაწილები (დღიური სამუშაო)	დიდ მასშტაბზე შელესილი არეები	მცირე ზომის ნალესი ნაწილი(დღიური სამუშაო)	დიდ მასშტაბზე შელესილი არეები	
სამხრეთი მკლავი	ხარება - E6	✓	✓	✓			
	შობა - S6	✓			✓	✓	
	ნათლისღება - W5	✓	✓		✓		
	ღვთის დიდება (ემანუელის ამაღლება) – C12	✓			✓		
დასავლეთი მკლავი	საიდუმლო სერობა - S7	✓				✓	
	ფერხთა ბანა - S8	✓				✓	
	ქრისტე გეტსიმანიის ბაღში - W6	✓				✓	
	იუდას ამბორი - N5	✓		✓			✓
	ქრისტე კაიფასთან - N6	✓		✓			
	ჯვრის ამაღლება - C14	✓		✓			
ჩრდილოეთი მკლავი	მირქმა - W7	✓		✓			✓
	სულთმოფენობა - N7	✓				✓	
	ლაზარეს აღდგინება - E5	✓		✓			
	ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული) – C13	✓					

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.6 ნალესობის ნაკერები



მარცხნივ და ქვევით:
დასავლეთ მკლავის
ჩრდილოეთ კედელი, სცენა -
იუდას ამბორი. კონტექსტისა,
მაკრო ფოტოები.

ფოტოებზე
ილუსტრირებულია სცენის
საზღვრის ნაკერი.



მარცხნივ და ქვევით:
დასავლეთ მკლავის
ჩრდილოეთ კედელი, სცენა -
ქრისტე კაიფასთან.
კონტექსტისა და დეტალისა
ფოტოები.

ფოტოებზე
ილუსტრირებულია სცენის
საზღვრის ნაკერი.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა

4.3.1.6 ნალესობის ნაკერები

ჭევეით: სამხრეთ მკლავის კამარა, ემანუელის ამალღების სცენა, გრაფიკული დოკუმენტაცია, კონტექსტისა და მაკრო ფოტოები. ნაჩვენებია სცენის შიდა ნაკერები, რომლებიც მცირე ზომის ნალეს ნაწილებს მიუყვებიან. შელესილობა მრავალ მცირე ზომის ფრაგმენტად არის შესრულებული, იწყება ცენტრალური მონაკვეთიდან და ეტაპობრივად ილესება სცენის გვერდითა ნაწილები.




4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.1 ნალესობის ფენა


4.3.1.6 ნალესობის ნაკერები

ქვევით: დასავლეთ მკლავი, სცენა - იუდას ამბორი. ნაჩვენებია სცენის ქვედა მარცხენა მხარე - ჩაკერებული ნალესობის ნაწილი, რაც სისქით განსხვავდება სცენის ნალესობის სხვა ნაწილებისგან, ამოწეულია.

ქვევით: ჩრდილოეთ მკლავი, სცენა - იუდას ამბორი. ნაჩვენებია კომპოზიციური ცვლილება ჩაკერების სახით (ჩაკერებული ნალესობის ქვემოთ იკითხება ფერწერული ფენა).



Gel23_VM_MS_N5_3063_C_sc



Gel23_VM_MS_W7_3089_C_sc



Gel23_VM_MS_W7_3089_D2_sc



Gel23_VM_MS_N5_3063_D_sc



Gel23_VM_MS_N5_3063_Dr_sc



Gel23_VM_MS_W7_3089_D2r_sc



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)
4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის, მთავარი სივრცის დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავის კამარაზე ვხვდებით მხატვრობის ზედა ფენას, რომელიც გვიანი შუასაუკუნეებით (XVI) თარიღდება. ზედა ფენის მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა იყოფა ორ ჯგუფად: მოსამზადებელი ნახატი და გეომეტრიული მოჩარჩოება. მოსამზადებელ ნახატსა და გეომეტრიულ მოჩარჩოებებს სხვადასხვა სიხშირით ვხვდებით, სამივე (ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ) მკლავში. ანალოგიური ტექნიკა გვხვდება აღმოსავლეთის მკლავის გადაწერილ მხატვრობაზე (იხ. 4.4.2)


დასავლეთ მკლავი							გეომეტრიული მოჩარჩოება	მოსამზადებელი ნახატი
	N5 - იუდას ამბორი	N6 - ქრისტე კაიფასთან	W6 - ლოცვა გეთსიმანიის ბაღში	S7 - საიდუმლო სერობა	S8 - ფერხთა ბანა	C14 - ჯვრის ამალგა		
გეომეტრიული მოჩარჩოება - ფარგალი							↓	↓
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (საღებავით)							სწორხაზოვანი ნაკაწრი	ნაკაწრი/გრაფია
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (ანაბეჭდით)							მირტყმული ხაზი (საღებავით ან ანაბეჭდის კვალით)	კონტური (საღებავით)
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (ანაბეჭდით)							ფარგალი	
მოსამზადებელი ნახატი - კონტური (საღებავით)								
მოსამზადებელი ნახატი - გრაფია								

- მცირე რაოდენობით
- მცირე რაოდენობით
- საშუალო რაოდენობით
- საშუალო რაოდენობით
- დიდი რაოდენობით
- დიდი რაოდენობით

ზემოთ: გრაფიკზე მოცემულია მკლავებში არსებული მოსამზადებელი ტექნიკის გამოყენების მასშტაბები. მუქი ფერის ტონები დიდ მასშტაბზე გავრცელებაზე მიანიშნებს, ხოლო საშუალო ინტენსიურობისა და ჩამქვრალი ტონები საშუალო და მცირე მასშტაბის გავრცელებას აღნიშნავს.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)
 4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

ჩრდილოეთ მკლავი				
	W7 - მირქმა	N7 - სულთმოფენობა	E5 - ლაზარეს აღდგინება	C13 - სულიწმინდა
გეომეტრიული მოჩარჩობა - ფარგალი				
გეომეტრიული მოჩარჩობა - მირტყმული ხაზი (საღებავით)				
გეომეტრიული მოჩარჩობა - მირტყმული ხაზი (ანაბეჭდით)				
მოსამზადებელი ნახატი - კონტური (საღებავით)				
მოსამზადებელი ნახატი - გრაფია				



მცირე რაოდენობით
 საშუალო რაოდენობით
 დიდი რაოდენობით
 მცირე რაოდენობით
 საშუალო რაოდენობით
 დიდი რაოდენობით


ზემოთ: გრაფიკზე მოცემულია მკლავებში არსებული მოსამზადებელი ტექნიკის გამოყენების მასშტაბები. მუქი ფერის ტონები დიდ მასშტაბზე გავრცელებაზე მიანიშნებს, ხოლო საშუალო ინტენსივობისა და ჩამქვრალი ტონები საშუალო და მცირე მასშტაბის გავრცელებას აღნიშნავს.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)
 4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

სამხრეთ მკლავი				
	S6 - შობა	E6 - ხარება	W5 - ნათლისღება	C12 - ქრისტე ევმანუელი
გეომეტრიული მოჩარჩოება - ფარგალი				
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (საღებავით)				
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (ანაბეჭდით)				
მოსამზადებელი ნახატი - კონტური (საღებავით)				
მოსამზადებელი ნახატი - გრაფია				


	მცირე რაოდენობით		საშუალო რაოდენობით		დიდი რაოდენობით
	მცირე რაოდენობით		საშუალო რაოდენობით		დიდი რაოდენობით



ზემოთ: გრაფიკზე მოცემულია მკლავებში არსებული მოსამზადებელი ტექნიკის გამოყენების მასშტაბები. მუქი ფერის ტონები დიდ მასშტაბზე გავრცელებაზე მიანიშნებს, ხოლო საშუალო ინტენსივობისა და ჩამქვრალი ტონები საშუალო და მცირე მასშტაბის გავრცელებას აღნიშნავს.




დასავლეთ მკლავი						
	S12	S13	W9	W10	N9	N10
გეომეტრიული მოჩარჩოება - ფარგალი	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (საღებავით)	+	+	+	+	არის მო„ცარ„ცოება	არის მოჩარ„ჩოებაზე
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (ანაბეჭდით)	+ (თოკი გამოყენებულია კომპოზიციაში, ტახტრევიანის მოსახაზად)	არ ჩანს	+	არ ჩანს	არის მოჩარ„ცოება	არის მო„ჩარჩოებაზე
მოსამზადებელი ნახატი - კონტური (საღებავით)	+	+	+	+	არის	არის
მოსამზადებელი ნახატი - გრაფია	არ ჩანს	+ (ნაკაწრები მხოლოდ ერთ სამოსზე, სახეზე არ აქვს)	არ ჩანს	არ ჩანს	სამოსზე მარტო	არ ჩანს



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)
 4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

სამხრეთ მკლავი				
	W8	S10	S11	E8
გეომეტრიული მოჩარჩოება - ფარგალი	+	+	+	+
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყემული ხაზი (საღებავით)	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყემული ხაზი (ანაბეჭდით)	არ ჩანს	არ ჩანს	შუბზე	+
მოსამზადებელი ნახატი - კონტური (საღებავით)	+	არ ჩანს	არ ჩანს	+
მოსამზადებელი ნახატი - გრაფია	კვერთხზე, სახეებსა და სამოსზე, წარწერის ხაზზე	სახესა და ხელებზე	სახესა და ხელებზე	სახეზე, ხელზე, სამოსებზე, წარწერაზე, ჯვარზე, არქიტექტურაზე




- მცირე რაოდენობით
- საშუალო რაოდენობით
- დიდი რაოდენობით
- მცირე რაოდენობით
- საშუალო რაოდენობით
- დიდი რაოდენობით



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)
 4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

ჩრდილოეთ მკლავი				
	W11	N11	N12	E7
გეომეტრიული მოჩარჩოება - ფარგალი	+	შარავანდზე და ფარებზე	შარავანდზე	+
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (საღებავით)	+	+	+	არ ჩანს
გეომეტრიული მოჩარჩოება - მირტყმული ხაზი (ანაბეჭდით)	+	+ და ცალკე შუბზე ორი წერტილი	+ და ხმალზე თოკის 4 ნაჭდევი კვალი	არ ჩანს
მოსამზადებელი ნახატი - კონტური (საღებავით)	+	არ ჩანს	არ ჩანს	+
მოსამზადებელი ნახატი - გრაფია	სახეზე, სამოსზე	სახეზე, სამოსზე, შუბზე	სახეზე, ხმალზე, სამოსზე	სახეზე, ტორსზე, ანგელოზის სამოსზე, ჯვარზე





 მცირე რაოდენობით	 საშუალო რაოდენობით	 დიდი რაოდენობით
 მცირე რაოდენობით	 საშუალო რაოდენობით	 დიდი რაოდენობით



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)
 4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა



მარცხნივ: კონტექსტის ფოტო, სამხრეთი მკლავი, კამარა, ღვთის დიდება (ემანუელის ამალღება). გეომეტრიული მოჩარჩოების მაგალითი - მირტყმული ხაზი. ჰორიზონტალურად მირტყმული ხაზი სცენის გამოყოფ ფუნქციას ასრულებს და წითელი ჩარჩოს კიდეს მიუყვება.




ზემოთ: დეტალის ფოტოები, სამხრეთი მკლავი, კამარა, ღვთის დიდება (ემანუელის ამალღება). გეომეტრიული მოჩარჩოების მაგალითი - მირტყმული ხაზი. ნალესობის ზედაპირულ ფენაზე საღებავში ამოვლებული თოკის მირტყმის შედეგად ჩანს ჰორიზონტალური ხაზი, რომელსაც საღებავის შხეფები ახლავს. ჰორიზონტალურად მირტყმული ხაზი სცენის გამოყოფ ფუნქციას ასრულებს და წითელი ჩარჩოს კიდეს მიუყვება.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება ⇒ მირტყმული ხაზი საღებავით



ზევით: სამხრეთი მკლავი, კამარის დონე, დასავლეთი კედელი, ნათლისღების სცენა. გეომეტრიული მოჩარჩოების მაგალითი - მირტყმული ხაზი. ნალესობის ქვედა ფენაზე, კომპოზიციის მოსამზადებლად საღებავში ამოვლებული თოკის მირტყმის შედეგად ჩანს ორი ვერტიკალური ხაზი, რომელთაც საღებავის შხეფები ახლავს. ხაზები სცენის შუაზე გამოყოფ ფუნქციას ასრულებენ.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება



მირტყემული ხაზი ანაბეჭდის კვალით



მარცხნივ და ქვევით: სამხრეთი მკლავი, კამარის დონე, სამხრეთი კედელი, შობის სცენა. გეომეტრიული მოჩარჩოების მაგალითი - მირტყემული ხაზები თოკის ანაბეჭდის კვალით. ჰორიზონტალურად მირტყემული ხაზი სცენის გამოყოფ ფუნქციას ასრულებს და წითელ ჩარჩოსა და ფონის კიდეს მიუყვება.

Gel23_VM_MS_S6_3068_D_



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_S6_3068_M_



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_S6_3068_Mr_s

თოკის კვალს შესაძლოა ყველგან თან არ ახლავდეს შხეფები. გვაქვს ზოგიერთი შემთხვევა, სადაც ფერწერული ფენის ქვეშ თოკის კვალიც ჩანს და შხეფებიც (სლაიდი 7, 10) თეთრ ზოლზე. ამ შემთხვევაში კი ფოტოზე მხოლოდ თოკის კვალია, მაგრამ შხეფები არ ჩანს.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება ➡ მირტყმული ხაზი ანაბეჭდის კვალით

მარჯვნივ: ჩრდილოეთი მკლავი, დასავლეთი კედელი, მირქმის სცენა. გეომეტრიული მოჩარჩოების მაგალითი. მირტყმული ხაზი თოკის ანაბეჭდით, რომელიც სცენის კომპოზიციური გაყოფის მიზნით იყო გამოყენებული. თოკს საღებავში ამოვლებისა და შხეფების კვალი არ ეტყობა.



პირდაპირი განათება

W7



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_W7_3082_D_sc



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_W7_3082_Dr_sc



პირდაპირი განათება

N7

ზემოთ და მარჯვნივ: ჩრდილოეთი მკლავი, სულთმოფენობის სცენა, გეომეტრიული მოჩარჩოების მაგალითი. მირტყმული ხაზი თოკის ანაბეჭდით, რომელიც სცენას ცენტრში ორ ნაწილად ჰყოფს.



პირდაპირი განათება

Gel23_VM_MS_N7_3081_D_sc



გვერდითა განათება

Gel23_VM_MS_N7_3081_Dr_sc



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)


4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება



მირტყმული ხაზი ანაბეჭდის კვალით



ზემოთ: და მარჯვნივ: მთავარი სივრცის დასავლეთი მკლავის კამარა, სამხრეთი კედელი, საიდუმლო სერობა. გეომეტრიული მოჩარჩოება. მირტყმული ხაზი - თოკისა და თითის ანაბეჭდები, რომლებიც მხატვრობის მოსამზადებელ ტექნიკაზე მიუთითებს: თოკის ორივე ბოლოში თითით ხდებოდა თოკის კორიზონტალურად დაჭერა, ხოლო ცენტრიდან თოკის მოქაჩვითა და ხელის ადებით სველ ნალესობაზე მირტყმული თოკი სწორხაზოვან ანაბეჭდს იკეთებდა.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა


გეომეტრიული მოჩარჩოება



მირტყმული ხაზი ანაბეჭდის კვალით



მარცხნივ და ქვემოთ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, საიდუმლო სერობასა და ფერხთა ბანა-ს შორის გამყოფი ორნამენტული ზოლი. მოსამზადებელი ტექნიკის სახით გამოყენებულია მირტყმული ხაზი, თოკის კვალითა და თითის ანაბეჭდით (წითელი ისარი). აქვე ჩანს სამუშაო იარაღის კვალი, რომელის ანაბეჭდის ტექსტურაც ჰგავს ხეს (ყვითელი ისარი).



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

გრაფიკულ სქემაზე მოცემულია მოსამზადებელი ტექნიკის მაგალითი:
მირტყმული ხაზები



ზევით: დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელი, საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის სცენა

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება



სწორხაზოვანი ნაკაწრი

სწორხაზოვანი ნაკაწრები ძირითადად კომპოზიციისა და მასში გამოსახული საგნების გეომეტრიული დაყოფისთვის არის გამოყენებული, გვხვდება არქიტექტურის გამოსახულებებზე და ასევე წარწერების მოჩარჩოებაში. მოცემულია ჰორიზონტალური, ვერტიკალური და დიაგონალური სწორხაზოვანი ნაკაწრები. პირველადი დაკვირვების შედეგად სწორხაზოვანი ნაკაწრები/ნაჭდევეები დატანილია ბრტყელი სწორკუთხა სახნით. ნაკაწრის გვერდებზე გაჩენილი ნალესობის კიდეებს გლუვი გადასვლა აქვთ, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს ტექნიკის სველ ბათქაშზე გამოყენებას.



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ქრისტე კაიფასთან, არქიტექტურული მონაკვეთი. სწორხაზოვანი ნაკაწრის კვალი მკვეთრია, მას ასევე აქვს წყვეტილი ზოლებიც. სწორი ხაზებისთვის, როგორც ჩანს, რაიმე სწორი საგანია გამოყენებული, სახაზავის მსგავსი, შესაძლოა ხის ჯოხი.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება



სწორხაზოვანი ნაკაწრი

ზოგჯერ ფერწერა ზუსტად არ მიუყვება გეომეტრიული მოჩარჩოებისთვის გამოყენებულ ნაკაწრებს.



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ფერხთა ბანა. სწორხაზოვანი ნაკაწრის კვალი არქიტექტურულ მონაკვეთზე.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება



ფარგალი

ფარგალი გამოყენებულია სამივე მკლავის (სამხრეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის) კამარებზე. ფარგალი ძირითადად შარავანდის ნაწილებსა და იმ მონაკვეთებში გვხვდება, სადაც წრიული და ნახევარწრიული ფორმების გამოყვანაა საჭირო. მაგ.: ჯვრის დაბოლოებებზე (დავ.მკლავი „ჯვრის ამალეზა“, მანდორლაზე (სამხ.მკლავი „შობა“). ფარგალს აუცილებლად ერთვის წერტილი, რომელიც წრიული ნაწილის ცენტრში იძებნება.



ზემოთ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ფერხთა ბანა.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება



ფარგალი



მარცხნივ და ზემოთ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ჯვრის ამალღება, ფარგლის კვალი.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

გეომეტრიული მოჩარჩოება



ფარგალი



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, შობა. ისრებით ნაჩვენებების ფარგლის წერტილი და ნახევარწრიული ნაკაწრი.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი



გრაფია (თავისუფალი ნაკაწრი)

გრაფია გვხვდება სამივე მკლავში (დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი). გრაფია გამოიყენება თავისუფალი ნაკაწრის სახით, სველ ან მშრალ ნაღესობაზე ფიგურათა სახეებისა და სამოსების ფორმების მოსახაზად.



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ფერხთა ბანა. კონტექსტი, დეტალი და მაკრო ფოტოები.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)


4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი



გრაფია (თავისუფალი ნაკაწრი)



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, მირქმა. გრაფია, სახის მოყვანილობის და ნაკვეთების (თვალები, ცხვირ-პირი, თმა-წვერი) გამოსაყვანად. წარმოდგენილია თავისუფალი ხაზებით.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი



გრაფია (თავისუფალი ნაკაწრი)



მარცხნივ და ზემოთ: მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, ქრისტე ევმანუელი. ნახატი ზუსტად მიუყვება გრაფიის კონტურებს. კონტურები. თვალის, ცხვირ-პირის, თმა-წვერისა და კიდურების გრაფიები უფრო მეტი სიზუსტით არის დაკაწრული, ვიდრე დასავლეთისა და ჩრდილოეთის მკლავების მოსამზადებელი ნახატის გრაფიებში.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი



გრაფია (თავისუფალი ნაკაწრი)



ზემოთ: მთავარი სივრცე, სამხრეთი მკლავი, შობა. ნახატი ზესტად არ მიუყვება გრაფიის კონტურებს. კონტურები ხელის თითების ფორმას ხაზავს.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

გრაფიკულ სქემაზე მოცემულია მოსამზადებელი ტექნიკის მაგალითები:
სწორხაზოვანი ნაკაწრი, გრაფია (თავისუფალი ნაკაწრი), ფარგალი



ზევით: დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელი, საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის სცენა

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი ⇒ კონტური (საღებავით)

სახის ნაკვეთების დასაყოფად მხატვარი იყენებს ხაზობრივ დაყოფას (იდეალური სახის ანატომიური წესი), თვალების ცხვირის, ტუჩების და ნიკაპის მონაკვეთებში.



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, ჩრდილოეთ მკლავი, ლაზარეს აღდგინება. მოსამზადებელი (მოყავისფრო) კონტური.



მოსამზადებელი კონტური მიუყვება გრაფიის ნაკაწრებს

მოსამზადებელი კონტური ძირითადად ოქრის სხვადასხვა ტონალობებშია გამოყენებული (ყვითლიდან წითლამდე). მოსამზადებელი კონტური ყველაზე მეტად ჩრდილოეთ მკლავის სცენებზე გვხვება, რადგან ფერწერული ფენის დანაკარგი ბევრია. მოსამზადებელი კონტურით მონიშნულია: სახის ნაწილებად დაყოფა ჰორიზონტალური ხაზებით, ფიგურათა სამოსების, სახისა და კიდურების და თმა-წვერის დეტალური მონიშვნა.

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი ⇒

კონტური (საღებავით)



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, საიდუმლო სერობა. მოსამზადებელი (ყვითელი) კონტური.


4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი \Rightarrow კონტური (საღებავით)

ზოგჯერ მოსამზადებელი კონტური გადაწერილია, სავარაუდოდ ადგილის არასწორი განსაზღვრის გამო, ან ფორმის გადაკეთების მიზნით (მაგ. ჩრდ.მკლავი „ლაზარეს აღდგინება“, „მირქმა“)



ზემოთ : მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, მირქმა. გადაკეთებული მოსამზადებელი კონტური (მოყავისფრო).

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი \Rightarrow კონტური (საღებავით)



მოსამზადებელი ნახატი ოქრის ფერი მუქი წითელი-მოყავისფრო ტონალობისაა.

ქვემოთ და მარცხნივ: მთავარი სივრცე, დასავლეთი მკლავი, ქრისტე გეთსიმანის ბაღში. მოსამზადებელი (წითელი) კონტური.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი ⇒ კონტური (საღებავით)

მოსამზადებელი კონტური ძირითადად ოქრის ფერების სხვადასხვა ელფერშია გამოყენებული, ყვითლიდან - წითლამდე.



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ლაზარეს აღდგინება. გადაკეთებული მოსამზადებელი კონტური (მოყვითალო-მოყავისფრო).

4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.2 მოსამზადებელი ტექნიკა

მხატვრობის მოსამზადებელი ტექნიკა

მოსამზადებელი ნახატი ⇒ საღებავით მონასმი (სახის მონაკვეთებად დაყოფა)

სახის ნაკვეთების დასაყოფად მხატვარი იყენებს ხაზობრივ დაყოფას (იდეალური სახის ანატომიური წესი), თვალების ცხვირის, ტუჩების და ნიკაპის მონაკვეთებში.



ზემოთ და მარჯვნივ: მთავარი სივრცე, ჩრდილოეთი მკლავი, ლაზარეს აღდგინება. მოსამზადებელი (მოყავისფრო) კონტური.



სახის მონაკვეთებად დაყოფა გვხვდება ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ (ლაზარეს აღდგინება) და დასავლეთ (მირქმა) კედლებზე, სადაც ფერწერული ფენის დანაკარგი დიდია. სახის მონაკვეთებად დაყოფასთან ერთად გამოყენებულია ასევე გრაფია და მოსამზადებელი ნახატი ფერით.



4.3 მხატვრობის ფენა 2 (XVI)

4.3.3 ფერწერის ფენა



4.3 მხატვრობის ფენა 2

4.3.3 ფერწერის ფენა


4.3.3.1 მუქი ლურჯი (ტიპი 1) ფერის ვიზუალური დახასიათება

ლოკაცია:
დასავლეთ მკლავი, ჭერი



ზოგადი აღწერა:
ცის ფონად მოცემულია მუქი ლურჯი ფერი (ტიპი 1), მოშავო ლურჯი და მოცისფერო ლურჯის გრადაციებით. ფერწერული ფენის სისქე არათანაბარია. მკაფიოდ განირჩევა ბრტყელი ფუნჯის კვალი. მონასმის ზომა ვარიირებს 3–3.7 სმ-ს შორის. მიკროსკოპში შეინიშნება სხვადასხვა ფერის ნაწილაკები - მუქი ლურჯი და ღია ცისფერი, რომელებიც მკაფიოდ არიან გამიჯნულნი ერთმანეთისგან. მუქ ლურჯს დაჰკრავს ბზინვარება, ნაწილაკების ფორმა უფრო მკაფიოა; ღია ცისფერი ერთიან მასად არის მოცემული.

მიკროსკოპის ფოტოები



სტრუქტურაფია (ვიზუალური დაკვირვება)

1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს შავი ფერის სარჩული. გრადაცია: მუქი ნაცრისფერი
2 ფენა	ზედა ფენას წარმოადგენს მუქი ლურჯი (ტიპი 1)

ნიმუშის N	Gel23_VM_MS_C14_5004_Nim
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი




4.3 მხატვრობის ფენა 2

4.3.3 ფერწერის ფენა

4.3.3.1 მუქი ლურჯი (ტიპი 1) ფერის ვიზუალური დახასიათება



ზოგადი აღწერა:
ცის ფონად მოცემულია მუქი ლურჯი ფერი (ტიპი 1), მოშავო ლურჯი და მოციფერო ლურჯი გრადაციებით. არის არაპრიალა, მცირე ბზინვარებით. ფერწერული ფენის სისქე არათანაბარია. მკაფიოდ განირჩევა ბრტყელი ფუნჯის კვალი. მონასმის ზომა ვარიირებს 3 სმ-დან - 3.7 სმ-მდე. მიკროსკოპში შეინიშნება სხვადასხვა ფერის ნაწილაკები: მუქი ლურჯი, ღია ცისფერი და თეთრი. ფერწერული ფენა ერთიან მასად აღიქმება.



სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს შავი ფერის სარჩული. გრადაცია: მუქი ნაცრისფერი
2 ფენა	ზედა ფენას წარმოადგენს მუქი ლურჯი (ტიპი 1)

ნიმუშის N	Gel23_VM_MS_C14_5005_Nim
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი



4.3 მხატვრობის ფენა 2

4.3.3 ფერწერის ფენა



4.3.3.2 ღია ლურჯი (ტიპი 2) ფერის ვიზუალური დახასიათება

ლოკაცია:
ჩრდილოეთ მკლავი, ჩრდ. კედელი



ზოგადი აღწერა:
ფონად მოცემულია ინტენსიური ღია ლურჯი ფერი (ტიპი 2). ამ ნიმუშში დაკვირვება მოხდა ყველაზე კარგად შემორჩენილ ფენაზე. არის არაპრიალა, ნაკლებად ბზინვარე, ნათელი ფერი. ფერწერული ფენა სქელია და კარგი დაფარვის უნარი აქვს. ნაწილაკები ერთმანეთისგან არ არიან გამიჯნულნი, ფენა წარმოდგენილია ერთიან მასადა. პიგმენტისა და შემკვრელის თანაფარდობში პიგმენტის რაოდენობა ჭარბობს. განირჩევა ბრტყელი ფუნჯის კვალი.

მიკროსკოპის ფოტოები



სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს ნაცრისფერი სარჩული.
2 ფენა	ზედა ფენას წარმოადგენს ღია ლურჯი (ტიპი 2)

ნიმუშის N	Gel23_VM_MS_N7_5012_Nim2
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი

4.3 მხატვრობის ფენა 2

4.3.3 ფერწერის ფენა

4.3.3.2 ღია ლურჯი (ტიპი 2)


ფერის ვიზუალური დახასიათება

ლოკაცია:
ჩრდილოეთ მკლავი, ჩრდ. კედელი



ზოგადი აღწერა:
ფონად მოცემულია ღია ლურჯი ფერი (ტიპი 2), მოლურჯო ცისფერის გრადაციით. არის არაპრიალა, ნაკლებად ბზინვარე. ფერწერული ფენის სისქე არათანაბარია. გვაქვს ღია ლურჯის სქელ ფენა და მის მომიჯნავე თხელი ფენა. ნიმუშში მოცემულია ზღვარი, სადაც ფერწერული ფენა ფხვნილის სახით არის წარმოდგენილი და კარგად განირჩევა ქვედა ნაცრისფერი ფენა.

მიკროსკოპის ფოტოები



სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს ნაცრისფერი სარჩული.
2 ფენა	ზედა ფენას წარმოადგენს ღია ლურჯი (ტიპი 2)

ნიმუშის N	Gel23_VM_MS_N7_5012_Nim1
ხელსაწყო	ფოტო აპარატი, პორტატული მიკროსკოპი


4.3 მხატვრობის ფენა 2
 4.3.3 ფერწერის ფენა

4.3.3.2 ღია ლურჯი (ტიპი 2)
 ფერის ვიზუალური დახასიათება



ზოგადი აღწერა:
 ფონზე მოცემულია ინტენსიური ღია ლურჯი ფერი (ტიპი 2), თუმცა აქვს მოცისფერო გრადაციები. ამ ნიმუშში დაკვირვება მოხდა ყველაზე მეტად დაზიანებულ უბანზე. ფენა არის არაპრიალა, ნაკლებად ბზინვარე. მიკროსკოპში არ ჩანს მოცულობითი ნაწილაკები. ერწერული ფენა წარმოდგენილია ერთიან ბრტყელ მასად. განირჩევა ბრტყელი მონასმები.

მიკროსკოპის ფოტოები



სტრატეგრაფია (ვიზუალური დაკვირვება)	
1 ფენა	ქვედა ფენას წარმოადგენს ნაცრისფერი სარჩული.
